

ბიბლიის ლექსიკონი

(მასალები)

I ტომი

«მთანმინდა»
თბილისი 2009

წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს 2000 წელს ამსტერდამში (პოლანდია) დასტამბული „ბიბლიის ლექსიკონის“ რეპრინტს. ამსტერდამის გამოცემა საჩუქრად გადაეცა ქართულ დაწესებულებებს, მაგრამ ამით სათანადოდ ვერ დაკმაყოფილდა მკითხველის მოთხოვნილება. იმედია, წინამდებარე რეპრინტი გარკვეულად შეავსებს ამ ხარვეზს.

შემდგენლები: **ელგუჯა გიუნაშვილი**
ზურაბ კალანდაძე

რედაქტორი: **ზურაბ სარჯველაძე**

შედეგანულობისაბან

დღევანდელი ცივილიზებული სამყაროსათვის ბიბლიის ცოდნის აუცილებლობა ანბანურ ჭეშმარიტებას წარმოადგენს. საღმრთო წერილის ქართული ტექსტის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული კულტურისა და აზროვნების განვითარებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ქართველებს მეხუთე საუკუნიდან უკვე ჰქონდათ თარგმნილი საღმრთო წერილი და მეთორმეტე საუკუნეში მისი კომენტარებიც შეადგინეს, უკანასკნელ საუკუნეებში, როცა ეეროპის ქრისტიანულ სამყაროში ბიბლიის ტექსტის მეცნიერული და თეოლოგიური შესწავლა განსაკუთრებული მასშტაბურობით დაიწყო, ქართველები ამ პროცესს საკმაოდ ჩამოვრჩით. ეს გამოწვეული იყო ერთი მხრივ მეფის რუსეთის მიერ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის გაუქმებით, ხოლო მეორე მხრივ, რევოლუციის შემდეგ ქვეყნის ათვისებულ სახელმწიფოდ გამოცხადებითა და ეკლესიის დევნით.

აუცილებელია, და დღეს ყოველგვარი საშუალებაც არის, მიეუბრუნდეთ, როგორც ქართული ქრისტიანობის ისტორიის, ისე ქართული ბიბლიის ტექსტის საგულდაგულოდ შესწავლას. ჩვენი ღრმა რწმენით, წინამდებარე გამოცემა გარკვეულ წვლილს შეიტანს ძველი და ახალი აღთქმის ტექსტების შესწავლისა და გაგების საქმეში. აქვე დაუძენთ, რომ იგი არ არის უხარვეზო და გამოდგება როგორც მასალა, მომავალში სრულყოფილი ბიბლიური ლექსიკონის ქართულ ენაზე შექმნისა.

წინამდებარე შრომა წარმოადგენს ბიბლიის საკითხთა საგნობრივ განხილვას, რაც დაინტერესებულ პირს საშუალებას აძლევს მოიძიოს მისთვის საინტერესო საკითხი. ლექსიკონი არ არის გათვალისწინებული საღმრთო წერილის მხოლოდ ცალკე სიტყვებისა და გამოთქმების განმარტებისათვის. მასში მოთავსებული, ანბანის რიგზე გაწყობილი, სტატიები ქვეთავებადაა დაყოფილი. თითოეულ სიტყვასა და გამოთქმაზე მოცემულია ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან მოყვანილი მოძღვრებანი, რაც მკითხველს თითქმის ამომწურავ ცოდნას აძლევს ამა თუ იმ სიტყვასა და ტერმინზე მთელ საღმრთო წერილში არსებული მოძღვრების შესახებ.

საღეჟსიკონო ერთეულები ძირითადად მიუთითებენ საგნის ან მოვლენის ზუსტად იმ ვითარებას, რაც ბიბლიის ტექსტშია წარმოდგენილი. ლექსიკონში ნაკლებად ვხვდებით მოვლენისა და ფაქტის თეორიულ განსაზღვრას, კომენტირებას, რაც ბიბლიის შემსწავლელს საშუალებას აძლევს თავად განსაჯოს ესა თუ ის საკითხი.

შრომას საფუძვლად დაედო ცნობილი სწავლულის ბერნარდ გეცეს (1888-1962) მიერ შედგენილი თემატური ბიბლიური ლექსიკონის მეორე გამოცემა, რომელიც 1978 წელს გამოქვეყნდა რუსულ ენაზე; აგრეთვე ქართველი მღვდლის, ჩინებული მთარგმნელისა და რიგ ორიგინალურ თხზულებათა ავტორის, იოვანე ლუკაშვილის (1877-1959) მიერ რუსულიდან გადმოკეთებული ბიბლიურ-საღვთისმეტყველო მასალა, რომელზე მუშაობის დროსაც მას უსარგებლია 1928 წლის რუსული გამოცემით. ამ მასალასთან ერთად, ლექსიკონის შემდგენისას ვისარგებლეთ ამავე ხასიათის ზოგიერთი სხვა ლექსიკონებით. მთლიანად ეს მასალა კი შევაჯერეთ ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანთან.

ლექსიკონის შემდგენლები მადლობას სწირავენ უწმინდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქს ილია II-ს, რომლის სულიერი შთაგონებითა და მატერიალური თანადგომით შეიქმნა ეს შრომა.

ვფიქრობთ, წინამდებარე გამოცემას ინტერესით შეხვდება მკითხველი.

შემოკლებათა განმარტება

აბდ.	წინასწარმეტყველება აბდაისი.
ამბაკ.	წინასწარმეტყველება ამბაკუმისი.
ამოს.	წინასწარმეტყველება ამოსისი.
ანგ.	წინასწარმეტყველება ანგიისი.
ბარ.	წინასწარმეტყველება ბარუქისი.
გალ.	გალატელთა მიმართ.
გამ.	გამოსვლათა, წიგნი II მოსესი.
გამოცხ.	გამოცხადება იოანესი.
გოდ.	გოდებანი იერემია წინასწარმეტყველისანი.
ღაბ.	ღაბაღება, წიგნი I მოსესი.
ღან.	წინასწარმეტყველება დანიელისა.
ებრ.	ებრაელთა მიმართ.
ეზრა	წიგნი ეზრასი (1, 2, 3).
ეზუკ.	წინასწარმეტყველება ეზუკიელისა.
ეკლ.	ეკლესიასტე.
ეს.	წინასწარმეტყველება ესაიასი.
ესთ.	წიგნი ესთერისა.
ეფეს.	ეფესელთა მიმართ.
ზაქ.	წინასწარმეტყველება ზაქარიასი.
ზირ.	წიგნი სიბრძნისა ისო ძისა ზირაქისა.
თეს.	თესალონიკელთა მიმართ (1, 2).
თაკ.	თაკობისი, კათოლიკე ეპისტოლე.
თგავ.	თგავნი სოლომონისანი.
თერ.	წინასწარმეტყველება თერემასი.
თედ.	წიგნი თედოთისა.
თიან.	სახარება იოანესი.
თიბ.	წიგნი თიბისა.
თიკელ.	წინასწარმეტყველება თიკელისა.
თონ.	წინასწარმეტყველება თონასი.
თოდ.	წმ. მოციქულისა თოდასი, კათოლიკე ეპისტოლე.
თისუ ნავ.	წიგნი თისუნი, ძისა ნავესი.
თილას.	თილასელთა მიმართ.
თორ.	თორინთელთა მიმართ (1, 2).
თევიტ.	ლევითელთა, წიგნი III მოსესი.
ლუკ.	სახარება ლუკასი.
მაკაბ.	მაკაბელთა წიგნი (1, 2, 3).

მალ.	წინასწარმეტყველება მალაქიასი.
მათ.	სახარება მათესი.
მარკ.	სახარება მარკოზისი.
მეფ.	მეფეთა წიგნი (1, 2, 3, 4).
მიქ.	წინასწარმეტყველება მიქიასი.
მსაჯ.	მსაჯულთა.
ნაუმ.	წინასწარმეტყველება ნაუმისი.
ნემ.	წიგნი ნემიასი.
ნემტ.	ნემტთა წიგნი (1, 2).
ოს.	წინასწარმეტყველება ოსესი.
პეტ.	წმიდისა მოციქულისა პეტრესი, კათოლიკე ეპისტოლენი (1, 2).
რიცხვ.	რიცხეთა, წიგნი IV მოსესი.
რომ.	რომაელთა მიმართ.
რუთ.	წიგნი რუთისა.
საქმე.	საქმე წმიდათა მოციქულთა.
სოლ.	წიგნი სიბრძნისა სოლომონისა.
სოფ.	წინასწარმეტყველება სოფონიასი.
2 სჯ.	მეორე სჯულისა, წიგნი V მოსესი.
ტიმ.	ტიმოთეს მიმართ (1, 2).
ტიტ.	ტიტეს მიმართ.
ტობ.	წიგნი ტობისი.
ფილიმ.	ფილიმონის მიმართ.
ფილიპ.	ფილიპელთა მიმართ.
ფს.	ფსალმუნნი (დავითნი).
ქება	ქება ქებათა სოლომონისი.



აბბა (მამა)

„აბბა მამაო, ყოველივე შესაძლებელ არს შენ მიერ თანა წარსლვად სასუმელი ესე ჩემგან“. მარკ. 14, 36.

აბელი

ადამისა და ევას მეორე შვილი. დაბ. 4, 2.

უფალმა მიიღო ა-ის მსხვერპლი. დაბ. 4, 4.

იყო მწყემსი. დაბ. 4, 2.

აბელი მოკლა თავისმა ძმამ, კენმა, შურით, რადგან ღმერთმა მის მიერ მიტანილი მსხვერპლი მოიწონა და შეიწირა, ხოლო კენისა არ შეიწირა. დაბ. 4, 3-8.

ღმერთმა დაწყევლა კენი აბელის მოკვლის გამო. დაბ. 4, 11-12.

აბრაამი

აბრაამს, როგორც ღვთის რჩეული ერის წინამძღვარს, განსაკუთრებული ადგილი უკავია ჩვენი ცხოვრების ისტორიაში. მისი მოწოდება (დაბ. 12, 1) იყო პირველი ეტაპი ღმრთის განგებისა.

აბრაამი: არის ღმრთის რჩეული და მუდამ მისი ნების აღმსრულებელი. ღმერთმა ამოირჩია აბრაამი (ისუ ნაე. 24, 2), გამოიყვანა იგი ურიდან (დაბ. 11, 31) და თავისი გზებით წაიყვანა უცნობ ქვეყანაში (ებრ. 11, 8). ეს იყო

სიყვარულის გამოხატულება. ღმერთმა თავიდანვე გამოიჩინა აბრაამის მიმართ უსაზღვრო სიუხვე. მან აღუთქვა აბრაამს საოცარი მომავალი. ღმერთმა მისცა აბრაამს მიწა (დაბ. 12, 7; 13, 15; 15, 18; 17, 8), გულუხვად დააჯილდოვა და გაამრავლა მისი ოჯახი (დაბ. 12, 2; 16, 10; 22, 17). აბრაამი მთლიანად ღმრთის ძლიერებასა და მოწყალებაზე დამოკიდებული. აბრაამის სახით წარმოგვიდგება მთელი „ერი ღმრთისა“, რომელიც ყოველგვარი წინასწარი დამსახურების გარეშე გახდა მისი რჩეული. ღმერთი თავისი რჩეული ერისგან მოითხოვს მხოლოდ მტკიცე რწმენას და მისი ნების უყოყმანოდ შესრულებას.

აბრაამის გამოცდა: რწმენა უნდა განიწმინდოს და გამოიცადოს. ღმერთმა აბრაამი მძიმე გამოცდის წინაშე დააყენა, როცა მოსთხოვა მისი საყვარელი ძის, ისაკის მსხვერპლად შეწირვა. აბრაამმა „განჰყო ხელი თვისი მოლებად მახეილისა და დაქლვად ძისა თვისისა“ (დაბ. 22, 10), მაგრამ ისაკი ღმერთმავე გადაარჩინა (დაბ. 22, 12). ამით გამოგვიცხადა, რომ მის ჩანაფიქრს სიკედილისაკენ კი არ მივყავართ, არამედ სიცოცხლისაკენ. მას არ ახარებს კაცთა დალუპვა (სიბრძ. 1, 13; 2 სჯ. 12, 31; იერ. 7, 31).

ადამი

პირველი ადამიანი ქვეყნად. ლუკ. 3, 38. 1 კორ. 15, 45.

ადამი და ევა არ გრძნობდნენ სირცხვილს სიშიშვლის გამო. დაბ. 2, 25.

ცოდნის ხის ნაყოფის შეჭმის შემდეგ ადამი დაეძალა უფალს. დაბ. 3, 8.

ადამმა თქვა: „დედაკაცი, რომელი მომეცა ჩემ თანა, მან მომცა მე ხისაგან და ეჭამე“. დაბ. 3, 12.

ადამმა ცოლს უწოდა ცხოვრება (ევა); დაბ. 3, 20.

ღმერთმა ადამი და ევა გააძევა სამთხიდან ცოდვით დაცემის გამო. დაბ. 3, 24.

ადამიანი (იხ. კაცი)

ადრე ადგომა, აღმართობა, გამოღვიძება

ადრე ადგომა ღმრთის ერთგულების ნიშანია. დაბ. 22, 3; ფს. 5, 3; 58, 16; 87, 13; ეს. 26, 9.

ყოველღმერთ მოვალეობათა შესრულების ნიშანია. იგავ. 31, 15.

ადრე ადგომის დაზარება სიღარიბის მიზეზია. იგავ. 6, 9-11.

ბოროტნი ბოროტმოქმედებისათვის დგებიან ადრე. იგავ. 27, 14;

ადრე ადგომის მაგალითები: აბრაამი. დაბ. 19, 27; ისაკი. დაბ. 26, 31; იაკობი. დაბ. 28, 18; ისუ ნავ. 3, 1; გედონი. მსაჯ. 6, 38; სამოელი. 1 მეფ. 15, 12; დავითი. 1 მეფ. 17, 20; მარიამი და სხვები. მარკ. 16, 1-2; მოციქულები. საქმე. 5, 21.

ავადმყოფობა, სენი, სნეულება

ავადმყოფობა ნახსენებია, როგორც სასჯელი. 2 სჯ. 28, 21;

ა. შემოსული სხვა ქვეყნიებიდან. 2 სჯ. 7, 15.

ა. წარმოგზავნილი ეშმაკის მიერ. 1 მეფ. 16, 14-16; იობ. 2, 7.

ა. გამოცდის სახით. იობ. 2, 7-10; ფს. 37, 2-7.

ა. მრავალია და სხვადასხვაგვარი. მათ. 4, 24.

სიმთვრალე ავადმყოფობის მიზეზია. ოს. 7, 5.

სიჭაბუკის ცოდვები ა. მიზეზია იობ. 20, 11.

ა. მიზეზი. დან. 8, 27.

წმინდა წერილში მოხსენებულია ავადმყოფობანი: მზურვალება. მათ. 8, 14; სიმღიერე, უნაყოფობა, სიყვითლე. ლევიტ. 26, 16; წყლული. 4 მეფ. 20, 7; ხორცთა სიღამლე. იობ. 16, 8; 19, 20; სიბრძავე. იობ. 29, 15; მათ. 9, 27; ფაქლი. ქეცი. გამ. 9, 10; უძლურება, სენი სიცხისა, ცხრო, დაწერტა, გვემა ხორშაკითა, გვემა გვინითა, გვემა დანდალუკითა. 2 სჯ. 28, 22; ეშმაკეულება. მათ. 15, 22; 9, 32; მარკ. 5, 15; სიყრუე. ფს. 37, 14; მარკ. 7, 32; წყალმანკი. ლუკ. 14, 2; სიმუნჯე. მათ. 9, 32; საღმობა მუცლისა. 2 ნემტ. 21, 15, 18; ნაწლავთა სნეულება. საქმე. 28, 8; სენი საგურკველისა, სიმღიერე უცხოი, ფხანა, ბრძობა გონებისა. 2 სჯ. 28, 27-29; ძნელად მეტყველება. მარკ. 7, 32; სისხლის დინება. მათ. 9, 20; ფერხთა საღმობა 2 ნემტ. 16, 12; კეთრი. ლევიტ.

13, 2; მეფ. 5, 1; უმაღლობა. იობ. 33, 20; ფს. 106, 18; გვემით შეპყრობილი, ეშმაკეული, ცისად-ცისად გვემული, განრღვეული. მათ. 4, 24; შეჭირვება ბოროტი სულისაგან. 1 მეფ. 16, 14; მზის დაკერა. 4 მეფ. 4, 18-20; ეს. 49, 10; ნაგვემი, ბრძეილი. ეს. 1, 6; მატლის დახვევა. საქმე. 12, 23.

ავადმყოფობა განსაკუთრებით ბავშვებს აწუხებს 2 მეფ. 12, 15; 3 მეფ. 17, 17.

ავადმყოფობა აგლახაკებს. ფს. 37, 6.

ა. მტანჯავია. 2 ნეშტ. 21, 15; იობ. 33, 19.

ა. ხანგრძლივია. 2 სჯ. 28, 59; ლუკ. 13, 16; იოან. 5, 5.

ა. არის ცოდვის სახე. ეს. 1, 5.

ა. მძიმეა 2 სჯ. 28, 60-61; საქმე. 28, 8.

ა. განუკურნებელია. 2 ნეშტ. 21, 18; იერ. 14, 19.

ა. მკურნალობა ხშირად არადამაკმაყოფილებელია. მარკ. 5, 26.

ღმერთს ხშირად სთხოვენ ავადმყოფობისაგან განკურნებას. 2 მეფ. 12, 15-16; 4 მეფ. 20, 1-3; ფს. 6, 2; იაკ. 5, 14-15;

კინც არ შესთხოვს ღმერთს განკურნებას, წყეულია. 2 ნეშტ. 16, 12.

ავადმყოფები ხშირად იწვნენ ქუჩებში, რათა გამეღელთაგან სასარგებლო დარიგება მიეღოთ. მარკ. 6, 56; საქმე. 5, 15.

ავადმყოფებს სცხებდნენ ზეთს. მარკ. 6, 13; იაკ. 5, 14.

ა. ღმერთი ხშირად უშუალოდ ჰკურნავს. 4 მეფ. 20, 5; ფს. 40, 3; იაკ. 5, 15.

ღმერთი

გზავნის ავადმყოფობას. 2 სჯ. 32, 39; 1 მეფ. 5, 6; 2 მეფ. 12, 15; იობ. 5, 17; საქმე. 12, 23.

უშვებს ეშმაკს ავადმყოფობით ჩვენს დასამწუხრებლად. 1 მეფ. 16, 14-16; იობ. 2, 6-7;

გზავნის ავადმყოფობას ცოდვების გამო დასასჯელად. რიცხ. 11, 32; ლევიტ. 26, 16; 2 სჯ. 28, 15. 22; 2 სჯ. 29, 22; 2 მეფ. 7, 14; 2 ნეშტ. 21, 12-15; სჯის უწმინდურთ ავადმყოფობით. 2 სჯ. 28, 59-61; 2 ნეშტ. 21, 18; იერ. 16, 4; ზაქ. 14, 12;

კურნავს ავადმყოფობას. გამ. 23, 25; 2 სჯ. 32, 39; 4 მეფ. 20, 5-7; იობ. 5, 18; ფს. 29, 3; 102, 3; 106, 20; ეს. 38, 9;

აღგვითქვამს ავადმყოფობისაგან განკურნებას. გამ. 23, 25; 4 მეფ. 20, 5.

მორწმუნეებს უგზავნის ავადმყოფობას გამოსაცდელად. იობ. 2, 5-6.

ანუგებებს მორწმუნეებს ავადმყოფობისას. ფს. 40, 3.

იცავს მორწმუნეებს ავადმყოფობისაგან. გამ. 15, 26; 2 სჯ. 7, 15;

გვიჩვენებს თავის ძლიერებასა და სიუხვეს ავადმყოფობის განკურნებისას. ლუკ. 5, 17; ფილიპ. 2, 27.

ქრისტე კურნავს ავადმყოფობათაგან. მათ. 4, 23; 8, 3, 16; 9, 35; 14, 14; მარკ. 1, 34; ლუკ. 4, 40; 9, 11.

ქრისტე კურნავს ავადმყოფობისაგან

ავადმყოფთან ყოფნითაც კი. მარკ. 1, 31. ლუკ. 4, 39.

ისეთ პირთაც კი, რომლებიც მასთან არ არიან. მათ. 8, 13; 15, 28; მარკ. 7, 29-30; ლუკ. 7, 10; იოან. 4, 50, 53.

ხელის შეხებით. მათ. 8, 3, 15; 9, 29-3; მარკ. 1, 31, 41; 6, 5; ლუკ. 13, 13; 22, 51.

მის ტანსაცმელთან შეხებით. მათ. 9, 20-22; 14, 36; მარკ. 5, 27-29; 6, 56; ლუკ. 8, 44.

სიტყვით. მათ. 8, 8, 13, 16; 9, 6-7; 12, 13; მარკ. 3, 5; ლუკ. 5, 24-25; 7, 7-10.

ქრისტეს მიერ განკურნებულ ავადმყოფთათვის აუცილებელი იყო რწმენა. მათ. 8, 13; 9, 28-29; მარკ. 5, 34; 9, 23-24; 10, 52; ლუკ. 5, 20; 8, 50; საქმე. 14, 9-10.

მოციქულებმა ავადმყოფთა განკურნების უნარი ქრისტესაგან მიიღეს. მათ. 10, 1; მარკ. 6, 13; 16, 17-18. ლუკ. 9, 1; 10, 9; საქმე. 5, 15; 19, 11-12; 1 კორ. 12, 9, 28.

მორწმუნენი

ავადმყოფობის დროსაც ღმრთის ერთგულნი არიან. იობ. 2, 10.

ლოცულობენ ავადმყოფობისაგან განკურნებისათვის. 3 მეფ. 8, 37-39; 4 მეფ. 20, 2-3; 2 ნეშტ. 6, 28-30; ფს. 6, 2; ეს. 38, 1-3. იერ. 17, 14.

ა. განკურნებას ღმერთს მიაწერენ. ეს. 38, 16.

მადლს სწირავენ ღმერთს ა. განკურნებისათვის. ფს. 102, 1-3; ეს. 38, 20; ლუკ. 17, 15; საქმე. 3, 8.

ნახულობენ ავადმყოფობით შეწუხებულებს. მათ. 25, 36; საქმე. 28, 8. თანაუგრძნობენ ა. შეწუხებულებს. ფს. 34, 10.

ლოცულობენ ა. გვემულთათვის. საქმე. 28, 8. იაკ. 5, 14-15.

განიკურნებიან რწმენასთან შერწყმული ლოცვის საფუძველზე. იაკ. 5, 15.

*

ავადმყოფობა ხშირად გარყვნილებისა და არაზომიერების შედეგია. იობ. 20, 11; ფს. 5, 10; ოს. 7, 5.

ა. ხშირად ადამიანი ვერ კურნავს. 2 სჯ. 28, 27; 2 ნეშტ. 21, 18; მარკ. 5, 26; ლუკ. 8, 43.

ა. ცოდვის ნიშანია. ეს. 1, 4-6; იერ. 8, 19-22; 30, 11-13; გოდ. 2, 13; ეზეკ. 34, 4;

უწმინდური

ავადმყოფობის დროს არ ეძიებენ ღმერთს. 4 მეფ. 1, 2; 2 ნეშტ. 16, 12.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი: აბიშელექი. დაბ. 20, 17; ისრაელნი. რიცხ. 11, 32; იერ. 16, 4; გეთელნი. 1 მეფ. 5, 9-12; ეგვიპტელი მონა. 1 მეფ. 30, 13; დავითის შვილი. 2 მეფ. 12, 15; ოქოზია. 4 მეფ. 1, 2-4; ნემანი. 4 მეფ. 5, 1, 14. გუზი. 4 მეფ. 5, 26; ძე ადერისა. 4 მეფ. 8, 7-10; ოზია. 4 მეფ. 15, 5; 2 ნეშტ. 26, 21; ეზეკია. 4 მეფ. 20, 1-7; ეს. 38, 5; ასა. 2 ნეშტ. 16, 12; 3 მეფ. 15, 23; იორამი. 2 ნეშტ. 21, 15-16, 18, 19; იობი. იობ. 2, 7; დავითი. ფს. 37, 6-7; დანიელი. დან. 8, 27; ჰეტრეს სიდედრი. მათ. 8, 14; მარკ. 1, 30; ლუკ. 4, 38. ლაზარე. იოან. 11, 1; ენეა. საქმე. 9, 33; პოპლიოსის მამა. საქმე. 28, 8; ეპაფროდიტე. ფილიპ. 2, 25, 27; ტროფიმე. 2 ტიმ. 4, 20.

ათეული

(შემოსავლის მკათედი ნაწილი)

გაათეულება. 1 მეფ. 8, 15, 17.

ათეულის მიცემა საკურთხევლის მსახურთათვის ძველი წესი იყო. დაბ. 14, 20; ებრ. 7, 6.

ათეული წარმოადგენდა სამად-
ლობელს ღმრთისადმი იმის გამო, რაც
მან მოგვცა. დაბ. 28, 22.

ა. კანონით ეკუთვნოდა ღმერთს.
ლევიტ. 27, 30, 32. 2 ნემტ. 31, 6.

ღმერთმა დაუნიშნა ა. ლევის შვი-
ლებს მათი სამსახურისათვის. რიცხ. 18, 21-24; ნემ. 10, 37.

ლევიტელნი თავიანთი შემო-
საკვიდან ათეულს აძლევდნენ მღვდ-
ლებს. რიცხ. 18, 26, 28; ნემ. 10, 38.

ათეული სამართლიანად დაენიშნა
ლევიტელთ. რიცხ. 18, 21. 24-25;

ათეულის გამოსხნა, გამოსყიდვა.
ლევიტ. 27, 31.

სასჯელი ა. შეცვლისათვის. ლევიტ.
27, 33.

ისრაელნი ძუნწობდნენ ა. გადახ-
დის დროს ნემ. 13, 9.

ზოგნი ათეულს მალაუდნენ. მალ.
3, 8.

მორწმუნე ზედამდებნი მოუწოდებ-
დნენ გადაეხადათ ათეული. ნემ. 13,
11-12.

ზედამდებნი ანაწილებენ ათეულს.
2 ნემტ. 31, 12; ნემ. 13, 11-12.

ფარისეველნი ზედმწევნით ემორ-
ჩილებოდნენ ათეულის გადახდის წესს.
ლუკ. 11, 42; 18, 12.

ათეული ყოველწლიურად მიჰქონ-
დათ კარავში ღმრთის შესაწირად და
ჭამდნენ უფლის წინაშე. 2 სჯ. 12, 17-
19; 14, 22-27.

ა. ყოველ მესამე წელს საჭმელად
უნდა მიეცათ ღარიბ-ღატაკთათვის. 2
სჯ. 14, 28-29; 26, 12-15.

ათეული სამსხვერპლო

შ ე დ გ ე ბ ო დ ა : პირველ თბუთაგან
პურისა. რიცხ. 15, 19-21; სამსხვერ-

პლო ცხოველის მარჯვენა ბეჭისაგან.
ლევიტ. 7, 33; სამსხვერპლოდ მოტანი-
ლი ხორცის ნაწილისაგან. ლევიტ. 7,
14; განსრულების ვერძის ბეჭისაგან.
გამ. 29, 26; ყოველი პირველი
განწმენდილი ნაყოფისაგან. რიცხ. 18,
29; ათეულთა ათეულისაგან. რიცხ.
18, 26; ნადავლის ნაწილისაგან. რიცხ.
31, 26-47. ეძლევათ მღვდლებს. გამ.
29, 28; ლევიტ. 7. 34.

მისი მიღება ხდებოდა წმინდა
ადგილას. ლევიტ. 10, 12-15.

ათ-ქალაქი

ასე ეწოდებოდა რომის იმპერიის
ტერიტორიულ დაყოფას, რომელიც
ათ-ათ ქალაქს შეიცავდა.

„გამოვიდა იესო საზღვართაგან
ტიროსისა და სიდონისათა, და მოვიდა
ზღვასა მას გალილეისასა, შორის
საზღვართა ათ-ქალაქისათა“. მარკ.
7, 31.

მრავალნი მისდგენ მაცხოვარს ათ-
ქალაქით. მათ. 4, 25.

აგალაპი, აგალაპი

წარმომავლობა ამაღლესია. დაბ.
36, 12-16.

ხ ა ს ი ა თ ი ა : მცოდველნი. 1 მეფ.
15, 18; შემაჭირებულნი. მსაჯ. 10,
12; მეომარნი და დაუნდობელნი. 1
მეფ. 15, 32-33.

*

ამაღლესს მართავდნენ მეფეები. 1
მეფ. 15, 20, 32.

ამაღლესნი უფლებამოსილი და
გაელენიანი ხალხია. რიცხ. 24, 7.

ამაღლესის ქვეყანა ქანაანის სამ-
ხრეთით მდებარეობს. რიცხ. 13, 30; 1
მეფ. 27, 8.

ამალეკი მოსპო საულმა ევილა-
თიდან მისუდამდე. 1 მეფ. 15, 7.

ამალეკის ქვეყანა უძველესი ომების
ადგილია დაბ. 14, 7.

ამალეკის ქვეყანაში ზოგჯერ კინე-
ველნი ცხოვრობდნენ. 1 მეფ. 15, 6.

ა. პირველი ბრძოლები ისრაელთან.
გამ. 17, 8.

ამალეკს ამარცხებს ისუ მოსეს
ღმერთთან შუამდგომლობით. გამ. 17,
9-13.

ამალეკი განწირულია სრული
განადგურებისათვის. გამ. 17, 14-16; 2
სჯ. 25, 18.

ამალეკის ამოწყვეტა ნაწინას-
წარმეტყველებაა. რიცხ. 24, 20.
ისრაელი უფლის დალატისათვის
ისჯება ა. მიერ. რიცხ. 14, 45.

ამალეკნი ისრაელთა წინააღმდეგ
უკავშირდებიან მოაბელთა და ამონ-
ელთ მსაჯ. 3, 12-14.

ამალეკის სამფლობელოთა ნა-
წილი დაიპყრო ერმან ეფრემისმან
მსაჯ. 5, 14; 12, 15.

მაღიამი და ამალეკი ავიწროებენ
ისრაელს. მსაჯ. 6, 3-5.

ა. დაამარცხა გედეონმა. მსაჯ. 6,
33-34; 7, 12-13, 20-21.

საულმა დაამარცხა ა. და გაათავი-
სუფლა ისრაელი. 1 მეფ. 14, 48.

ამალეკის განადგურება ნაბრ-
ძანებია. 1 მეფ. 15, 1-3.

ამალეკი ამოჟლიტა საულმა. 1 მეფ.
15, 4-8.

საული უარყოფილია იმის გამო,
რომ სრულიად არ ამოჟლიტა ა. 1
მეფ. 15, 9-28; 28, 18-19.

ამალეკის მეფე, აგოგი, მოკლა
სამოელმა. 1 მეფ. 15, 32-33.

დავითი თავს დაესხა ამალეკს. 1
მეფ. 27, 8-9.

ამალეკი თავს დაესხა სეკელას,
„დასცა სეკელა და მოწვა იგი
ცეცხლითა“. 1 მეფ. 30, 1.

დავითი დაეწია ამალეკელთ და
„მოსრნა იგინი“. 1 მეფ. 30, 10-17.

ამალეკთაგან აღებული ნადავლი
დავითმა ღმერთს შესწირა. 2 მეფ. 8,
11-12.

ამალეკი სხვა ტომებთან ერთად
მოსხენებულია, როგორც ისრაელის
გამანადგურებელი. ფს. 82, 4-8.

ამალეკის ნაშთი საბოლოოდ მოის-
პო ეზეკიას დროს. 1 ნემშტ. 4, 43.

ავალუკა

ყოველი დაბადებული ამოებას
დაემორჩილა ცოდვით დაცემის შემ-
დეგ. რომ. 8, 20.

ამაოა

ღმრთის წინაშე ყოველი ადამიანის
არსება. ფს. 38, 5-11; 143, 4.

დღენი ადამიანისა. იობ. 7, 16; ფს.
38, 5; ეკლ. 7, 16.

აზრები ადამიანისა. ფს. 93, 11;
ეფეს. 4, 17. ეკლ. 1, 17-18; 2, 15, 21; 6,
8-9; 1 კორ. 3, 20.

შრომა ადამიანისა. ეკლ. 1, 3; 2, 11,
18-19, 23, 26; 4, 4;

სიხარული ამქვეყნიური. ეკლ. 2,
1-11;

სიამოვნებანი ამქვეყნიური. ეკლ.
2, 1;

ზრუნვა ამქვეყნიური ფს. 38, 6.

სიკეთენი ამა ქვეყნისანი. ფს. 38, 6;
ეკლ. 2, 4-11; 6, 11.

სიმღიდრე და პატივი. ეკლ. 4, 8; 5,
9; 6, 2;

ანგარებისმოყვარეობა. ეკლ. 4,
8; 5.

მართლმსაჯულება და მისაგებელი.
ეკლ. 8, 10-14.

ნუგეშისცემა ადამიანთა. ფს. 108,
12; ეს. 30, 7;

„ამაოება ამათა და ყოველივე
ამაო“. ეკლ. 1, 2, 14; 2, 17, 22; 12, 8;
მრავალსიტყობაში ამაოებატ მრავალ-
ვალბა. ეკლ. 5, 1-6.

უფალმა იცის, რომ ადამიანთა
ზრახვანი ამაოა. 1 კორ. 3, 20.

„აჰა, ყოველთა უწყით, რამეთუ ამო
ამათა მიმართ შევიძინოთ“. იობ.
27, 12.

„ნუ ესავთ სიცრუევსა, და ტაცებად
ნუ გსურის, სიმდიდრე თუ გარდა-
გერეოდის, ნუ შეაყრობთ გულთა
თქვენთა“. ფს. 61, 10.

მორწმუნენი

ვინც გაურბის ამაოებას, ღვთის
კურთხევას იმსახურებს, ხოლო სხეას
უფალი მოიძულებს. ფს. 23, 4; 30, 6.

ლოცულობენ, რომ ა. განშორდნენ.
ფს. 118, 37; იგავ. 30, 8.

სარწმუნოება იმისი, ვინც არა
„აღვირასხმიდეს ენასა თვისსა“, ამაოა.
იაკ. 1, 26.

გამოსყიდულ არიან ამო ცხოვრე-
ბისაგან. 1 პეტ. 1, 18.

ნუვინ გაცდუნებთ თქვენ ამაოებაზე
საუბრიოთ. ეფეს. 5, 6; კოლას. 2, 8.

*

ამაო კამათი არსია ამაოებისა. 1
ტიმ. 1, 6; 6, 20; 2 ტიმ. 2, 14, 16;

წყალობა ამაოა უსიყვარულოდ. 1
კორ. 13, 3.

რწმენა ამაოა საქმის გარეშე. იაკ.
2, 14.

კერპები ამაოა. 1 მფე. 12, 21; იერ.
8, 19; 10, 3, 15; 51, 18.

ამაოა უწმინდურთა მიერ ღვთის
თაყვანისცემა. ეს. 1, 13; მათ. 6, 7.

ცული ადამიანები

განიზრახვენ ამაოებას. ფს. 2, 1;
საქმე. 4, 25; 1 კორ. 3, 20; 2 პეტ. 2, 18.

ლაპარაკობენ ა. ეს. 59, 4; რომ. 1,
21; 3, 20; ტიტ. 1, 10.

მისდევნენ თავიანთი ფიქრების ა.
ეფეს. 4, 17.

ეძლევიან ა. ფს. 30, 6.

აკეთებენ მხოლოდ ამო საქმეებს.
ეს. 41, 29; 1 პეტ. 1, 18.

მიენდობიან ამაოებას. იობ. 15, 31;
ეს. 59, 4.

ღმრთისმსახურებას თვლიან ამა-
ოებად. იობ. 21, 14-15. მალ. 3, 14.

შრომა ღროებითი საუნჯისათვის
ამაოებაა. იგავ. 21, 6.

ხარობენ ამაოებით. ამოს. 6, 14.

მიდიან ამაოების გზით. 4 მფე. 17,
15; იერ. 2, 5, 8.

წინასწარმეტყველებენ ა. გოდ. 2,
14; ეზეკ. 13, 6-8; ზაქ. 10, 2.

*

ღმრთისათვის „ამო იქმნეს გუ-
ლის-ზრახვითა მათითა“. რომ. 1, 21.

მეფენი და ხალხები ღმრთის წინაშე
მხოლოდ ამაოებაა. ეს. 40, 17-23.

ამაღლბა იესო ქრისტანსი

წინასწარმეტყველებანი, რომლე-
ბიც იუწყებიან იესო ქრისტეს ამაღ-
ლებას. ფს. 23, 7-10; 67, 18; 109, 1;
საქმე. 2, 33-34; ეფეს. 4, 8-10.

ამაღლბა იესო ქრისტესი ნაწინა-
სწარმეტყველებია თვით მის მიერ.
ლუკ. 22, 69; იოან. 6, 62; 7, 33; 8, 21;
1 4, 28; 1 6, 5; 20, 17.

ა. ი. ქ. გადმოცემულია ახალ აღთქმაში. მარკ. 16, 19. ლუკ. 24, 51; საქმე. 1, 9-11.

ამაღლება იესო ქრისტისი მოხდა

ზეთისხილის მთაზე. საქმე. 1, 12. მკედრეთით აღდგომიდან ორმოცი დღის შემდეგ. საქმე. 1, 3.

მოციქულთა თვალწინ. მარკ. 16, 14, 19; ლუკ. 24, 50-51; საქმე. 1, 2-9.

მაშინ, როცა თავის მოციქულებს აკურთხებდა. ლუკ. 24, 51.

მას შემდეგ, რაც განწმინდა ჩვენი ცოდვები. ებრ. 1, 3; 9, 12; 10, 12.

*

ქრისტემ ამაღლებით დიდება ჰოვა. ლუკ. 24, 26;

ქრისტე დაჯდა მარჯვენით ღმრთისა ამაღლების შემდეგ. მარკ. 16, 19; საქმე. 2, 33; 5, 31; 7, 55-56; 1 პეტ. 3, 22; რომ. 8, 34; ეფეს. 1, 20-21; კოლას. 3, 1; ებრ. 1, 3; 8, 1; 10, 12; 12, 2.

იესო ქრისტეს ამაღლების მიზანი იყო

სულიწმიდის გარდამოსვლა მორწმუნეებზე. იოან. 7, 39; საქმე. 2, 33.

კაცთათვის საბოძერის მოცემა. ფს. 67, 18; ეფეს. 4, 8, 11.

ღმრთის სასუფეველში მორწმუნეებისათვის ადგილის მომზადება. იოან. 14, 2.

თავისი ხალხის წინამორბედობა. ებრ. 6, 20.

შუამდგომლობა ჩვენთვის. რომ. 8, 33-34; ებრ. 7, 25; 9, 24.

*

ქრისტე იმყოფება ზეცაში მანამდე, სანამ არ აღსრულდება ყოველივე

რასაც ღმერთი ამბობდა ოდითგანვე წინასწარმეტყველთა პირით. საქმე. 3, 21.

ქრისტეს მეორედ მოსვლა მოხდება იმგვარადვე, როგორც მოხდა მისი ამაღლება. საქმე. 1, 11; 1 თეს. 4, 16.

ა. ი. ქ. ღვთისაგან კურთხეული გზაა ადამიანის მეორედ შობისა. 1 პეტ. 1, 3, 23; 2, 2; 1 კორ. 4, 15; ტიტ. 3, 5.

ამაღლება იესო ქრისტისი აღწერილია, როგორც

განახლება. 2 კორ. 5, 15-17; გალ. 6, 15; ეფეს. 2, 10; 4, 23-24;

მოწოდება სიბნელიდან სინათლისაკენ. 1 პეტ. 2, 9; 2 კორ. 4, 6; ეფეს. 5, 8.

სულიერი აღდგომა. იოან. 5, 25; რომ. 6, 4-8. 11-13; ეფეს. 2, 5-6; 5, 14; კოლას. 2, 12-13; 3, 1.

ახალი სიცოცხლე. რომ. 6, 4.

ახალი გული. ეზეკ. 11, 19; 18, 31; 36, 26.

ახალი სული. ეზეკ. 11, 19; 18, 31; 36, 26; რომ. 7, 6; 12, 2. ეფეს. 4, 23.

ძველი, ცოდვილი ზორცის განქარვება და ახლის შემოსვა. რომ. 6, 6; ეფეს. 4, 22-24; კოლას. 3, 9-10.

სიკვდილი ცოდვისა და სიცოცხლე სიმართლისა. 1 პეტ. 2, 24; რომ. 6, 13.

განახლება მსგავსად ხატისა მის დამბადებელისა მისისა. კოლას. 3, 10.

მომნიჭებელი ღმრთის ბუნებასთან ზიარებისა. 2 პეტ. 1, 4.

გაცოცხლება იესო ქრისტეში. რომ. 6, 11; ეფეს. 2, 5; კოლას. 2, 13.

ქრისტე გამოხატულია ჩვენში. გალ. 4, 19.

„ცხოვრება თქვენი დაფარულ არს ქრისტეთურთ ღმრთისა თანა“. კოლას. 3, 3.

შინაგანი კაცი. რომ. 7, 22; 2 კორ. 4, 16.

წინადაცვეთა გულისა. იერ. 4, 4; რომ. 2, 29;

სულიწმიდის მიერ განახლება. ტიტ. 3, 5.

ამაღლება იესო ქრისტესი იწვევს

მიმსგავსებას ქრისტესადმი. კოლას. 3, 10-13.

მიმსგავსებას ღმრთისადმი. კოლას. 3, 10.

ღმრთის შეცნობას. იერ. 24, 7; 31, 33-34; 1 იოან. 4, 7; კოლას. 3, 10; ებრ. 8, 10-11.

აღთქმის დაჯერებას. იერ. 32, 33; ეზეკ. 36, 26-27; რომ. 12, 2; ებრ. 8, 10.

ცოდებათა სიძულვილს. 1 იოან. 3, 9; 5, 18; რომ. 6, 4, 6, 12, 14; ეფეს. 4, 23-31; კოლას. 3, 1-10.

ძმურ სიყვარულს. 2 პეტ. 1, 4-7; 1 იოან. 4, 7; კოლას. 3, 10-14.

სიმართლესა და სიწმინდეს. 2 პეტ. 1, 4-7; 1 იოან. 2, 29; ეფეს. 4, 24; კოლას. 3, 10-14.

ფიქრებს საღმრთოზე. რომ. 8, 5; კოლას. 3, 1-2.

ამქვეყნიურ გულისთქმათა ძლევას. 2 პეტ. 1, 4; 1 იოან. 5, 4.

*

ამაღლება იესო ქრისტესი ჩანს ქრისტესადმი რწმენაში. იოან. 1, 12; 1 იოან. 5, 1.

ა. ი. ქ. ზდება საიდუმლო გზით. იოან. 3, 8.

ა. ი. ქ. არის სულიერი ცხოვრების დასაწყისი. რომ. 6, 4, 11; ეფეს. 2, 5, 10.

ყველა მორწმუნე ხელახლად შობილი. იოან. 1, 12; 1 პეტ. 1, 23; 2, 2.

ამინ

ეს სიტყვა ებრაული წარმოშობისაა, ნიშნავს: უეჭველად, ჭეშმარიტად, უდაოდ, დიან! მათ. 5, 18, 26; 6, 2, 16; 8, 10; მარკ. 14, 30; ლუკ. 23, 43; იოან. 3, 3, 5, 11; 13, 38.

ამის სოფლისაგანნი (ამჰჰჰჰნიური)

ეტყვოდა იესო ჰურიათა: „თქვენ ქვეყანისაგანნი ხართ, ხოლო მე ზეცისაგანი ვარ; თქვენ ამის სოფლისაგანნი ხართ, ხოლო მე არა ამის სოფლისაგანი ვარ“. იოან. 8, 23.

ამაღა, ამაწელნი

წარმომავლობა. დაბ. 19, 38.

ლოთის ძენი. 2 სჯ. 2, 20.

ამონის ძენი. იერ. 25, 21.

ამანს მართაედნენ მეფეები მემკვიდრეობით. 2 მეფ. 10, 1.

„ამანიტელთა მათ სახელი პრქვიან ზომზომინ“. 2 სჯ. 2, 21.

ა. მეზობლად სახლობდნენ ამორეველნი. რიცხ. 21, 25.

ისრაელმა სეონის სამფლობელო დაიპყრო ამანელთა საზღვრამდე. რიცხ. 21, 23.

ა. ქვეყნის ნახევარი გადაეცა გადის ტომს. ისუ ნავ. 13, 24.

ამანელები ხასიათით დაუნდობელნი იყვნენ: ამოს. 1, 13;

ქედმაღალნი და ამპარტყეანნი. სოფ. 2, 10;

შურისმაძიებელნი. ეზეკ. 25, 3-6.
 ა. თაყვანს სცემდნენ კერაებს. მსაჯ. 10, 6; 3 მეფ. 11, 7. 34; 4 მეფ. 23, 13.
 ა. იყვნენ ცრუმორწმუნენი. იერ. 27, 3, 9.
 ამანელებს უყვარდათ ფუფუნება. 2 ნეშტ. 20, 25.
 ამანის მთავარი ქალაქი იყო რაბბაფი. 2 მეფ. 12, 26-27; იერ. 49, 3.
 ამანელნი სამუდამოდ განდევნილნი არიან ღმრთის სახლიდან. 2 სჯ. 23, 3; ნემ. 13, 1.
 ამანელებთან აკრძალულია სამშვიდობო მოლაპარაკება. 2 სჯ. 23, 6.
 ამანელნი ისრაელის წინააღმდეგ კავშირს კრავენ მოაბსა და ამალკთან. მსაჯ. 3, 12-13.
 ა. კავშირს დებენ ფილისტიმელებთან ისრაელის წინააღმდეგ. მსაჯ. 10, 6-9.
 ა. დაამარცხა იეფთაემ და გაათავისუფლა ისრაელი. მსაჯ. 10, 15, 18; 11, 4, 33.
 ამანელთ ისრაელს შესთავაზეს დამამცირებელი კავშირი. 1 მეფ. 11, 1-3.
 ამანელნი დაამარცხა საულმა. 1 მეფ. 11, 11; 14, 47.
 ამანელთ შეურაცხვეს დავითის მსახურნი. 2 მეფ. 10, 1-4.
 ა. დაიქირავეს ასურელნი დავითის წინააღმდეგ. 2 მეფ. 10, 6.
 იოაბმა დაამარცხა ამანელნი. 2 მეფ. 10, 7-14; 12, 26-29.
 დავითმა დაამარცხა ა. 2 მეფ. 12, 30-31.
 ამანის ქალაქები მიეცა სასტიკ სასჯელს. 2 მეფ. 12, 31.

დავითმა ამანელთაგან წართმეული ნაღელი ღმერთს შესწირა მსხვერპლად. 2 მეფ. 8, 11-12.
 ა-გან სოლომონს ჰყავდა ცოლები, რომლებმაც თან მოიტანეს თავისი ქვეყნის კერაები. 3 მეფ. 11, 1-8.
 ამანელნი იოსაფატის მოწინააღმდეგეებთან არიან კავშირში. 2 ნეშტ. 20, 1; ფს. 82, 8.
 ამანელთა სასწაულებრივი დამარცხება. 2 ნეშტ. 20, 5-24.
 ამანელნი ემორჩილებიან ოზიას. 2 ნეშტ. 26, 8.
 ა. განდევნა იოათამმა. 2 ნეშტ. 27, 5.
 ამანელთ დაიპყრეს გადის ქვეყანა. იერ. 49, 1.
 ამანელნი ეხმარებოდნენ ქალდეელებს იუდას ქვეყნის წინააღმდეგ. 4 მეფ. 24, 2.
 ამანელთ ეწინასწამეტყველათ, რომ დაემორჩილებოდნენ ბაბილონს. იერ. 25, 9-21; 27, 3, 6.
 მოისპობოდნენ, რადგან მტრობდნენ ისრაელს. ეზეკ. 25, 2-10; სოფ. 2, 8-9.
 დაისჯებოდნენ მხეცობისათვის. იერ. 49, 1-5; ამოს. 1, 13-15.
 ა. ტყვეთა დაბრუნება. იერ. 49, 6.
 უნდა დაემორჩილონ იუდეველთ. ეს. 11, 14.
 *
 ისრაელმა ამანელთ ხარკი დაადო. მსაჯ. 1, 32-35.
 ამანელნი სამუელის დროს ისრაელთან მშვიდობიანად იყვნენ. 1 მეფ. 7, 14.
 ა. ემორჩილებიან სოლომონს. 3 მეფ. 9, 20-21.

აკაბი ჰბაძაქდა ამანელთა სისაძაგ-
ლეს. 3. მეფ. 21, 25.

მანასე აღემატებოდა ამანელებს
სისაძაგლით. 4 მეფ. 21, 11.

ამორეველინი

წარმომავლობა. დაბ. 10, 15-16;

ქანაანის ერთ-ერთი ტომი. დაბ.
15, 21; გამ. 3, 8, 17.

ამორეველებს მართავდა მრავალი
დამოუკიდებელი მეფე. ისუ ნავ. 5, 1;
9, 10.

ამორეველნი ადრე ცხოვრობდნენ
სამხრეთის მთიან მხარეს. რიცხ. 13,
30; მსაჯ. 1, 36-38.

ამორეველებმა მოაბისაგან შეიძი-
ნეს დიდი ტერიტორია მდ. იორდანეს
აღმოსავლეთ მხარეს. რიცხ. 21, 25.

ამორეველებს ჰქონდათ მრავალი
მაგარი ქალაქი. რიცხ. 32, 33.

ამორეველნი იყვნენ ტანდილნი და
ძლიერნი. ამოს. 2, 9.

ამორეველნი იყვნენ ცოდვილნი.
დაბ. 15, 16.

ამორეველნი იყვნენ კერპთმსახურ-
ნი. ისუ ნავ. 24, 15.

ა. დაამარცხა ქოდოლ-გომორის
მეფემ. დაბ. 14, 7.

ა. იყვნენ აბრაამის მოკავშირენი.
დაბ. 14, 13.

იაკობმა ამორეველთაგან მოიპოვა
მიწის ნაკვეთი. დაბ. 48, 22.

ამორეველნი დაწყვეტილნი არიან.
2 სჯ. 20, 16-17.

ამორეველთა მეფე სენმა ისრაელს
აუკრძალა მის ტერიტორიაზე გაეღა.
რიცხ. 21, 20-23; 2 სჯ. 2, 31.

ისრაელმა ამორეველებს წაართვა
აღმოსავლეთი ნაწილი. რიცხ. 21,
24-34.

2. ბიბლიის ლექსიკონი.

მოსემ ამორეველთა მიწები მისცა
რუბენის ძეთ. ისუ ნავ. 13, 15-31.

დასავლეთის მეფენი კავშირს
კრავენ ამორეველებთან ისრაელის
წინააღმდეგ. ისუ ნავ. 10, 1-5.

ისუ ნაყს სასწაულებრივი გამარჯ-
ვება ამორეველებზე. ისუ ნავ. 10,
11-14.

ამორეველთა მეფეებს წაართვეს
ტახტი და დახოცეს. ისუ ნავ. 10,
23-26.

ა. ნარჩენებმა, გაბალონელებმა,
მოატყვეს ისრაელი. ისუ ნავ. 9, 4-16;
2 მეფ. 21, 2.

ამორეკვა

ქრისტე რჩეულია მამისა. მათ. 12,
18; 1 პეტ. 2, 6.

ა. კეთილ ანგელოზთა. 1 ტიმ. 5, 21.

ა. ისრაელისა. 2 სჯ. 7, 6; 10, 15; 14,
2; 2 მეფ. 7, 23; 1 ნეშტ. 16, 13; ფს. 104,
6; 134, 4; ეს. 41, 8-9; 44, 1; 45, 4; 48,
9-11.

ა. წინასწარმეტყველთა. ფს. 88, 3;
104, 26; იერ. 1, 5.

ა. მოციქულთა. მარკ. 3, 13; ლუკ.
6, 13; იოან. 15, 16; საქმე. 9, 15; 26, 16;
გალ. 1, 15-16.

ა. ეკლესიათა. 1 პეტ. 5, 13.

ა. მორწმუნეთა. რომ. 16, 13; 1 პეტ.
1, 1-2; 2 იოან. მუხლი 13.

ა. ცალკე, კერძოდ. 1 ნეშტ. 28, 5;
იერ. 1, 5; მათ. 20, 23; მარკ. 3, 13; 10,
40; საქმე. 9, 15; 22, 14; გალ. 1, 15.

მორწმუნენი არიან ღვთის რჩეულ-
ნი. ეს. 65, 9; მათ. 24, 31; მარკ. 13, 27;
ლუკ. 18, 7; რომ. 8, 32-33; კოლას. 3,
12; ტიტ. 1, 1; 1 პეტ. 2, 9; გამოცხ.
17, 14.

ამორჩევა მორწმუნეთა

არის ღმერთის საქმე. ეფეს. 1, 3-4; 1 თეს. 1, 4; ტიტ. 1, 1.
 ხდება ქრისტეს მიერ. მარკ. 3, 13; იოან. 13, 18; 15, 16. ეფეს. 1, 4.
 ხდება ღმერთის განგებით. რომ. 8, 27-28; 9, 11; ეფეს. 1, 11; 2 ტიმ. 1, 9.
 ხდება ღმერთის წინასწარი განჭვრეტი. 1 პეტ. 1, 2; რომ. 8, 28-29.
 არის საუკუნო, უწინარეს ქვეყნიერების დაბადებისა. ეფეს. 1, 4; 2 თეს. 2, 13; 2 ტიმ. 1, 9.
 ხდება თვინიერ დამსახურებისა. რომ. 9, 11; 2 ტიმ. 1, 9.
 ხდება მადლით. რომ. 11, 5; გალ. 1, 15; 2 ტიმ. 1, 9.
 ხდება დიდებისათვის ღმერთისა. ეფეს. 1, 5-12.
 ხდება ცხოვნებისათვის. 1 თეს. 5, 9-10; 2 თეს. 2, 13.
 ხდება საუკუნო დიდებისათვის. რომ. 8, 29-30; 9, 23.
 ხდება ქრისტეს სისხლის საკურებლად. 1 პეტ. 1, 2.
 ხდება ქრისტეს მიმართ დასამორჩილებლად. 1 პეტ. 1, 2.
 ხდება, რომ ვიყოთ მსგავსი ქრისტეს ხატებისა. რომ 8, 28-29.
 ხდება კეთილი საქმეებისათვის. ეფეს. 2, 10.
 ხდება, რომ ვიყოთ წმინდა და უბიწო „წინაშე მისსა სიყვარულით“. ეფეს. 1, 4.
 ხდება ჭეშმარიტების რწმენით. 2 თეს. 2, 13.
 ხდება სულის განწმენდით. 1 პეტ. 1, 2; 2 თეს. 2, 13.

*

მორწმუნეებმა იციან, რომ რჩეულნი არიან. 1 თეს. 1, 4.
 საზოგადო უბედურებანი შემცირდებიან რჩეულთათვის. მათ. 24, 22; მარკ. 13, 20.
 რჩეულთ ყოველივე განემარჯვებათ სასიკეთოდ. რომ. 8, 27-28.
 „...მტკიცე ჰყოთ ჩინება იგი თქვენი და რჩეულება“. 2 პეტ. 1, 10.
 „მრავალნი არიან ჩინებულ, ხოლო მცირედნი რჩეულ“. მათ, 20, 16; 22, 14.
 ნეტარ არიან რჩეულნი ღმერთისანი. ფს. 32, 12; 64, 4.
 უკანასკნელ დღეს ქრისტე შეკრებს მთელი ქვეყნის რჩეულთ. მათ. 24, 31; მარკ. 13, 27.
 ამორჩევა არის მიზეზი განწმენდისა. კოლას. 3, 12-17.
 მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი: ისრაელი. 2 სჯ. 7, 6; სოლომონი. 1 ნეშტ. 28, 5-6; აბრაამი. ნემ. 9, 7; მოსე. ფს. 106, 23-24 იერემია. იერ. 1, 5; ზორობაბელი. ანგ. 2, 23; იაკობი. მალ. 1, 2-3; რომ. 9, 12-13; მოწაფენი. მარკ. 3, 13; ლუკ. 6, 13; იოან. 15, 16; საველ ტარსელი. საქმე. 9, 11-15; 22, 14; პაველ. გალ. 1, 15.
ამპარტავენება
 ამპარტავენება აკრძალულია. 2 სჯ. 17, 12; 1 მფე. 2, 3; იგავ. 3, 5-7; 27, 1-2; ეკლ. 7, 17; იერ. 9, 23; 13, 15; რომ. 12, 3-16.
 ა. არის ცოდვა. იგავ. 21, 4; იაკ. 4, 16.
 ღმერთის სძულს ა. იგავ. 6, 16-17; 8, 13; 16, 5; ლუკ. 16, 15.

დაგმო ქრისტემ. მათ. 20, 26; მარკ. 9, 35; 10, 43-44.

ა. იბადება, იწყება გულისაგან. მარკ. 7, 21-23.

ამპარტავენების წყარო არის

თვითდაჯერება. იგავ. 28, 26; 30, 11-12. მათ. 26, 33-35. ლუკ. 18, 11-12; გამოცხ. 3, 17.

სიმღიდრე. 2 სჯ. 8, 12, 14, 17; ფს. 48, 6; იგავ. 28, 11; იერ. 9, 23; ოს. 13, 6; 1 ტიმ. 6, 17.

უფლებამოსილება. 2 ნეშტ. 26, 16; ეს. 10, 13; ეზეკ. 28, 4; იერ. 9, 23; ამბაკ. 2, 5; აბდ. მუხლი 3.

რელიგიური უფლებები. ეს. 48, 2; იერ. 7, 4; სოფ. 3, 11; იოან. 8, 33.

გამოუცდელიობა. 1 ტიმ. 3, 6.

ამპარტავენება არის ერთ-ერთი თვისება

ეშმაკისა. ეს. 14, 12-15; 1 ტიმ. 3, 6. ამა სოფლისა. 1 იოან. 2, 16.

ცრუ მოძღვართა. მათ. 23, 5-7; მარკ. 12, 38-39; ლუკ. 11, 43; 20, 46; კოლას. 2, 18; 1 ტიმ. 6, 3-4; 2 პეტ. 2, 18; იუდ. მუხლი 16.

ბოროტთა. ფს. 11, 4; 16, 10; 72, 4-7; იგავ. 30, 13. რომ. 1, 30; 1 კორ. 5, 2; იუდ. მუხლი 16.

ამპარტავენებას ხალხი მიჰყავს

ურწმუნოებისაკენ. იოან. 5, 44.

ღმრთის წინააღმდეგობისაკენ. 2 სჯ. 1, 43; 17, 12; ნემ. 9, 16. 17; იერ. 13, 10.

ღმრთის დაიწვევებისაკენ. 2 სჯ. 8, 14; ოს. 13, 6.

ღმრთის უგულებელყოფისაკენ. ფს. 9, 24-25;

რისხვისაკენ. იგავ. 21, 24.

ჩხუბისაკენ. იგავ. 13, 10;

სხვისი დაჩაგვრისაკენ. ფს. 9, 22; 72, 6, 8; 85, 14.

თავის მოტყუებისაკენ. იერ. 49, 16; გალ. 6, 3; აბდ. მუხლი 3.

სხვისი დამცირებისაკენ. ეს. 28, 3. ლუკ. 14, 11; 18, 14;

შერცხვენამდე. ფს. 118, 78; იგავ. 11, 2; 29, 23.

წარწყმელისაკენ. იგავ. 16, 4; 17, 19; 18, 12.

*

„პირველნი იქნებიან უკანასკნელნი“. მათ. 19, 30; 20, 16; მარკ. 10, 31; ლუკ. 13, 30.

რომელსა მოუნდება დიდ ყოფაი, იგი იქნება უკანასკნელი. მათ. 20, 26-27; 23, 11; მარკ. 9, 35; 10, 43-44.

„ყოველი, რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს“. იგავ. 29, 23; მათ. 23, 12; ლუკ. 14, 11; 18, 14.

ღმერთი

შემუსრავს ამპარტავენებს. იაკ. 4, 6; 1 პეტ. 5, 5.

სძულს ამპარტავეანი. ეს. 37, 22-23; 23, 9; აბდ. მუხლი 2-4.

დასჯის ამპარტავენებს. ფს. 30, 23; იგავ. 16, 5; იერ. 50, 31-32.

დაამცირებს ამპარტავენებს. 2 მეფ. 22, 28; იობ. 40, 7; ეს. 2, 11. 17; 5, 15; 13, 11; 26, 5; დან. 4, 37; ნაუმ. 2, 2; მათ. 23, 12; ლუკ. 18, 14; აბდ. მუხლი 3-4.

ჩაშლის ამპარტავეანთა გეგმებს. ლუკ. 1, 51.

ვაი! ამპარტავენებს. ეს. 5, 21; 28, 1-3; ლუკ. 11, 43.

მორწმუნენი

თავისუფალნი არიან ამპარტავენებისაგან. ფს. 130, 1; 1 კორ. 13, 4.

სძულთ სხვისი ამპარტავენება. ფს. 39, 4; 100, 5.

გლოვობენ სხვის ამპარტავენებას. იერ. 13, 17.

*

შეგონება — განერნენ ამპარტავენებისაგან. იგავ. 25, 6-7; 27, 1-2; რომ. 11, 20; 12, 3, 16; 1 კორ. 3, 18; 4, 6; 10, 12; გალ. 5, 26; ფილიპ. 2, 3; 1 ტიმ. 6, 17.

სასჯელი ამპარტავენებისათვის. ლევ. 26, 19-20; რიცხ. 15, 30; 2 სჯ. 17, 12; ფს. 5, 5; 11, 3; 30, 23; 118, 21; იგავ. 15, 25; ეს. 2, 12; 10, 12, 13, 16; 13, 11, 19; იერ. 50, 31-32; ეზეკ. 28, 2-10; ოს. 5, 5; სოფ. 2, 9-11; მალ. 4, 1.

უკანასკნელ დღეებში კაცნი იქნებიან ამპარტავენანი. 2 ტიმ. 3, 2.

ადამიანს არა აქვს არავითარი საფუძველი ამპარტავენებისათვის. ეს. 10, 15-16; რომ. 12, 3; კორ. 4, 7; 2 კორ. 3, 5; 10, 18.

ამპარტავენების მაგალითები: პირველი ადგილის დაჭერა წვეულების დროს. ლუკ. 14, 7-11. მშენებელნი ბაბილონის გოდოლისა. დაბ. 11, 4; ისრაელნი. 2 სჯ. 1, 43-44; სენაქერემი. 4 მეფ. 18, 35; 19, 22-28; 2 ნეშტ. 32, 13, 14. ასაბია. 2 ნეშტ. 25, 19; ოზია. 2 ნეშტ. 26, 16, 20; ეზეკია. 2 ნეშტ. 32, 25; ფარაონი. ნემ. 9, 10; ამანი. ესთ. 5, 11-13; ეფრემი. 9, 9; ოს. 5, 5; მეფე ასურასტანელთა. ეს. 10, 12-14. 16; ზაქ. 10, 11; ბაბილონი. ეს. 13, 11. 19; 47, 8. 10; იერ. 50, 29-32;

გამოცხ. 18, 2, 7; მოაბი. ეს. 16, 6; იერ. 48, 29; სოფ. 2, 9-11; ნაბუქოდონოსორი. დან. 4, 30-33; 5, 20; მთავარი ტიროსისა. ეზეკ. 28, 2-10; ბალტასარი. დან. 5, 22-23; ედომი. აბდ. მუხლი 3; ცოლი ზებედესი. მათ. 20, 20-21; მწიგნობარნი და ფარისეველნი. მათ. 23, 5-7; მარკ. 12, 38-39; ლუკ. 20, 46; პეტრე. მათ. 26, 33-35; მარკ. 8, 32; მოწაფენი. მარკ. 9, 34; ლუკ. 9, 46; 22, 24; იაკობი და იოანე. მარკ. 10, 35-37; ჰეროდე. საქმე. 12, 21-23. დიოტროფე. 3 იოან. მუხლი 9.

ანბარება

აკრძალულია. გამოს. 20, 17; 2 სჯ. 5, 21; 7, 25-26; ლუკ. 12, 5; რომ. 13, 9; ეფეს. 5, 3; 1 თეს. 4, 6; ებრ. 13, 5.

ა. არის კერპთმსახურება. ეფეს. 5, 5; კოლას. 3, 5.

ა. არის საფუძველი ყოველი ბოროტებისა. 1 ტიმ. 6, 10.

ა. აღუესებელია. ეკლ. 4, 8; 5, 10.

ა. არის ამაოება. ეკლ. 4, 8.

ა. გამოეაღს გულისაგან. მარკ. 7, 21-22.

ა. ეუფლება გულს. იერ. 22, 17; ეზეკ. 33, 31; 2 პეტ. 2, 14.

ანგარებას ადამიანი მიჰყავს

უგუნური სურვილებისაკენ. 1 ტიმ. 6, 9.

ურწმუნოებისაკენ. 1 ტიმ. 6, 10.

მაცდურობისაკენ. ეს. 32, 7; იერ. 5, 27; ეზეკ. 22, 12; ამოს. 8, 4-6; მიქ. 6, 11.

სიცრუისაკენ. 4 მეფ. 5, 22-25.

უსამართლობისა და მჩაგვრელობისაკენ. იგავ. 28, 16. ამოს. 8, 4-6; მიქ. 2, 2.

ქურდობისაკენ. ისუ ნავ. 7, 21; მიქ. 2, 2
 მკვლელობისაკენ. იგავ. 1, 12-13; ეზეკ. 22, 12.
 სიღარიბისაკენ. იგავ. 28, 22.
 ოჯახურ უსიამოვნებათაკენ. იგავ. 15, 26.
 განადგურებისა და დაღუპვისაკენ. 1 ტიმ. 6, 9.

მორწმუნენი

უნდა ერიდებოდნენ ანგარებას. ეფეს. 5, 3; 1 თეს. 4, 6; ებრ. 13, 5; სტულთ ანგარება. გამ. 18, 21; საქმე. 20, 33.
 უნდა მოაკედინონ თავიანთ გულში ა. კოლას. 3, 5.
 უნდა ღოცულობენ რომ განთავისუფლდნენ ანგარებისაგან. ფს. 118, 36.
 ღმრთისმსახურნი თავისუფალნი უნდა იყვნენ ანგარებისაგან. 1 თეს. 2, 5; 1 ტიმ. 3, 3;

უსჯულონი

მისდევნ ანგარებას. რომ. 1, 29; 2 პეტ. 2, 14.

*

წყველა ანგარების წინააღმდეგ. ეს. 5, 8; ამბკ. 2, 9-10.
 სასჯელი ანგარებისათვის. იობ. 20, 15, 18-23; იგავ. 1, 19; 28, 20, 22; ეს. 57, 17; იერ. 6, 12-13; 8, 10; 22, 17-19; 51, 13; ეზეკ. 22, 12, 27, 31; ამოს. 8, 4-7; მიქ. 2, 2-3; 1 თეს. 4, 6; იაკ. 5, 1-3.
 ანგარება განდევნილია ღმრთის სასუფეველიდან. 1 კორ. 6, 9-10; ეფეს. 5, 5.
 ა. გამეფდება უკანასკნელ დღეებში. 2 ტიმ. 3, 1-2;

მაგალითები: ლაბანი დაბ. 31, 41; აქარი, ძე ზარასი. ისუ ნავ. 7, 21; ძენი ელი მღვდელისანი. 1 მეფ. 2, 12-16; სამუელის შვილები. 1 მეფ. 8, 13; საული. 1 მეფ. 15, 19; გეზი. 4 მეფ. 5, 20-24; მღვდელნი იუდეველთა. ეს. 56, 11; იოაკიმე. იერ. 22, 17-19. ჭაბუკი. მათ. 19, 21-22; მარკ. 10, 21-22. ლუკ. 18, 22-23; იუდა. მათ. 26, 14-15. ფარისეელები. ლუკ. 16, 14; ანანია და საფირა. საქმე. 5, 1-10; დემეტრიოს. საქმე. 19, 24-27; ბალამ ბოსორელი. 2 პეტ. 2, 15; იუდ. მუხლი 11.

ანბალოზი

სახელწოდება ანგელოზი წარმოსდგება ბერძნული სიტყვისაგან და ნიშნავს მაცნეს, მათწყებელს. ცალკეულ ანგელოზთა სახელები: მიქაელი, გაბრიელი, რაფაელი. წმინდა წერილში მოგვიანებით ჩნდება, წინასწარმეტყველ დანიელის ეპოქიდან. დან. 10, 13; 8, 16; ლუკ. 1, 19.

ვინ არიან ანგელოზები?

ისინი იწოდებიან მომსახურე „სულებად“ (ებრ. 1, 14) აქედან გამომდინარე, ისინი თავიანთი არსებით განსხვავდებიან ადამიანებისაგან, რომელთა ბუნებრივი არსი ბიბლიაში განისაზღვრება სიტყვით „ხორცი“. დაბ. 6, 3; იოან. 3, 6. ანგელოზები გამოირჩევიან იმით, რომ მათი ბუნებრივი არსი ახლოსაა ღმერთთან, რომელიც სულს წარმოადგენს. ამის საფუძველზე ისინი იწოდებიან აგრეთვე „ძედ ღმრთისა“ და „წმინდანებად“. იობ. 1, 6; ფს. 88, 6; მათ. 25, 31. თუმცა მათ, როგორც ჩანს, მაინც აქვთ

გარკვეული ხორციელი სახე, მხოლოდ ჩვენზე სრულყოფილი, რადგანაც მათ შეუძლიათ გახდნენ ხილულნი. იესო ქრისტე ჩვენს სხეულს, მკვდრეთით აღდგომის შემდეგ, ადარებს მათ სხეულს. მათ. 22, 30.

ანგელოზთა გამოსახვის წყალობით ადამიანებს გამოუმუშავდათ გულბრყვილო წარმოდგენა მათ შესახებ; თუმცა წმინდა წერილი ამბობს, რომ მათი ძალა და ღიღებულება ცხადია. ისუ ნავ. 5, 14; ფს. 102, 20; გამოცხ. 5, 2; მათ. 28, 2-3.

ანგელოზების ურიცხვ დასთა შორის ისევე როგორც ადამიანთა შორის, არსებობს განსხვავებანი მათი მნიშვნელობის მიხედვით. ეს. 6, 2; მათ. 26, 53; ლუკ. 2, 13; ებრ. 12, 22; ეფეს. 1, 20; 1 თქს. 4, 16; 1 პეტ. 3, 22. იუდ. 1, 6-9. გამოცხ. 12, 7.

„ანგელოზი უფლისა“ გვხვდება მრავალ ადგილას. დაბ. 16, 7; მსაჯ. 2, 1; ლუკ. 1, 11 და ა.შ.

ის ადამიანებთან ლაპარაკობს ისე, როგორც ილაპარაკებდა ღმერთი (შეადარე გამოს. 3, 2. ჩვენება ცეცხლოვანი მაყვლის ბუჩქში, როდესაც ღმერთმა მოსეს გამოუცხადა თავისი სახელი.) ისმება კითხვა: არის თუ არა ანგელოზი ღმრთის განსაკუთრებული მაცნე, რომლის მეშვეობითაც ღმერთი ურთიერთობას ამყარებს ადამიანთან, თუ ეს არის სახე, რომელსაც იღებს ღმერთი, რომ გახდეს ადამიანის გრძნობებისათვის მისაწვდომი?

„ქერუბინი“ არიან, ღმრთის მეგზურნი, ზოგჯერ — მისი ღიღების

მატარებელნი. ეზეკ. 10 თავი; ფს. 17, 11; 79; 98, 1; დაბ. 3, 24. ხან კი — როგორც მცველნი წინაშე „საშვებელსა სამოთხისასა“.

„სერაბინი“ მოხსენებული არიან მხოლოდ ესაიას წინასწარმეტყველების მეექვსე თავში, როგორც ანგელოზნი, მგლომნი უფლის ტახტის გარშემო, რომელნიც ადიდებენ უფალ საბაოთს.

შვიდი ეკლესიის ანგელოზნი. გამ. 2 და 3 თავები. ესენი ან არიან ანგელოზები, რომელთაც ევალებათ მფარველობა ეკლესიისა, ან ასე იწოდებიან წინამძღოლნი ეკლესიისა, რომელნიც, როგორც ღმრთის მაცნენი, მოწოდებულნი არიან აუწყონ მათ ჭეშმარიტება ღმრთისა და თვალყური ადევნონ მათ ცხოვრებას.

ანგელოზთა საქმეა ემსახურონ ღმერთს და მისი დაკავლებით ადამიანებს. ფს. 102, 20. ებრ. 1, 13-14.

მათ მსახურებას ღვთისადმი შეადგენს, ერთი მხრივ მისი ღვდება და, მეორე მხრივ მისი ბრძანებების აღსრულება. 2 მფუ. 24, 16. ფს. 148, 2; ეს. 6, 2-3; მათ. 1, 20; 13, 41; ლუკ. 1, 11-13; 26-28; 2, 9; გამოცხ. 8, 2; 15, 1.

მათი მსახურების არსი არის ხალხის დაცვა, წინამძღოლობა, ხსნა და განმტკიცება. დაბ. 24, 7; ფს. 33, 7; მათ. 18, 10; საქმე. 5, 19; 12, 7; მოციქულთა დახსნა საპყრობილიდან. ლუკ. 22, 43; საქმე. 27, 23. ისინი ხდებიან ადამიანთა განცდების თანაზიარნი და იმყოფებიან ეკლესიასთან მუდმივერთიანობაში ღვდამიწაზე. ლუკ. 15, 10; 16, 22; 1 პეტ. 1, 12; ებრ. 12, 22.

ანგელოზები გაჩენილნი არიან ღმრთისა და ქრისტესაგან. ნემ. 9, 6; ფს. 32, 6; კოლას. 1, 16.

ა. შეადგენენ ზეციურ მხედრობას. ისუ ნაე. 5, 14; 3 მეფ. 22, 19; 2 ნეშტ. 18, 18; ნემ. 9, 6; ფს. 102, 20; დან. 7, 10; ლუკ. 2, 13.

ა. არიან მსახურნი და სული ღმრთისა. ფს. 90, 11; 102, 20-21; 103, 4; ლუკ. 16, 22; ებრ. 1, 7, 14.

ა. ემორჩილებიან ღმრთის ნებას. ფს. 102, 20-21. ა. ასრულებენ ღმრთის განზრახვას. გამ. 23, 20-23; რიცხ. 20, 16; ფს. 102, 21; ლუკ. 1, 19, 26; გამოცხ. 22, 6.

ა. ასრულებენ ღმრთის მსჯავრს. დაბ. 19, 13; 2 მეფ. 24, 16; 4 მეფ. 19, 35; 1 ნეშტ. 21, 15; 2 ნეშტ. 32, 21; ფს. 34, 5-6; ეს. 37, 36; საქმე. 12, 23; გამოცხ. 16, 1.

ა. იუწყებიან ღმრთისა და ქრისტეს ნებას. დან. 8, 16-17; 9, 21-23; 10, 11-14; მათ. 2, 13, 20; ლუკ. 1, 19; საქმე. 5, 19-20; 8, 26; 10, 3-4; 27, 23-24; გამოცხ. 1, 1; 22, 6, 16.

კანონი (სჯული) განცხადდა ანგელოზთა შუამავლობით. საქმე. 7, 38. 53; გალ. 3, 19; ებრ. 2, 2.

ანგელოზი ღმრთისა ხელმძღვანელობდა ისრაელს ეგვიპტიდან გამოსვლის დროს. გამ. 14, 19; 23, 20; 32, 34; 33, 2; რიცხ. 20, 16.

მსჯავრნი ღმრთისანი

შესრულებულნი ანგელოზთა მიერ

დანგრევა სოდომისა და გომორისა. დაბ. 19, 13.

სიკვდილიანობა იერუსალიმში. 2 მეფ. 24, 16-17; 1 ნეშტ. 21, 15-16.

გაწყვეტა ასურასტანელთა ჯარისა. 4 მეფ. 19, 35; 2 ნეშტ. 32, 21; ეს. 37, 36.

ჰეროდე, მოწყვლული სიკვდილით. საქმე. 12, 23.

ანგელოზებმა აუწყეს

მუცლად-ღება იესო ქრისტესი. მათ. 1, 20-21; ლუკ. 1, 31.

შობა იესო ქრისტესი. ლუკ. 2, 10-12.

აღდგომა ქრისტესი. მათ. 28, 5-7; მარკ. 16, 5-7; ლუკ. 24, 4-6,

ამაღლება და მეორედ მოსელა ქრისტესი. საქმე. 1, 11.

მუცლად-ღება იოანე ნათლისმცემლისა. ლუკ. 1, 13, 36.

*

ანგელოზები ემორჩილებიან იესო ქრისტეს. კოლას. 1, 16; ებრ. 1, 4; 1 პეტ. 3, 22.

ა. ემსახურებიან იესო ქრისტეს. მათ. 4, 11; მარკ. 1, 13; ლუკ. 22, 43; იოან. 1, 51.

ა. თან ეახლებიან ქრისტე მაცხოვარს, მისი მეორედ მოსვლის დროს. მათ. 16, 27; 25, 31; მარკ. 8, 38; ლუკ. 9, 26; 2 თეს. 1, 7.

ა. განარჩევენ მართლებს უსჯულოთაგან უკანასკნელ დღეს. მათ. 13, 39-42, 49; 24, 31; მარკ. 13, 27.

ა. ემსახურებიან ღმრთის ძესა და ღმრთისმოსავეებს. დაბ. 19, 15-18, 24, 7; ფს. 33, 7; 90, 11-12; დან. 6, 22; მათ. 4, 6; ებრ. 1, 14.

თაყვანს სცემენ მამა ღმერთსა და ქრისტეს. ნემ. 9, 1; ფილიპ. 2, 9-11; ებრ. 1, 6; გამოცხ. 7, 11.

ა. აღიდებენ ღმერთს. ფს. 102, 20; ეს. 6, 2-3; ლუკ. 2, 13-14; გამოცხ. 5, 11-12, 7, 11-12.

ა. დგანან წინაშე ჰირისა ღმრთისა. 3 მეფ. 22, 19; 2 ნეშტ. 18, 18; დან. 7, 10; მათ. 18, 10; ლუკ. 1, 19.

ა. უკედენი არიან. ლუკ. 20, 36.

ა. ძლიერნი არიან. ფს. 102, 20; 2 პეტ. 2, 11; 2 თეს. 1, 7.

ა. წმინდა არიან. მარკ. 8, 38.

ა. ბრძენნი არიან. 2 მეფ. 14, 20.

ა. „არა მოაწვევენ მათზედა სასჯელსა გმობისასა უფლისა მიერ“. 2 პეტ. 2, 11; იუდ. 1, 9.

ა. უთვალავნი არიან. იობ. 25, 3; ფს. 67, 17; დან. 7, 10; მათ. 26, 53; ლუკ. 2, 13; ებრ. 12, 22; გამოცხ. 5, 11.

აღდგომის შემდეგ მორწმუნე ადამიანები ანგელოზების მსგავსნი იქნებიან. მათ. 22, 30; მარკ. 12, 25; ლუკ. 20, 36.

ანგელოზებმა იციან. ეფეს. 3, 10; 1 ტიმ. 3, 16; 1 პეტ. 1, 12.

ანგელოზებს უხარიათ ცოდვილის მოქცევა. ლუკ. 15, 7-10.

ა. არ ეკუთვნით ღმრთის მსგავსი თაყვანისცემა. კოლას. 2, 18; გამოცხ. 19, 10; 22, 8-9.

ბოროტ ადამიანებს არ სწამთ ანგელოზების არსებობა. საქმე. 23, 8.

ემმაკი არის ურჩ ანგელოზთა მთავარი. მათ. 25, 41; 2 კორ. 12, 7. გამოცხ. 12, 7;

ემმაკი და დაუმორჩილებელი ანგელოზები მტრობენ წმინდა ანგელოზებს. დან. 10, 13; იუდ. 1, 9; გამოცხ. 12, 7-10.

ემმაკს და დაუმორჩილებელ ანგელოზებს მისჯილი აქვთ საუკუნო სასჯელი. მათ. 25, 41; 2 პეტ. 2, 4; იუდ. 1, 6.

მაგალითები ანგელოზების გამოცხადებისა: აგარი. დაბ. 16, 7-12; 21, 17-18; აბრაამი. დაბ. 18, 2 და შემდ. 22, 11-12. ლოთი. დაბ. 19, 1 და შემდ; იაკობი. დაბ. 32, 1-2;

მოსე. გამ. 3, 2; ისრაელნი. მსაჯ. 2, 1-4; ისუ, ძე ნავესი. ისუ ნავ. 5, 13-15; გედეონი. მსაჯ. 6, 11-12; მანოე. მსაჯ. 13, 3-21; დავითი. 2 მეფ. 24, 17; 1 ნეშტ. 21, 16; ელია. 3 მეფ. 19, 5-8; 4 მეფ. 1, 15; სედრაკი, მისაკი და აბედნაქო. დან. 3, 12-49; დანიელი. დან. 8, 15-19; 9, 21; 10, 5-10; ზაქარია წინასწარმეტყველი. ზაქ. 1, 9-14; იოსები. მათ. 1, 20; 2, 13. 19; ზაქარია მღვდელი. ლუკ. 1, 11-20; ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი. ლუკ. 1, 26-38; მწყემსები. ლუკ. 2, 8-15; მარიამ მაგდალენელი. მათ. 28, 1-7; მარკ. 16, 5-7; ლუკ. 24, 4-10; იოან. 20, 11-13; მოციქულები. საქმე. 1, 10-11; პეტრე და მოციქულები. საქმე. 5, 19-20; 12, 7-10; ფილიპე. საქმე. 8, 26; კორნილიოსი. საქმე. 10, 3-7; პავლე. საქმე. 27, 23.

ანტიქრისტა

ანტიქრისტე ნაწინასწარმეტყველებია. დან. 11, 36-38; 2 თეს. 2, 3-4.

ანტიქრისტე წარმოდგენილია

ქრისტეს განხორციელების უარყოფელად. 1 იოან. 4, 3; 1 იოან. 1, 7. უარყოფელად მამისა და ძისა. 1 იოან. 2, 22.

მაცდუნებლად. მათ. 24, 5-24; 2 თეს. 2, 9-10; 1 იოან. 2, 22.

ცრუსასწაულების ჩამდენად ემმაკის ძალით. 2 თეს. 2, 9; გამოცხ. 13, 13-14.

მღვეწლად წმინდანებისა. დან. 7, 21; გამოცხ. 13, 7.

მისი მოსვლა არის ნიშანი უკანასკნელი ჟამისა. 1 იოან. 2, 18.

ქრისტე მოვა ანტიქრისტეს მოსას-
პობად. დან. 7, 10-12; 2 თეს. 2, 8.

არმენაკი, არღაზი

ტილო, რომელშიც იყო შეხვეული
იესოს უხრწნელი გვამი. მათ. 27, 59;
მარკ. 15, 46; ლუკ. 23, 53; იოან.
19, 40.

ასარი (ტომი)

წარმომავლობა — იაკობის მერვე
უაჩისაგან. დაბ. 30, 12-13.

წინასწარმეტყველებანი ასერის მა-
მართ. დაბ. 49, 20; 2 სჯ. 33, 24-25.

ასერთ რაოდენობა ეგვიპტიდან
გამოსვლის დროს. რიცხ. 1, 40-41.

ასერთაგან გამორჩეული პირები:
ხალხის აღწერისათვის. რიცხ. 1, 13;
დასაზვერად. რიცხ. 13, 14; მიწების
დასანაწილებლად. რიცხ. 34, 27.

ასერთა ტომი იყო ისრაელის
მეოთხე ბანაკის ცენტრი. რიცხ. 10,
25-26.

ასერთა ბანაკი მდებარეობდა დანის
ბანაკის გვერდით და მის დროშის
ქვეშ, კარვის ჩრდილოეთით. რიცხ. 2,
25-27.

ა. მიერ მსხვერპლის შეწირვა.
რიცხ. 7, 73-77.

ასერის ოჯახი. რიცხ. 26, 44-47.

ა. რაოდენობა ქანაანში შესვლის
დროს. რიცხ. 26, 47.

ასერმა გებალის მთაზე წარმოთქვა
წყევა. 2 სჯ. 27, 12-26.

ასერთა საზღვრები. ისუ ნავ. 19,
24-31.

ა. საზღვრები მდებარეობს ზღვის
პირას. ისუ ნავ. 19, 29; მსაჯ. 5, 17.

ვერ განდევნეს ქანაანელი მთლია-
ნად. მსაჯ. 1, 30-34.

ასერნი უარყოფილნი იყვნენ იმის
გამო, რომ არ დაეხმარნენ ისრაელს
სისარა მთავრის წინააღმდეგ ბრძოლა-
ში. მსაჯ. 5, 17-20.

ა. დაესმარნენ გედონს მაღიამე-
ლებთან ბრძოლაში. მსაჯ. 6, 35;
7, 23.

ასერთა წარმომადგენლები დაეი-
თის კურთხევაზე. 1 ნეშტ. 12, 36-38.

ა. მოხელენი სოლომონ მეფის
დროს. 3 მეფ. 4, 16.

ასერმა მონაწილეობა მიიღო ეზეკი-
ელის მიერ პასექის დღის გადატანაში.
2 ნეშტ. 30, 1-12.

ასერთა გამოჩენილი პირები. 1
ნეშტ. 7, 30-40; ლუკ. 2, 36.

ასპიტი (გველი)

საშიშია მგზავრისათვის. დაბ.
49, 17.

გესლიანია. იობ. 20, 14. ფს. 57, 4.
სახეა ჯიუტთა, ღმრთის სიტყვის
უარყოფელთა. ფს. 57, 3-4.

სახეა ღმრთის ერის მტრისა. ფს.
90, 13.

სახეა ბოროტთა სიტყვისა. ფს. 139,
3; რომ. 3, 13.

სახეა ღვინის სმის მავნე შედეგისა.
2 სჯ. 32, 33; ივან. 23, 32.

ათასწლოვან სამეფოში უვნებელია.
ეს. 11, 8-9.

**ასური, ასურეთი,
ასურასტანი, სირია**

წარმომავლობა. დაბ. 10, 8-11.
რწყავს ტიგროსი. დაბ. 2, 14.

ასურეთს ეწოდება ნეეროდის მიწა.
მიქ. 5, 6.

ა. ეწოდება სენარის მიწა. დაბ. 11,
2; 14, 1.

ა. ეწოდება ასურის მიწა. ოს. 14, 4.
ასურეთის მთავარი ქალაქია
ნინევი. დაბ. 10, 11; 4 მეფ. 19, 36.
ასურეთს ჰყავს მეფეები. 4 მეფ. 15,
19, 29.

ასურეთი განთქმული იყო მოსაე-
ლიანობით. ეს. 36, 17.

ა. ცნობილია დამპყრობლურ ომე-
ბის სიმრავლით. 4 მეფ. 18, 33-35; 19,
11-13; ეს. 10, 9-14.

ა. ცნობილია ფართო ვაჭრობით.
ეზეკ. 27, 23-24.

ასურთა რელიგია არის კერპო-
თაყვანისმცემლობა. 4 მეფ. 19, 37.

ა. ძალაუფლება საშინელია. ეს.
28, 2.

ა. ძალაუფლება მრისხანე და
გამანადგურებელია. ეს. 10, 7.

ა. ძალაუფლება სანდო არაა. 2
ნეშტ. 28, 20-21.

ა. ძალაუფლება ქედმაღლური და
ამპარტავნულია. 4 მეფ. 19, 22-24; ეს.
10, 8.

ა. ძალაუფლება ღმრთის შურის-
ძიების იარაღია. ეს. 7, 18-19; 10, 5-6.

ა. წარჩინებული პირნი. ეზეკ. 23,
6, 12; 23-24.

ჰყავს მამაცი ჯარი. ეს. 5, 26-29.

ასურთა მეფე ფულა თავს დაესხა
ისრაელს. 4 მეფ. 15, 19. ფულამ მოის-
ყიდა მეფე მანაი. 4 მეფ. 15, 19-20.

ასურთა მეფე ფაღლათფალასარმა
გაანადგურა ისრაელთა ქვეყანა. 4 მეფ.
15, 29.

ა. მეფე ფაღლათფალასარს დახ-
მარება სთხოვა აქაზ მეფემ სურისა და
ისრაელის წინააღმდეგ. 4 მეფ. 16,
7-8.

ა. მეფე ფაღლათფალასარმა აიღო
აქაზისაგან ფული, მაგრამ არ მიეხ-
მარა. 2 ნეშტ. 28, 20-21.

ა. მეფე ფაღლათფალასარმა და-
ამარცხა სურნი. 4 მეფ. 16, 9.

ა. მეფე სალმანსარმა ისრაელი
დაიმორჩილა. 4 მეფ. 17, 3.

ა. მეფე სალმანსარმა შეამჩნია
ოსიას ღალატი. 4 მეფ. 17, 4.

ა. მეფე სალმანსარმა ისრაელნი
გადაასახლა ასურეთში. 4 მეფ. 17,
5-6.

ა. მეფე სალმანსარმა სამარიაში
დაასახლა ასურელნი. 4 მეფ. 17, 24.

ა. მეფე სენაქერმი თავს დაესხა
იუდას ქვეყანას. 4 მეფ. 18, 13.

სენაქერიმი მოისყიდა ეზეკიამ. 4
მეფ. 18, 14-16.

სენაქერიმმა აბუჩად აიგლო და
დააშინა იუდეა. 4 მეფ. 18, 17-32.

სენაქერიმი ღმერთს სცოდავდა. 4
მეფ. 18, 33-35.

ეზეკია ლოცულობდა, რომ გადარ-
ჩენილიყო სენაქერმისაგან. 4 მეფ. 19,
14-19.

სენაქერიმი დაისჯა ქედმაღლო-
ბისა და ღმრთის დაცინვის გამო. 4
მეფ. 19, 20-34; ეს. 37, 21-29.

სენაქერიმის ჯარები გაანადგურა
ღმერთმა. 4 მეფ. 19, 35.

სენაქერიმი მოკლეს საკუთარმა
შვილებმა. 4 მეფ. 19, 37.

ასურასტანის მხედრებმა შეიპყრეს
მანასე და ბაბილონს წაიყვანეს. 2 ნეშტ.
33, 11.

სამარიის დასახლება ასურელ-
თაგან. 1 ეზრა. 4, 9.

ასურელებმა კერპოთაყვანისმცემ-
ლობა გადაიტანეს სამარიაშიც. 4 მეფ.
17, 29.

იუდა განისჯა, რადგან ასურელებს
ენდო. იერ. 2, 18, 36,

ისრაელი განისჯა, რადგან ასურე-
ლებს ენდო. ოს. 5, 13; 7, 11; 8, 7-9.

ისრაელები განისაჯნენ ასურთა კერპების თაყვანისცემის გამო. ეზეკ. 16, 26-28; 23, 5-7.

ა. დიდება, რაოდენობა, ზეობა და დაცემა. ეზეკ. 31, 3-17.

წინასწარმეტყველება კინეველთა დაპყრობისა. რიცხ. 24, 22; სურის დაპყრობისა. ეს. 8, 4; ისრაელის ტყვეობისა. ეს. 8, 4; ოს. 9, 3; 10, 6; 11, 5.

იუდეაზე ასურთა თავდასხმა. ეს. 5, 26; 7, 17-20; 8, 8; 10, 5-6. 12.

ისრაელის აღდგენა და დაბრუნება ასურასტანიდან. ეს. 27, 12-13. ოს. 11, 11; ზაქ. 10, 10.

ღარღვევა ასურასტანისა. ეს. 10, 12-19; 14, 25; 30, 31-33; 31, 8-9. ზაქ. 10, 11.

ასურასტანელთა ხვედრი უფლის აღთქმაში. ეს. 19, 23-25; მიქ. 7, 12.

აქლეი

უწმინდურია. ლევიტ. 11, 4; 2 სჯ. 14, 7.

ცხოვრობს უდაბნოში. ეს. 30, 6.

ბევრია აღმოსავლეთში. 1 ნემტ. 5, 20; ეს. 60, 6.

ხშირად წარმოადგენს პატრიარქთა სიმდიდრეს. დაბ. 12, 16; იობ. 1, 3.

დიდი რაოდენობით ჰყავთ მეფეებს. 1 ნემტ. 27, 30.

გამოიყენება

სამგზავროდ. დაბ. 24, 61; ეს. 21, 7.

ტვირთის გადასატანად. დაბ. 37, 25; 3 მეფ. 10, 2; 4 მეფ. 8, 9.

ომში. მსაჯ. 7, 12; 1 მეფ. 30, 17.

მდიდართა აქლემები მოკაზმულნი არიან. მსაჯ. 8, 21, 26.

პალანი აქლემისა. დაბ. 31, 34.

აქლემი ხშირად ვარდება დიდ გასაჭირში. გამ. 9, 3; ზაქ. 14, 15.

აქლემებს უელიდნენ მზრუნველობით. დაბ. 24, 31-32.

აქლემი არის ომში ძვირფასი ნაღველი. 1 ნემტ. 5, 20-21; 2 ნემტ. 14, 15; იობ. 1, 17; იერ. 49, 29-32.

აქლემის მატყლის სამოსი ეცვა იოვანე ნათლისმცემელს. მათ. 3, 4.

აქლემი ქრისტემ შედარებისათვის გამოიყენა. მათ. 19, 24; 23, 24.

აღღოგა, აღვსება

აღღოგა ნაწინასწარმეტყველებია. დაბ. 12, 2; ოს. 13, 14; ეს. 26, 19.

ა. განმარტებულია და აღწერილია. 1 კორ. 15, 35-54.

აღღოგას მოელოდნენ ძველი აღთქმის მორწმუნენი. იობ. 19, 25-27; ფს. 15, 8-11; 16, 15; ეს. 26, 19; დაბ. 12, 2; 2 მაკაბ. 7, 14; ებრ. 11, 19-35.

აღღოგა სწამდათ იუდეელებს. მათ. 14, 2; მარკ. 6, 14-16; ლუკ. 9, 7-8; იოან. 11, 24; ებრ. 11, 35.

ა. ნაუწყებია და დამტკიცებულია მაცხოვრის მიერ. მათ. 10, 8; 22, 29-32; მარკ. 12, 24-27; ლუკ. 20, 35-38; იოან. 5, 28-29; 6, 39, 54; 11, 23.

ა. არის ერთ-ერთი საფუძველი სახარებისა. ებრ. 6, 1-2.

ა. ნაქადაგებია მოციქულთაგან. საქმე. 4, 2; 17, 18; 23, 6; 24, 15-21; რომ. 6, 5; 1 თეს. 4, 15-16.

ა. არ არის შეუძლებელი ღმრთისათვის. ეზეკ. 37, 12; საქმე. 26, 8; 1 კორ. 15, 38; ებრ. 11, 19.

ა. დამტკიცებულია სხვადასხვა მაგალითებით. 3 მეფ. 17, 21-22; 4 მეფ.

ენებანი და ცხოვრება ქრისტესი

ახალშობილი ქრისტე დედამ მიაწვინა ბაგაში. ლუკ. 2, 7.

ჰეროდეს სურდა მისი მოკლა. მათ. 2, 13.

მისი სიღარიბე. ლუკ. 8, 2-3; 2 კორ. 8, 9.

მას არ ჰქონდა თავშესაფარი. მათ. 8, 20; ლუკ. 9, 58; 21, 37.

მისი გამოცდა. მათ. 4, 1-10; მარკ. 1, 13; ლუკ. 4, 2-13;

მისი შიმშილი, წყურვილი, დაღლილობა. მათ. 21, 18; მარკ. 11, 12; იოან. 4, 6-7; 19, 28;

ის ითმენს შეურაცხოფასა და წყენას ჰურიათაგან. მათ. 9, 34; 10, 25; 11, 20; 12, 24; მარკ. 3, 22; ლუკ. 7, 34; 11, 15; 23, 11; იოან. 7, 20; 8, 48; 10, 20; ებრ. 12, 3.

მის სიციცხლეს მუდამ მოელოდა საშიშროება ჰურიათაგან. ლუკ. 4, 28-30; 13, 31; 20, 19; იოან. 15, 16-18; 7, 1-30; 8, 59; 10, 31-33. 39; 11, 53-54.

ის დასტირის ჰურიათა ურწმუნობას. მათ. 23, 37; ლუკ. 19, 41-44; იოან. 5, 38-40.

მან დაიტირა ლაზარეს სიკვდილი. იოან. 11, 33-35.

მისი სიკვდილისწინა განცდანი გეთსამანიაში. მათ. 26, 37; მარკ. 14, 32; ლუკ. 22, 39.

მისი სული ქვეყნის ცოდვების ტვირთით დამძიმებული. ეს. 53, 6-8; 1 პეტ. 2, 24; ებრ. 5, 7.

ღმერთი პირს იბრუნებს მისგან. ფს. 21, 1; მათ. 27, 46; მარკ. 15, 34.

იგი გაცემულია იუდასგან. მათ. 26, 21. 46-50; მარკ. 14, 18. 42-45; ლუკ. 22, 21. 47-48; იოან. 13, 21; 18, 2-5.

იგი შეპყრობილია და შეკრული, მსგავსად ბოროტმოქმედისა. მათ. 26, 47-55. მარკ. 14, 43-48. ლუკ. 22, 47-54; იოან. 18, 3-12.

ის უარყოფილია პეტრესგან. მათ. 26, 69-70. 72-74; მარკ. 14, 30-72; ლუკ. 22, 34-62; იოან. 13, 38; 18, 25-27.

ის მიტოვებულია მოწაფეთაგან. მათ. 26, 56; მარკ. 14, 50; იოან. 16, 32.

იგი, ბრალდებულია ცრუმოწმეთა ბოროტმეტყველებით. მათ. 26, 59-65; მარკ. 14, 55-60; ლუკ. 23, 10.

მას სცემენ. მათ. 27, 26; მარკ. 15, 15; იოან. 19, 1.

მას დასცინიან და ავინებენ. მათ. 26, 68; 27, 28-31; მარკ. 15, 16-20; ლუკ. 22, 63-65; 23, 11;

მას სცემენ და აფურთხებენ სახეში. მათ. 26, 67; 27, 30; მარკ. 14, 65; 15, 19; ლუკ. 22, 63-64; იოან. 19, 3; 18, 22.

მას თავზე ეკლის გვირგვინს ადგამენ. მათ. 27, 29; მარკ. 15, 17.

დაცინვით მას შეფეს უწოდებენ.
მათ. 27, 27-31; ლუკ. 23, 11; იოან. 19, 3.

მას აზიდვინებენ თავის ჯვარს.
იოან. 19, 17.

მას აძღვეენ დასალეკად ნაღველში
შეზავებულ ძმარს. მათ. 27, 34-48;
მარკ. 15, 23-36; ლუკ. 23, 36; იოან. 19, 29-30.

იგი ჯვარს აცვეს ორ ავაზაკს
შორის. მათ. 27, 38. მარკ. 15, 27-28;
ლუკ. 23, 32-33. იოან. 19, 18.

ჯვარზე მას დასცინიან, შეუ-
რაცხოფენ მღვდელმთავარნი და
მხედარნი. მათ. 27, 39-44; მარკ. 15,
29-32. ლუკ. 23, 35-39.

მისი უკანასკნელი ღალადისი ჯვარ-
ზე. მათ. 27, 50; მარკ. 15, 37; ლუკ.
23, 46;

ზ

ზაბულონი (ტომი)

მომდინარეობს იაკობის მეათე ეპისტოლეს. დაბ. 30, 19-20.

წინასწარმეტყველებანი მის შესახებ. დაბ. 49, 13; 2 სჯ. 33, 18-19.

მისგან ამორჩეულნი

ხალხის აღწერისათვის. რიცხ. 1, 9. ქანაანის ქვეყნის დასაზვერად. რიცხ. 13, 10.

მიწების დასაყოფად. რიცხ. 34, 25.

*

მისი რაოდენობა ეგვიპტიდან გამოვლისას. რიცხ. 1, 29-30.

განლაგებული იყო კარვის აღმოსავლეთით. რიცხ. 2, 3-7.

მსხვერპლშეწირვა მისგან. რიცხ. 7, 24-29

მისი სახლეული. რიცხ. 26, 26-27.

მისი რიცხვი ქანაანში შესვლისას. რიცხ. 26, 27.

ფიცი გებალის მთაზე. 2 სჯ. 27, 13.

მისი შთამომავლები — მეზღვაურები და ეაჭვები. დაბ. 49, 13.

მათი მიწის საზღვრები. ისუ ნავ. 19, 10-16.

ვერ შემლეს ქანაანელთა განდევნა, მაგრამ ხარკი დაადეს მათ. მსაჯ. 1, 30.

გამოდირიონენ დებორას მხარეზე სისარას წინააღმდეგ. მსაჯ. 5, 14-18.

დაეხმარნენ გედონს მაღიამელთა წინააღმდეგ. მსაჯ. 6, 35.

დაადგინეს მსაჯული ისრაელისთვის. მსაჯ. 12, 11-12.

მათი წარმომადგენლები ესწრებოდნენ დავითის კურთხევას. 1 ნეშტ. 12, 33.

ზოჯმა მათგანმა მონაწილეობა მიიღო ეზეკიას რეფორმებში. 2 ნეშტ. 30, 10-11. 18.

მათ ქვეყანას წილად ხედა ბედნიერება, მოესმინა ქრისტეს მოძღვრება. ეს. 9, 1; მათ. 4, 13-15.

ზამთარი

ღმერთთან აღთქმის თანახმად მისი აღრე მოსვლა. დაბ. 8, 20-21.

„და იყო მაშინ სატფურებაი იერუსალემს; ზამთარი იყო“. იოან. 10, 22.

ზამთარი არახელსაყრელია მოგზაურობისათვის. მათ. 24, 20; 2 ტიმ. 4, 21.

გემები ზამთარში ნავსადგურში იდგა. საქმე. 27, 12; 28, 11.

ისრაელთ ზამთრისთვის ჰქონდათ კარგი სახლები. იერ. 36, 22. ამოს. 3, 15

ზამთარს უწოდებენ უბედურებათა და ფათერაკების დროს. ქება. 2, 11.

ზაფხული

ზაფხული ღმრთისგან არის შექმნილი. ფს. 73, 17.

ზაფხულის ყოველწლიური მობრუნება უზრუნველყოფილია ღმრთის აღთქმის თანახმად. დაბ. 8, 21.

ჯაფხულის მოახლოება იგრძნობა კვირტებისა და სიმწვანის გამოჩენით. მათ. 24, 32.

ძველად ბინებს აწყობდნენ ჯაფხულთან შეფარდებით. მსაჯ. 3, 20-24; ამოს. 3, 15.

ჭინჭველა საკვებს იმზადებს ჯაფხულში. იგავ. 6, 8; 30, 25.

ბრძენნი გულმოდგინე (ბეჯითნი) არიან ჯაფხულის განმავლობაში. იგავ. 10, 5.

ჯაქარია

მღვდელი, მამა იოანე ნათლისმცემლისა. ლუკ. 1, 5.

გამოცხადება ჯაქარიასადმი მთავარანგელოზ გაბრიელისა. ლუკ. 1, 5-19.

ჯაქარიას დამუნჯება. ლუკ. 1, 20-22.

ჯაქარიას აეხსნა ენა. ლუკ. 1, 64.

ჯაქარია აღივსო სული წმიდითა და წინასწარმეტყველებს. ლუკ. 1, 67-79.

**ზეპარდო ნიჭი
სულიწმიდის მიერი**

სულიწმიდა მეტყველებს წინასწარმეტყველთა და მოციქულთა პირით. 2 მეფ. 23, 2; საქმე 1, 16; 2, 4; 28, 25; 1 კორ. 7, 40; 1 თეს. 4, 8; 2 პეტ. 1, 21; მათ. 22, 43; მარკ. 12, 36; საქმე. 4, 8; 7, 55-56; 11, 28; 13, 9; 21, 10-11; ებრ. 3, 7; 10, 15-16; 1 პეტ. 1, 11-12.

ღმერთი მეტყველებდა წინასწარმეტყველთა და მოციქულთა პირით. ეზეკ. 3, 10; ლუკ. 1, 70; საქმე. 3, 18-21; 4, 25; 1 მეფ. 28, 17; 3 მეფ. 12, 15; 14, 18; 15, 29; 16, 12-34; 17, 16; 22, 28; 4

მეფ. 9, 36; 10, 10-17; 17, 13; 21, 10; 42, 2; იერ. 36, 4-11; 38, 20; 44, 4; 50, 1; ოს. 12, 11; ანგ. 1, 1. 12-13; 2, 1; ზაქ. 1, 16-17; 7, 8; მალ. 1, 1; მათ. 1, 22; 2, 15; 1 თეს. 4, 8; ებრ. 1, 1.

„არა თქუენ იყნეთ მეტყუელნი, არმედ სული მამისა თქუენისაი, რომელი იტყოდის თქუენ შორის.“ მათ. 10, 19-20; მარკ. 13, 11; ლუკ. 12, 11-12; 21, 14-15; საქმე. 2, 4; 2 პეტ. 1, 21; იოან. 14, 26; 15, 26-27; 16, 13-15.

წინასწარმეტყველნი აუწყებდნენ და წერდნენ იმას, რასაც ეუბნებოდა მათ უფალი. იერ. 26, 2-8; ეზეკ. 2, 7; 3, 4. 10-11; რიცხ. 24, 13; 3 მეფ. 22, 14-15; 2 ნეშტ. 18, 13; ეს. 8, 1; 30, 8; იერ. 30, 2; 36, 2-4; ამბაკ. 2, 2; გამ. 4, 30; 24, 4; 34, 27; 2 სჯ. 18, 18; 27, 3-8; 31, 19; 1 მეფ. 8, 10; ეზრა. 1, 1; 4 მეფ. 23, 16; 2 ნეშტ. 36, 21; ეს. 34, 16; 1 კორ. 14, 37; გამოცხ. 1, 11-19; 2, 8. 12. 18; 3, 1. 7. 14; 10, 4; 14, 13; 19, 9; 21, 5.

„წარიკითხენ მუნ ყოველნი სიტყვანი, რომელნიცა ვთქუნ შენდაში“ იერ. 19, 2; ეზეკ. 2, 7; 3, 4.

„სთქუა მათდა მიმართ: ისმინეთ სიტყუა უფლისა მეფისა... ამათ იტყვის უფალი...“ იერ. 17, 19-20; ეზეკ. 2, 4; 3, 11-27.

„შენ იტყვი: ასე იტყვის მარადის მყოფი“ გამ. 4, 22; 2 მეფ. 24, 12; 1 ნეშტ. 17, 7; 21, 10; ეზეკ. 30, 2.

უფალმა თავისი სიტყვები ჩაღო თავის წინასწარმეტყველთა პირებში. გამ. 4, 12-15; რიცხ. 22, 38; 23, 5. 12. 16; 2 სჯ. 18, 18; ეს. 51, 16; 59, 21; იერ. 1, 9; 5, 14; ეზეკ. 2, 8-10; 3, 1-4; 3, 27; იოან. 3, 34; 4 მეფ. 20, 19; ეს. 39, 8; იერ. 23, 22.

„პირთა უფლისათა სიტყვს“. ეს. 1, 20; 40, 5; 58, 14; იერ. 1, 15; 9, 12; ეს. 34, 16; 3 მეფ. 8, 20.

მე შთავედ სიტყვანი ჩემნი პირსა შენსა“. ეს. 51, 16; იერ. 1, 9; 5, 14; 2 სჯ. 18, 18.

წინასწარმეტყველებს შეეძლოთ ეთქვათ მხოლოდ ის, რასაც შთააგონებდა მათ სული ღმრთისა. რიცხ. 22, 35-38; 23, 12-26; 24, 13; 3 მეფ. 22, 14; ეზეკ. 3, 26-27. იოან. 11, 49-51; საქმე. 2, 4; რიცხ. 11, 25; 1 მეფ. 10, 6-10; იოან. 11, 49-51.

წინასწარმეტყველებს ეწოდებათ პირი ღმრთისა. 2 ნეშტ. 35, 22; ეს. 30, 2; იერ. 38, 20.

წინასწარმეტყველნი ამბობდნენ: ასე იტყვის მარადის მყოფი. გამ. 5, 1; 7, 17; ისუ ნაე. 7, 13; 24, 2; მსაჯ. 6, 8; 1 მეფ. 2, 27; 15, 2; 2 მეფ. 7, 8; 12, 11; 2 ნეშტ. 24, 20; ეს. 22, 15; იერ. 5, 14; 6, 6-9; 7, 3-21; 10, 2; 19, 1; 21, 4; 26, 2; 30, 2-5; ეზეკ. 36, 6-7; 38, 10; ანგ. 1, 2.

„და სული უფლისა იტყოდა ჩემდა და, სიტყვაი მისი ენასა ზედა ჩემსა“. 2 მეფ. 23, 2; 3 მეფ. 22, 28; საქმე. 1, 16.

უფლის მიერ წარმოთქმული სიტყვები. იერ. 30, 4; 50, 1; ამოს. 3, 1.

უკეთუ ვისმე ეგონოს თავი თვისი წინასწარმეტყველ გინა სულიერ, უწყოდნენ... რამეთუ უფლისანი არიან მცნებანი. 1 კორ. 14, 37; 2 კორ. 2, 17; 5, 20; 13, 3; 1 თეს. 4, 8; ლუკ. 10, 6; 4 მეფ. 17, 13; 2 ნეშტ. 33, 18; 36, 12; იერ. 44, 4; დან. 9, 6; ანგ. 1, 13; იაკ. 5, 10.

საღმრთო წერილი დაწერილია სულიწმინდის შთაგონებით. 2 ტიმ. 3, 16; 2 პეტ. 1, 19-21; 2 მეფ. 23, 2; მათ. 21, 42; 22, 31-32. 43; მარკ. 12, 36;

იოან. 10, 35; საქმე. 1, 16; 28, 25; რომ. 3, 2; გალ. 3, 8; ებრ. 3, 7; 4, 12; 10, 15; 1 კორ. 14, 36.

მიზანი

გამოცხადება მომავლისა. ლუკ. 2, 26; იოან. 16, 13; საქმე. 1, 16; 11, 28; 20, 23; 21, 11; 28, 25; 1 ტიმ. 4, 1; 1 პეტ. 1, 11; გამოცხ. 4, 1.

ღმრთის საიდუმლოთა გამოცხადება. ამოს. 3, 7; ლუკ. 2, 26; 1 კორ. 2, 10-12; ეფეს. 3, 5.

... ვასწავოს თქვენ ყოველი და მოგახსენოს თქვენ ყოველივე...“ იოან. 14, 26; ხოლო ოდეს მოვიდეს სული იგი ჭეშმარიტებისაი გიდლოდეს თქვენ ჭეშმარიტებასა ყოველსა“. იოან. 16, 13; ფს. 142, 10; ეს. 8, 16; ეზეკ. 3, 24-27; საქმე. 11, 12; 16, 6; 21, 4.

„...ნუ ჰზრუნავთ, ვითარ ანუ რასა იტყოლით, რამეთუ მოგეცეს თქვენ მას უამსა შინა, რასა იგი იტყოლით.“ მათ. 10, 19-20; მარკ. 13, 11; ლუკ. 12, 11-12; საქმე. 2, 4.

თავის მიეღინებულათთვის უძლეველი სიბრძნის სიტყვების მინიჭება. 2 სჯ. 34, 9; იობ. 32, 8; საქმე. 6, 10; 1 კორ. 2, 12-13; 12, 8.

რომ ამხილოს ცოდვა. 4 მეფ. 17, 13; 2 ნეშტ. 24, 20; ნემ. 9, 30; მიქ 3, 8; ზაქ. 7, 12; იოან. 16, 8.

ქადაგება სახარებისა და ცოდვილთა გადარჩენის უწყება. ეს. 61, 1-3; ლუკ. 4, 17-19; 1 თეს. 1, 5; 1 პეტ. 1, 12. მოწმობა ქრისტეს შესახებ. იოან. 14, 26; 15, 26; საქმე. 1, 8; 5, 32.

ზეგარდო ნიჭი სულიწმინდის მიერი აღსრულება და გამოცხადება

სხვადასხვა რიგად. 1 კორ. 12, 4-11; ებრ. 1, 1.

შთაგონებით ან შინაგანი ხმით. 3 მეფ. 14, 5; ლუკ. 2, 27; საქმე. 8, 29; 16, 6-7; 19, 21; 20, 22; 2 პეტ. 1, 21.

უფლის ხმით. რიცხ. 7, 89; ეს. 6, 8; საქმე. 10, 15; 11, 7; გამოცხ. 1, 10.

ჩვენებითა და სიზმრის საშუალებით. რიცხ. 12, 6; 24, 4; იობ. 33, 14-15; ეზეკ. 1, 28; 11, 24; დან. 7. 1; იოველ. 2, 28.

მბრონცხებითა და ზეთისცხებით. 1 იოან. 2, 20-27; 2 კორ. 1, 21-22; გამ. 30, 25; 3 მეფ. 1, 39.

*

სულიწმიდისმიერი ზეგარდმო ნიჭი აუცილებელია წინასწარმეტყველებისათვის. რიცხ. 11, 25; 24, 2-3; 1 მეფ. 10, 6; 1 ტიმ. 4, 1.

სულიწმიდისმიერი ზეგარდმო ნიჭი ნაწინასწარმეტყველებია მოციქულთა მიერ. იოველ. 2, 28; საქმე. 2, 16-18.

ისმინეთ სულიწმიდისმიერი ზეგარდმო ნიჭი. გამოცხ. 2, 7-11. 29.

სასჯელი მათ, რომელნიც უგულვებელსყოფენ სულიწმიდისმიერ ზეგარდმო ნიჭს. ნემ. 9, 30; ზაქ. 7, 12.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი : მოსე. გამ. 4, 12; აარონი. გამ. 4, 15; 70 მოხუცი. რიცხ. 11, 25; ბალაამი. რიცხ. 24, 2; საული. 1 მეფ. 10, 10; დავითი. 2 მეფ. 23, 2; საქმე 1, 16; ზაქარია. 2 ნეშტ. 24, 20; ესაია. ეს. 48, 16; 61, 1; საქმე. 28, 25; იერემია. იერ. 1, 4-9; ეზეკიელი. ეზეკ. 2, 2; 11, 5; დანიელი. დან. 7, 1; 10, 1; მიქია. მიქ. 3, 8; ზაქარია მღვდელი. ლუკ. 1, 67; სვიმეონი. ლუკ. 2, 25-27; მოციქულები. საქმე. 2, 4; პეტრე. საქმე. 10, 19-20; 11, 12; სტეფანე. საქმე. 6, 10; ფილაპე. საქმე. 8, 29; მოციქულები ანტიოქიაში. საქმე. 13, 2; პავლე. საქმე. 13, 9; 18, 15; პავლე და შილა. საქმე.

16, 6-7. აგაბი. საქმე. 11, 28; 21, 11; იოანე. გამოცხ. 1, 10.

ჯატი

ზეთი არის ძღვენი ღმრთისა. იოველ. 2, 19-24.

ზ. ზეთთაგან. გამ. 30, 24. ლევიტ. 24, 2.

ზ. მუროვანი, ზმირნისა. ესთ. 2, 12.

ზ. მიიღება დაწნეხის შედეგად. ანგ. 2, 16. მიქ. 6, 15.

ქანანის მიწაზე ზეთი უხვად იყო. 2 სჯ. 8, 8.

ზეთი ღბილია. ფს. 54, 22.

ზ. ნაზია. იგავ. 5, 3.

ზეთს აქვს შეყოვნის უნარი. ფს. 108, 17.

ზეთი სამკურნალოა. ეს. 1, 6. ლუკ. 10, 34.

ისრაელნი საცხებლად ურევდნენ ზეთსა და სურნელებს. გამ. 30, 23-25. იოან. 12, 3.

ისრაელნი ხშირად ფლანგავდნენ ზეთს. იგავ. 21, 17.

კანონით მიღებული იყო ზეთის ნადავლის მეთაფი ნაწილის გაცემა. 2 სჯ. 12, 17.

ზეთის პირველ-ნაყოფს სწირავდნენ ღმერთს. 2 სჯ. 18, 4; 2 ნეშტ. 31, 5. ნემ. 10, 37.

იყენებდნენ

საკვებად. 3 მეფ. 17, 12. ეზეკ. 16, 13. ცხებისათვის. ფს. 22, 5; ლუკ. 7, 46.

ცხების რიტუალის შესასრულებლად. გამ. 29, 7; 1 მეფ. 10, 1; 3 მეფ. 19, 16.

სნეულთა საცხებლად. მარკ. 6, 13. იაკ. 5, 14.

უფლის თაყვანისცემის დროს. ლევიტ. 7, 10. რიცხ. 15, 4-10.

კერპთა თაყვანისცემის დროს. ოს. 2, 5-8.

სასანთლებებისათვის გამ. 25, 6; 27, 20. მათ. 25, 3.

*

„და ამადღეს, ვითარცა მარტორქისა, რქაი ჩემი, და სიბერე ჩემი ზეთითა პოხილითა.“ ფს. 91, 10.

ზ. ვაჭრობის საგანი იყო. 4 მეფ. 4, 7.

ზ. გაჰქონდათ. 3 მეფ. 5, 11; ეზეკ. 27, 17. ოს. 12, 1.

ზ. იყიდებოდა საწყაულით. 3 მეფ. 5, 11. ლუკ. 16, 6.

ინახავდნენ

რქებში. 3 მეფ. 1, 39; 3 მეფ. 17, 12; 4 მეფ. 9, 1.

ქოთნის ჭურჭლებში. 4 მეფ. 4, 2. საუნჯეში (სარდაფში). 1. ნეშტ. 27, 28.

*

ზეთის მარაგი ჰქონდათ გამავრებულ ქალაქებში. 2 ნეშტ. 11, 11.

ზ. უკმარობა დიდი უბედურება იყო. ანგ. 1, 11.

ზ. სასწაულებრივი მომატება. 4 მეფ. 4, 2-6.

გადატანითი მნიშვნელობით

ცხებულება სულიწმინდით ფს. 44, 7; 88, 20; ზაქ. 4, 12.

ნუგეშისცემა სახარებით. ეს. 61, 3. უწყინარი საყვედური. ფს. 140, 5.

ზეთის კურთხევა

ზ. კ. არის საიდუმლო, რომელშიც სულიწმიდა გადმოდის ავდმყოფზე თავისი მადლით. იაკ. 5, 14-15.

ზ. კ. უნდა შესრულდეს უეჭველად ავადმყოფ მორწმუნეზე და ამასთან სრულ მესხიერებაში მყოფზე. იაკ. 5, 14.

ზ. კ. სრულდება ხელდასხმულ ზუტესთა მიერ. იაკ. 5, 14.

მიზანი ზეთის კურთხევისა

მიტევება ცოდვათა. იაკ. 5, 15.

განკურნება სნეულებისაგან. იაკ. 5, 15; მარკ. 6, 13.

ზეთის ცხება არის გარეგანი ნიშანი სულისა წმიდისაგან ცხებულებისა. 1 მეფ. 10, 1-6; 16, 13.

ზეთისხილი

ხშირად იზრდებოდა ეელურად. რომ. 11, 17.

ზარობდა შემოღობილ ბალებში. 1 მეფ. 8, 14; ნემ. 5, 11.

ამოდიოდა კლდეებზე. 2 სჯ. 32, 13. მთის ფერდობებზეც იყო. მათ. 21, 1.

უხვად იყო ქანაანში. 2 სჯ. 6, 11; 8, 8.

უხვად იზრდებოდა ასურეთში. 4 მეფ. 18, 32.

ისრაელის მეფეებს ზეთისხილის კრცელი ნარგავები ჰქონდათ. 1 ნეშტ. 27, 28.

მწვანეა. იერ. 11, 16.

ლამაზი და მშვენიერია. იერ. 11, 16. ოს. 14, 6.

მსუყვია მსაჯ. 9, 9. რომ. 11, 17.

იძლევა უხვ ნაყოფს. იერ. 11, 16. იაკ. 3, 12.

ზეთისხილის დამყნა. რომ. 11, 24.

სცვივა ყვავილები. იობ. 15, 33.

სცვივა ნაყოფი. 2 სჯ. 28, 40.

აფუჭებს მუხლუხო. ამოს. 4, 9.
სასარგებლოა ღმრთისა და ადამი-
ანისათვის. მსაჯ. 9, 9.

ზეთისხილის ნაყოფისგან იღებდნენ
ზეთს. გამ. 27, 20; 2 სჯ. 8, 8.

მისი ხისგან გამოჭრილი იყო
ქერუბინთა გამოსახულებები. 3 მეფ.
6, 23.

მისი ხისგან იყო გაკეთებული
ტაძრის კარები და სვეტები. 3 მეფ. 6,
31-33.

მისი ტოტებისგან აგებდნენ ტალაე-
რებს. ნემ. 8, 15.

ნაყოფს ბერტყაედნენ. 2 სჯ. 24, 20.

ზეთისხილს არხედნენ, როცა
ნაყოფი მწიფდებოდა. ეს. 17, 6.

ზეთისხილის ნაყოფის ნარჩენს
უტოვებდნენ მოსამცერევედ გლახაკთ.
2 სჯ. 24, 20.

საიუბილეო წლებში ზ. ნაყოფს ტო-
ვებდნენ ღარიბთა სასარგებლოდ. გამ.
23, 11.

ზეთისხილის ნაყოფს ყრიდნენ
წნეხებში ზეთის გამოსახდელად. მიქ.
6, 15. ანგ. 2, 16.

„ცრუობდეს საქმე ზეთისხილისა
და ველთა არა ყონ საჭმელი.“ ამბაკ.
3, 17.

გადატანითი მნიშვნელობით

ქრისტე. რომ. 11, 17-24. ზაქ. 4,
3. 12.

ისრაელთა ეკლესია. იერ. 11, 16.

მართალნი. ფს. 51, 10. ოს. 14, 6.

ღმრთისმოშიშ მშობელთა შეილე-
ბი. ფს. 127, 3.

ორი მოწმე. გამოცხ. 11, 3-4.

წარმართნი. რომ. 11, 17-24.

მოწყალების ნაშთი. ეს. 17, 6;
24, 13.

მშვიდობის ემბლემა. დაბ. 8, 11.

ზეთისხილის მთა

მათ. 21, 1; მარკ. 9, 1; ლუკ. 19, 29.

საიდუმლო სერობის შემდეგ იესო
თავისი მოწაფეებით მიდის ელეონის
მთაზე (მთასა ზეთისხილთასა). მათ.
26, 30; მარკ. 14, 26; ლუკ. 22, 39.

თავისი უკანასკნელი ყოფნის დროს
იერუსალიმში იესო ქრისტე ატარებს
ღამეებს ელეონის მთაზე (ზეთისხილ-
თასა). ლუკ. 21, 37.

იერუსალიმის აოხრების წინას-
წარმეტყველებისას იესო იმყოფებოდა
ელეონის მთაზე. მათ. 24, 3; მარკ. 13,
3-4.

მღვდლებისა და ფარისეელების
ცდის შემდეგ, რომ შეეპყროთ იესო,
იგი აეიდა ელეონის მთაზე. იოან. 8, 1.

ზეარაკი, ხბო

ზეარაკი იკვებება ხის ყლორტებით
და ა. შ. ეს. 27, 10.

ზეარაკს ასუქებენ ბოხელსა და
საძოვრებზე. ამოს. 6, 4.

ზეარაკს მსხვერპლად სწირავდნენ.
ლევიტ. 9, 2-3. ებრ. 9, 12-19.

მსხვერპლად განსაკუთრებით ვარ-
გისია ერთწლიანი (წელიწადეული)
ზეარაკი. მიქ. 6, 6.

პირველშობილ (პირმშო) ზეარაკს
არ სჭირდება გამოსასყიდი. რიცხ.
18, 17.

გასუქებული ზეარაკის ხორცი გან-
საკუთრებით გემრიელია. 1 მეფ. 28,
24-25. ამოს. 6, 4. ლუკ. 15, 23-27.

გადატანითი მნიშვნელობით

მადლით აღსაესე წმინდანები. მალ. 4, 2.

მოთმინებით საესე აჟინება. ეზექ. 1, 7. გამოცხ. 4, 7.

ზიარება

პირველი ზიარება შესრულდა უკანასკნელ პასეჟზე, რომელიც იღვსასწაულა ქრისტემ თავის მოწაფეებთან ერთად. მათ. 26, 18-29; მარკ. 14, 16-24; ლუკ. 22, 13-20; იოან. 13, 1-23; 1 კორ. 11, 23-26.

იესომ აიღო პური, აკურთხა, გატეხა და მისცა თავის მოწაფეებს და უთხრა მათ: მიიღეთ და სჭამეთ, ესე არს ზორცი ჩემი. მათ. 26, 26; მარკ. 14, 22; ლუკ. 22, 19; 1 კორ. 11, 24.

იესომ მიიღო სასმელი, ჰმადლობდა, მისცა მათ და თქვა: სვით ამისგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისა. მათ. 26, 27; მარკ. 14, 23; ლუკ. 22, 17-20; 1 კორ. 11, 25.

წმიდა ზიარება არის უსისხლო მსხვერპლი ცოდვათა მისატყეებლად. მათ. 26, 26-28; მარკ. 14, 22-24; ლუკ. 22, 19-20; 1 კორ. 11, 24.

„ესე სასმელი არის ახალი სჯული სისხლისა ჩემისა, თქვენთვის დათხეული.“ მათ. 26, 28; მარკ. 14, 24; ლუკ. 22, 20; 1 კორ. 11, 25.

წმიდა ზიარება არის იესო ქრისტეს ყოვლად წმიდისა სისხლისა და ზორცის მიღება. 1 კორ. 10, 16; იოან. 6, 53-58.

წმიდა ზიარება უნდა შესრულდეს ქრისტეს გამომსყიდველი სიკვდილის მოსაგონრად: „ამას ჰყოფდით მოსახსენებლად ჩემდა“. ლუკ. 22, 19; 1 კორ. 11, 24-25.

საიდუმლო ზიარების წინ მორწმუნეს მოეთხოვება სასტიკი გამოცდა თავისი თავისა. 1 კორ. 11, 28; 2 კორ. 13, 5.

წმიდა ზიარება უნდა იყოს მიღებული ახალი კეთილი ცხოვრების დაწყების მტკიცე გადაწყვეტილებით. 1 კორ. 5, 7-9; 10, 21.

სულიერი მადლი, რომელიც გამომდინარეობს წმიდა ზიარებიდან: „რომელი სჭამდეს ზორცსა ჩემსა, და სვამდეს სისხლსა ჩემსა, აქენდეს ცხოვრება საუკუნო, და მე აღეადგინო იგი უკანასკნელსა მას დღესა“. იოან. 6, 53-58; 1 კორ. 10, 16-17.

პირველყოფილი ეკლესია ასრულებდა წმიდა ზიარებას. საქმე. 2, 42; 20, 7.

ღარიგებანი წმიდა ზიარების შესრულებისათვის. 1 კორ. 11, 33-34.

ის, ვინც უღირსად მონაწილეობს წმიდა ზიარებაში

დამნაშავეა წინაშე ზორცისა და სისხლისა ქრისტესთა. 1 კორ. 11, 27.

მოიწვევს მსჯავრს ღმრთისა. 1 კორ. 11, 30-32.

ჭამს და სვამს თავის სასჯელს. 1 კორ. 11, 29.

იუდეველთა პასეჟის მსხვერპლი მოასწავებდა წმიდა ზიარებას. გამ. 12, 3-11; 12, 21-28; იოან. 1, 29-36; 1 კორ. 5, 7-8; 1 პეტ. 1, 19; გამოცხ. 5, 6.

ზრუნვა

ნუ ზრუნავთ

„ნურას ჰზრუნავთ“. 1 კორ. 7, 32; ფილიპ. 4, 6.

ნივთიერი ცხოვრების საჭიროებაზე. მათ. 6, 25-31; ლუკ. 12, 22-29.

მოძვეალზე. მათ. 6, 34.

ზრუნვისაგან თავის დაცვის მოტივები

სახიერება ღმრთისა. ფს. 22, 4-6; მათ. 6, 26-30; ლუკ. 12, 24; 22, 35; 1 პეტ. 5, 7.

დაპირება ღმრთისა, რომ ის იზრუნებს ჩვენთვის და ჩვენთან იქნება. 2 სჯ. 31, 8; ისუ ნავ. 1, 5-9; ებრ. 13, 5; ფს. 120, 8; ეს. 41, 10-13; 43, 2.

*

ღმერთს უნდა მივანდოთ მთელი საზრუნავი. ფს. 36, 5; 54, 22; იგავ. 16, 3; ფილიპ. 4, 8; 1 პეტ. 5, 7.

ზრუნვა უსარგებლოა. მათ. 6, 27; ლუკ. 12, 25-26.

ზ. არის ამაო. ფს. 38, 6; ეკლ. 4, 8.

ზ. ახშობს, აქრობს ღმრთის სიტყვას კაცის გულში. მათ. 13, 22; მარკ. 4, 19; ლუკ. 8, 14; 14, 18-20.

საშიშროება, რომ ამქვეყნიური ზრუნვით არ დამძიმდეს ჩვენი გული. ლუკ. 21, 34.

ბოროტნი აღსავე არიან ზრუნვით. იობ. 20, 20; ეკლ. 5, 12; ოს. 7, 14.

ღმერთი მოაველენს ზრუნვას, როგორც სასჯელს. ეზეკ. 4, 16; 12, 19.

მაგალითები: სხვადასხვა მოწაფეები. ლუკ. 9, 59-61; მართა. ლუკ. 10, 41.

ზღვა

ზღვა არის შესაკრებელი წყალთა. დაბ. 1, 10.

დიდ მდინარეებს ხანდახან ეწოდებოდათ ზღვა. ეს. 11, 15. იერ. 51, 36.

ტბებს ჩვეულებრივ ეწოდებოდათ ზღვა. 2სჯ 3, 17; მათ. 8, 24. 27. 32.

11. ბიბლიის ლექსიკონი.

ზღვა შექმნა ღმერთმა. გამ. 20, 11; ფს. 94, 5; საქმე. 14, 15.

ღმერთმა ზღვას დაუდო საზღვრები. იობ. 26, 10; 38, 8-11; იგავ. 8, 27-29.

ღმერთმა ზღვაში გაამრავლა თევზი. დაბ. 1, 20-22.

ღმერთმა ზღვაზე დააფუძნა მიწა. ფს. 23, 2.

ღმერთი აწყავს ზღვის წყალს. ეს. 40, 12.

ღმერთი ზღვაზე ყველაფერს აკეთებს თავისი ნებით. ფს. 134, 6.

ღმერთი დააშრობს ზღვას. ეს. 50, 2; ნაუმ. 1, 4.

იგი არხევს ზ. ანგ. 2, 6.

ღმერთი აწყნარებს ზ. თავისი სიტყვით. ფს. 64, 7; 88, 9; 106, 29.

ზ. აქვს უზარმაზარი სივრცე. იობ. 11, 9; ფს. 103, 25.

ზ. საკმაოდ ღრმაა. ფს. 67, 22.

მდინარეები იკვებებიან ზღვის ანაორთქლით. ეკლ. 1, 7.

ყოველნი ღვარნი შესდიან ზღვასა შინა და ზღვა არა არს აღვსებულ. ეკლ. 1, 7; ეზეკ. 47, 8.

ზ. ღრმაა. იობ. 41, 31; ფს. 106, 23; 2 კორ. 11, 25.

ზ. წყალმრავალია. ფს. 76, 19.

ზ. დიდია და ფართო. ფს. 103, 25.

ღრუბელი სამოსელია ზღვისა. იობ. 38, 9.

ნისლი საფარველია ზ. იობ. 38, 9.

ქვიშა საზღვარია ზ. იერ. 5, 22.

ზღვაში ბინადრობს ქმნილებათა ურიცხვი სიმრავლე. ფს. 103, 25-26.

ზღვაში ჩანს ღმრთის შესაქმნის სასწაულები. ფს. 106, 23.

ზღვა შექმნილია ღმრთის სადიდებლად. ფს. 68, 34; 147, 7.

ზღვა ღელავს ქარისაგან. ფს. 106, 25-26; იონ. 1, 4.

ღვეიათანი (ვეშაპი) აღუღებს ზღვას. იობ. 41, 23.

ამაღლდებიან ტალღები ზღვისა. ფს. 92, 3; 106, 25.

„ამოვიდა ბაბილონსა ზედა ზღუა, ხმითა ღელავათა მისითათა დაიფარა.“ იერ. 51, 42.

ტალღები მიისწრაფიან ზღვის ნაპირისაკენ. იერ. 5, 22.

დიდებულია ღელვა ზღვისა. ფს. 92, 4; საქმე. 27, 41.

ხმაურიანია და ქარიშხლიანი (მბორგავი). ლუკ. 21, 25; იუდ. 13.

ზღვის ნაპირი ქვიშით არის დაფარული. დაბ. 22, 17; 3 მეფე. 4, 29; იობ. 6, 3. ფს. 77, 27.

ზღვაზე მრავალი კუნძულია. ეზეკ. 26, 18.

ზ. გემები დადიან. ფს. 103, 26; 106, 23.

ზ. ნაოსნობა ყოველთვის არ არის უხიფათო. საქმე. 27, 9. 20; 2 კორ. 11, 26.

ზღვის ნაპირას ხშირად აღმოცენდებოდნენ საეგვიპტო ქალაქები. დაბ. 49, 13; ეზეკ. 27, 3. ნაუმ. 3, 8.

ზ. ნაპირზე მცხოვრები ხალხი მდიდრდებოდა. 2 სჯ. 33, 19.

ზღვა საშინელი სამსჯავროს დღეს გასცემს თავის მკედრებს. გამოცხ. 20, 13.

ახალ მიწაზე ზღვა არ იქნება. გამოცხ. 21, 1.

საღმრთო წერილში მოხსენებულია ანდრიას (ადრიატიკის) ზღვა. საქმე. 27, 27.

ხმელთაშუა ზღვა. რიცხ. 34, 6; 2 სჯ. 11, 24; 34, 2; ზაქ. 14, 8.

მეწამული ზ. გამ. 10, 19; 13, 18; 23, 31.

ფილისტიმის ტბა. გამ. 23, 31; ეზრ. 3, 7.

გალილეის ზ. მათ. 4, 18; 8, 32; იონ. 6, 1.

მკედარი ზ. დაბ. 14, 3. რიცხ. 34, 12. იაზირის ტბა. იერ. 48, 32.

გადატანითი მნიშვნელობით

მძიმე მწუხარება (ჭმუნვა, ურვა). ეს. 43, 2; გოდ. 2, 13.

უკეთურთა მღელვარება. ეს. 57, 20. მოახლოებული მტრის ჯარების ხმაური. ეს. 5, 30; იერ. 6, 23.

მართალნი. ეს. 48, 18.

მტრისაგან გაჩანაგება. ეზეკ. 26, 3-4.

ცვალებადობა. იაკ. 1, 6.

ღმრთის შეცნობის გავრცელება მთელ ქვეყანაზე უკანასკნელ დღეებში. ეს. 11, 9; ამბაკ. 2, 14.

მშვიდობა ცათა შინა. გამოცხ. 4, 6; 15, 2.

ზღუდე (ღობე)

დანიშნულება არის გამიჯვნა. ეს. 5, 2.

კეთდება კენახის გარშემო. მათ. 21, 33; მარკ. 12, 1.

ზრუდემი შეღწევის საფრთხე. ეკლ. 10, 8.

ზღუდის მოხსნით გამოწვეული წყენა. ფს. 79, 11-12.

ზღუდეები საესევა მუმლის გუნდით. ნაუმ. 3, 17.

ღარიბი მგზავრები ისვენებდნენ
ზღუდესთან. ლუკ. 14, 23.

ზღუდეები წარმოადგენდნენ სა-
ფარს საფრთხის დროს. იერ. 49, 3.

ზღუდეებში ნარღვევების შესახებ.
ეზეკ. 13, 5; 22, 30.

გადატანილი მნიშვნელობით

ღმრთის საფარველი. იობ. 1, 10.

მრავალი უბედურება. იობ. 3, 23;
19, 8.

მკაცრი სამსჯავრო. გოდ. 3, 7. ოს.
2, 6.

წმ. წერილის მოსწავებანი. ეს. 5,
2; მათ. 21, 33.

უღმრთოთა გზები. იგავ. 15, 19.
საფარის დაკარგვა (ზღუდის მოშ-
ლა). ფს. 79, 12; ეს. 5, 5.

თ

თავი

თავი არის ტანის მთავარი ნაწილი. 4 მეფ. 6, 31; ეს. 1, 6.

თავისათვის სხეულის ყველა ნაკეთი (ასო) აუცილებელია. 1 კორ. 12, 21.

სხეულს წარმართავს თავი. ეფეს. 4, 16.

კურთხევა თავსა ზედა. დაბ. 29, 46; იგავ. 10, 6.

თავი აგებს პასუხს ადამიანის საქმეებსა და აზრებზე. 1 მეფ. 28, 2. დან. 1, 10.

მისი ნაწილები

თხემი, ქალა. 4 მეფ. 9, 35; დაბ. 49, 26.

ქედი. ეს. 3, 16. ქება 4, 4.

შუბლი. ეზეკ. 9, 4.

ყურიმალი. მსაჯ. 4, 21-22;

პირისახე. დაბ. 48, 12; 4 მეფ. 9, 30.

თმები. მსაჯ. 16, 22.

*

თავი ცხებული იყო ზეთით. ეკლ. 9, 8; მათ. 6, 17.

თავს ხრიდნენ ღმრთისმსახურების დროს. დაბ. 24, 26. გამ. 4, 31.

თავს ხრიდნენ პატივისცემის ნიშნად. დაბ. 43, 28.

მწუხარების დროს

თავს იბურავდნენ. 2 მეფ. 15, 30.

თავზე თმას იკრეჭდნენ. იობ. 1, 20.

თავზე ნაცარს იყრიდნენ. 2 მეფ. 13, 20.

თავზე მიწას, მტკერს იყრიდნენ. ისუ ნავ. 7, 6; იობ. 2, 12.

თავზე ხელებს იწყობდნენ. 2 მეფ. 13, 20; იერ. 2, 37.

მღვდლებს აკრძალული აქვთ თავზე თმის შეკრეჭა. ლევიტ. 21, 5-10.

ნაზარეველთ აკრძალული აქვთ თავზე თმის შეკრეჭა. რიცხ. 6, 5.

*

თავის ქნევა დაცინვას ნიშნავდა. 4 მეფ. 19, 21. ფს. 21, 7; 108, 24; მათ. 27, 39.

ებრაელებს ეკრძალებოდათ დაეფიცათ თავისი თავი. მათ. 5, 36.

ჭალარა თავს პატივისცემა უნდა. ლევიტ. 19, 32.

წესები თავის შესახებ

კეთროვანთა. ლევიტ. 13, 42-44.

მელოტთა. ეს. 3, 19.

შინაგანი სნეულებებით სნეულთა. 4 მეფ. 4, 19. ეს. 1, 5.

ქაჩალთა, მტიერთა. ლევიტ. 13, 40-41. ეს. 15, 2.

*

კეთროვნები დადიოდნენ დაუბრალო თავით. ლევიტ. 13, 44.

ქალები თავს იბურავდნენ. დაბ. 24, 65; 1 კორ. 11, 5.

იონანე ნათლისმცემელს მოჰკვეთეს თავი საპყრობილეში. მათ. 14, 10.

სამხედრო ტყვეებს ხშირად კვეთავენ თ. მსაჯ. 5, 26; 1 მეფ. 17, 51-57; 31, 9.

„ნუცა თავსა შენსა ჰყუცავ, რამეთუ ვერ ძალ-გიც ერთისა თმისა განს-ჰეტაკებად გინა დაშავებად“. მათ. 5, 36.

„ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს“. მათ. 8, 19-20; ლუკ. 9, 58.

გადატანითი მნიშვნელობით

ღმერთი. 1 კორ. 11, 3.

ქრისტე. 1 კორ. 11, 3. ეფ. 1, 22. კოლ. 2, 19.

მმართველი. დან. 2, 38.

უნუცესნი. ეს. 9, 14-15.

სამეფოს მთავარი ქალაქი. ეს. 7, 8. თავდაცვა. ფს. 139, 8.

თავდადება, ერთგულება (დაბურული თავი). 1 კორ. 11, 5. 10.

მკაცრი სამსჯავრო. ეს. 3, 24; 15, 2; მიქ. 1, 16.

სიხარული და მინდობა. ფს. 3, 3. ლუკ. 21, 28.

სიამავე. ფს. 82, 2.

ამაღლება. დაბ. 40, 13. ფს. 26, 6.

სიხარული და კმაყოფილება. ფს. 22, 5;

თავის გამოცდა

თ. თ. გ. ნამცნებია. ფს. 4, 5; გოდ. 3, 40; სოფ. 2, 1; ანგ. 1, 5-7; მათ. 7, 3-5; ლუკ. 6, 41-42; 2 კორ. 13, 5.

თითოეულმა მორწმუნემ უნდა გამოცადოს თავი თვისი

გულმოდგინებით. ფს. 76, 6.

ლოცვით, რომ ღმერთმა განწმიდოს გული მისი. იობ. 34, 32; ფს. 25, 2; 138, 23-24.

მტკიცე გადაწყვეტილებით გამოსწორებისა. იობ. 34, 32; ფს. 118, 59; გოდ. 3, 40.

სიბრძნის შეტენისათვის. ეკლ. 7, 25.

„თავნი თქუენნი გამოიცადენით, უკუეთუ ხართ სარწმუნობასა შინა“. 2 კორ. 13, 5.

ადამიანის გულის უკეთურობა აძნელებს თავისი თავის გამოცდას. იერ. 17, 9.

„...უკუეთუმცა თავთა თვისთა განვიკითხვედით, არამცა განვიკითხენით“. 1 კორ. 11, 31; გალ. 6, 4.

თავის დატევა

ნიმუში: იესო ქრისტე. „მსახურებად და მიცემად სული თვისი სახსრად მრავალთათვის.“ მათ. 20, 28; 26, 42. 53-54. მარკ. 10, 45; ლუკა. 22, 27; იოანე 5, 30, 41; 6, 38; 8, 50; 10-18; 13, 14; 2 კორინთ. 8, 9; რომ. 15, 3; გალატ. 1, 4. ეფეს. 5, 25. ფილიპ. 2, 6. „არა ვეძიებ ნებას ჩემსა, არამედ ნებას მომავლინებელისა ჩემისა მამისასა“. იოან. 6, 38.

საჭიროა გულმოდგინება რათა დაუტყუოთ

საკუთარი სურვილები და მიდრეკილებები. მათ. 5, 29; 16, 25; საქმე. 14, 22; 1 კორინთ. 9, 27; ფილიპ. 3, 7.

საკუთარი უფლება. დაბ. 13, 9; მათე. 5, 25; რომ. 14, 20; 1 კორ. 6, 12; 8, 9.

საკუთარი მახლობლები დაბ. 22, 2; მათ. 10, 37; გალატ. 1, 16.

ამტკვენიური სიკეთენი. მათე. 19, 21; ლუკა 12, 14; ებრ. 11, 26.

თავისი თავის მიცემის საზღვრები. ლეე. 19, 18; „და შეიყუარო მოუყუასი

შენი, ვითარცა თავი თვისი“ – მაშასადამე, პიროვნების თვითდამტკიცება სხეულის მიმართ. მარკ. 6, 31; რომ. 13, 14; 1 ტიმ. 4, 3; კოლ. 2, 23; და სინდისის მიმართ. 1 კორ. 10, 29; კოლ. 2, 16; იოანე 18, 23.

თავის მოტყუება

თავის მოტყუება ახასიათებთ უკეთურებს (ურჯულოებს). ფს. 48, 18.

კეთილდღეობას ხშირად მიჰყავს ადამიანი თავის მოტყუებისკენ. ფს. 29, 7; ლუკ. 12, 17-19.

ჯოჯობი ცოდვილნი ხშირად იტყუებდნენ თავს. ფს. 80, 12-13; ოს. 4, 17; 2 თეს. 2, 10-11.

არის ის, რომ ადამიანები

თავის გზას სწორად თვლიან. იგავ. 14, 12.

მისდევნ უკეთურ ზნე-ჩვეულებებს. იერ. 44, 17.

თავი წარმოუდგენიათ უბიწოდ. იგავ. 30, 12.

თავს სხვებზე უკეთესად თვლიან. ლუკ. 18, 11.

თავს სულიერად მდიდრებად თვლიან. გამოცხ. 3, 17.

ფიქრობენ, რომ ცოდვის ჩადენის მიუხედავად შეუძლიათ სულიერი სიმშვიდის ფლობა. 2 სჯ. 29, 19.

„იქებინ თავით თვისით ცოდვილი გულის-თქემათა შინა სულისა თვისისათა“. ფს. 9, 23.

„არა ყოველმან, რომელმან მრქუას მე, უფალო, უფალო! შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა...“ მათ. 7, 21-22; ლუკ. 13, 25-26.

პკონიათ, რომ ღმერთი არ დაგვსჯისო ჩვენი ცოდვებისათვის. ფს. 9, 26; იერ. 5, 12.

ფიქრობენ, რომ ქრისტე არ მოვა სამსჯავროზე. 2 პეტ. 3, 4.

საკუთარი სიცოცხლე ხანგრძლივი პკონიათ. ეს. 56, 12; ლუკ. 12, 19; იაკ. 4, 13-14.

*

უკეთური ჯიუტად იტყუებენ თავს. მათ. 7, 22; 25, 11-12. ლუკ. 13, 24-25.

თავის მოტყუების საბედისწერო შედეგები. მათ. 7, 23; 24, 48-51; ლუკ. 12, 20; 1 თეს. 5, 3.

მა გ ა ლ ი თ ე ბ ი: აქაბი. 3 მეფ. 20, 27. 34; ისრაიტელნი. ოს. 12, 8; ებრაელები. იოან. 8, 33. 41. ლაოდიკიის ეკლესია. გამოცხ. 3, 17; ბაბილონი. ეს. 47, 7-11.

თავისმოყვარება

(თავისი თავის სიყვარული)

თ. აკრძალულია. რომ. 15, 1; 1 კორ. 10, 24; ფილიპ. 2, 4.

ქრისტემ საკუთარი მაგალითით დაჰკმო თ. იოან. 5, 30; 6, 38; რომ. 15, 3; 2 კორ. 8, 9; ფილიპ. 2, 7-8.

თ. შეუფერებელია ქრისტიანული სიყვარულისთვის. 1 კორ. 13, 5; 1 იოან. 3, 17.

არის

თვითგაღმერთებაში. 2 ტიმ. 3, 2. თავისი თავის სათნოყოფაში. რომ. 15, 1.

მარტოოდენ თავისი თავისათვის ცხოვრებაში. 2 კორ. 5, 15.

მხოლოდ საკუთარი სარგებლობისა და გამორჩენის ძებნაში. 1 კორ. 10, 33; ფილიპ. 2, 21.

ბატონობის მიღების ძიებაში. მათ. 20, 21; მარკ. 10, 37.

თავისი მოვალეობის მხოლოდ ანგარებით შესრულებაში. მიქ. 3, 11.

ღარიბთა უბუღებელყოფაში. 1 იოან. 3, 17.

სიხარბეში. ეს. 56, 11.

*

ქრისტეს თავგანწირვა საფუძველი იმისა, რომ მოკვდამ დაგმოს თავისი თავის სიყვარული. 2 კორ. 5, 15.

მღვდელმსახურთათვის უცხო უნდა იყოს თავისი თავის სიყვარული. 1 კორ. 10, 33.

ადამიანები მიდრეკილი არიან თავისი თავის სიყვარულისაკენ. ფილიპ. 2, 21.

უკანასკნელ დღეთა (ღროის დასასრულის) ადამიანები თავისი თავის მოყვარენი იქნებიან. 2 ტიმ. 3, 1-2.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი: კაენი. დაბ. 4, 9; ნაბალი. 1 მეფ. 25, 3-11; ამანი. ესთ. 6, 6; ქურუმები. ეს. 56, 11; ისრაელნი. მალ. 1, 13-14; იაკობი და იოანე. მარკ. 10, 37; ხალხი. იოან. 6, 26.

თავის უარყოფა

„რომელსა ჰნებაეს შემოდგომად ჩემდა, უარყავ თავი თვისი.“ მათ. 16, 24; მარკ. 8, 34; ლუკ. 9, 23.

ქრისტემ მოგვცა მაგალითი თავისი თავის უარყოფისა ყველაფერში. მათ. 8, 20; 20, 28; მარკ. 10, 45; ლუკ. 9, 58; იოან. 5, 30; 6, 38; რომ. 15, 3; 2 კორ. 8, 9; ფილიპ. 2, 7-8; ებრ. 12, 2; 1 პეტ. 4, 1.

ქრისტემ მისცა თავისი თავი, რომ გვიხსნას. იოან. 6, 51; 10, 11-18; 15, 13; გალ. 1, 4; 2, 20; ეფეს. 5, 2-25; 1 ტიმ. 2, 6; ტიტ. 2, 14; 1 იოან. 3, 16.

თავის უარყოფა აუცილებელია

ქრისტეს მოწაფედ ყოფნისათვის. მათ. 10, 38; 16, 24; მარკ. 8, 34; 10, 21; ლუკ. 9, 23; 14, 27-33.

ქრისტიანული ცხოვრებისთვის ბრძოლისათვის. 1 კორ. 9, 25; 2 ტიმ. 2, 4-5.

თავის უარყოფა უნდა მდგომარეობდეს

უწმიდურებისა და ხორციელი გემოთმოყვარეობის უარყოფაში. რომ. 6, 12. ტიტ. 2, 12; 1 პეტ. 2, 11; 4, 2.

ხორციელი გულისთქმის მოკვდინებაში. რომ. 8, 13; 1 კორ. 9, 27; მათ. 5, 29-30; მარკ. 9, 43-47; კოლას. 3, 5.

ხორცისა და ხორციელ გულისთქმთა ჯვარცმაში. რომ. 13, 14; გალ. 5, 24.

უარყოფაში ყოველივე იმისა, რაც კი მიიტაცებს ცოდვისაკენ. მათ. 5, 29-30; 18, 8-9; მარკ. 9, 43-47.

ქრისტესთან ერთად ჯვარცმაში, ენაიდან „...ძუელი იგი კაცი ჩუენი მის თანა ჯუარს ეცუა, რაითა განქარდეს ხორცი იგი ცოდვისაი, რაითა არღარა ვჰმონებდეთ ჩუენ ცოდვასა“. რომ. 6, 6; გალ. 6, 14.

განმარცვაში ჩვენგან ძველისა კაცისა საქმითა მისითურთ: „განიშორეთ თქვენგან პირველისა მისებრ სლვისა თქუენისა ძუელი იგი კაცი, განხრწნილი გულის თქუმისა მისებრ საცთურისა“. ეფეს. 4, 22; კოლას. 3, 9.

მიღებაში ჯვარისა თვისისა რათა მივსდით ქრისტეს: „რომელმან არა აღილოს ჯუარი თვისი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს“. მათ. 10, 38; 16, 24; მარკ. 8, 34; 10, 21; ლუკ. 9, 23; 14, 27.

ქრისტეს უპირატესობის აღიარებაში, ყოველგვარ ბუნებრივ სურვილებთან შედარებით. მათ. 10, 37; ლუკ. 14, 26.

არა თავისი თავისათვის, არამედ ქრისტესათვის ცხოვრებაში: „ქრისტე ყოველთათვის მოკუდა, რაითა ცხოველი იგი არღარა თვითათვის ცხოველ იყვნენ, არამედ მათთვის მომკუდრისა მის და აღდგომილისა“. 2 კორ. 5, 15; გალ. 2, 20.

ქრისტეს სიყვარულის ყოველგვარ სიყვარულზე მაღლა დაყენებაში. მათ. 19, 21-29; ლუკ. 14, 33; 18, 22; ებრ. 10, 34.

ქრისტესთვის სიცოცხლის შეწირვაში. მათ. 10, 39; 16, 25; მარკ. 8, 35; ლუკ. 9, 24; 17, 33; იოან. 12, 25; საქმე. 15, 26.

იმამში, რომ არ აცდუნო სხვა. რომ. 14, 15. 20-21; 1 კორ. 8, 9-13; 2 კორ. 10, 24-32.

იმამში, რომ დამომღვრო და სათნო ეყო სხვას. რომ. 15, 1-2; 1 კორ. 9, 19-23; 10, 33.

სხვისი სარგებლობის გამრავლებაში. 1 კორ. 10, 24-33; 13, 5; ფილიპ. 2, 4.

მომმეთათვის თავისი სიცოცხლის შეწირვაში. იოან. 15, 13; 2 კორ. 12, 15; ფილიპ. 2, 17; 1 იოან. 3, 16.

კანონიერსა და ნებადართულთან მიმართებაშიც კი. 1 კორ. 6, 12; 7, 31; 8, 9; 9, 12-19; 10, 23-24.

*

მღვდელთმსახურნი მოწოდებული არიან თავისი თავის უარყოფისათვის. 2 კორ. 6, 4-5.

ენიც ვერ უარყოფს თავის თავს, ის არ არის ქრისტეს ღირსი. მათ. 10, 37-38; ლუკ. 14, 27-33.

თავისი თავის უარყოფა მართებს მწირსა და წარმავალს: „...გლოცავ თქვენ, ვითარცა მწირთა და წარმავალთა, განეშორენით გულისთქუმათაგან ზორციელთა, რომელნი ეწყვებიან სულსა“. 1 პეტ. 2, 11.

„რომელმან მოიპოვოს სული თვისი, წარწყმიდოს იგი; და რომელმან წარწყმიდოს სული თვისი ჩემთვის, მან პოვოს იგი“. მათ. 10, 39; 16, 25; მარკ. 8, 35; ლუკ. 9, 24; 17, 33; იოან. 12, 25; 1 კორ. 9, 27.

საუკუნო ცხოვრება არის ჯილდო თავისი თავის უარყოფელთათვის. მათ. 19, 28-29; მარკ. 10, 17. 21. 30; ლუკ. 18, 18. 22; იოან. 12, 25; რომ. 8, 13.

მაგალითები: აბრაამი. დაბ. 13, 9; ებრ. 11, 8-9; დავითი. 2 მეფ. 23, 15-17; ესთერი. ესთ. 4, 11-16; ძენი რაქაბისნი. იერ. 35, 6-7; მოწაფენი. მათ. 19, 27; მარკ. 10, 28; ლუკ. 18, 28. სვიმონი, ანდრია, იაკობი და იოანე. მათ. 4, 18-22; მარკ. 1, 16-20; ლუკ. 5, 11. ღარიბი ქერივი დედაკაცი. ლუკ. 21, 4. პირველი ქრისტიანები. საქმე. 4, 34; ებრ. 10, 34; პავლე და ბარნაბა. საქმე. 15, 26. პავლე. საქმე. 20, 24; 1 კორ. 8, 13; 9, 19-27. მოსე. ებრ. 11, 24-25.

თავისუფლება ჩრისტიანული

ნაწინასწარმეტყველებია. ეს. 42, 7; 61, 1.

ნაქადაგებია ქრისტესგან. ეს 61, 1; ლუკ. 4, 19-20.

მონიჭებულია

ღმრთისაგან. კოლას. 1, 13.

ქრისტესაგან. იოან. 8, 36; საქმე. 26, 15-18; გალ. 4, 3-5; 5, 1.

სულწმიდისაგან. რომ. 8, 15;

„სადა სული უფლისაი, მუნ აზნაურებაი არს“. 2 კორ. 3, 17.

*

ქრისტეს ეწოდება განმათავისუფლებელი. ეს. 59, 20; რომ. 11, 26.

„უკეთუ ძემან განგათავისუფლნეს, ჭეშმარიტად თავისუფალ იყვნეთ“. იოან. 8, 36.

ღმრთისა და ქრისტეს მსახურება შეადგენს ქრისტიანულ თავისუფლებას. რომ. 6, 22; 1 კორ. 7, 22; 1 ტიმ. 3, 13; 1 პეტ. 2, 16.

არის განთავისუფლება

„სჯულმან სულისა ცხოვრებისამან ქრისტე იესოს მიერ განმათავისუფლა მე სჯულისა მისგან ცოდვისა და სიკვდილისა“. რომ. 7, 6; 8, 2; გალ. 4, 5.

„წყვეისა მისგან სჯულისა“. გალ. 3, 13.

სიკვდილის შიშისაგან. რომ. 8, 15; ებრ. 2, 15; 1 იოან. 4, 17-18.

ცოდვის მონებისაგან. იოან. 8, 34-56; რომ. 6, 16-22; 7, 23-25; 8, 2.

ხრწნილებისაგან. რომ. 8, 21.

მონობის შიშისაგან. რომ. 8, 15.

ამა ქვეყნისაგან. გალ. 4, 3.

სატანას ბატონობისაგან. იოან. 8, 44; საქმე. 26, 18; 2 ტიმ. 2, 26; 1 იოან. 3, 8.

ბნელის ხელმწიფებისაგან. საქმე. 26, 18; კოლას. 1, 13.

*

ქრისტიანულ თავისუფლებას ეწოდება ღმრთის შეილთა დიდებული თავისუფლება. რომ. 8, 21.

ყველა მორწმუნე მოწოდებულია ქრისტიანული თავისუფლებისათვის გალ. 5, 13.

მორწმუნენი

მტყიცელ უნდა იცავენენ ქრისტიანულ თავისუფლებას. გალ. 2, 4-5; 5, 1; კოლას. 2, 8, 20; იაკ. 1, 25.

უნდა აქებდნენ ღმერთს ქრისტიანული თავისუფლების მონიჭებისათვის. ფს. 117, 14, 21.

*

ქრისტიანული თავისუფლება მორწმუნეებმა ბოროტად არ უნდა გამოიყენონ. გალ. 5, 13; 1 პეტ. 2, 19.

მორწმუნეებმა თავიანთი თავისუფლებით არ უნდა შეაცდინონ სხვანი. 1 კორ. 8, 9; 10, 29-32.

სახარება არის კანონი ქრისტიანული თავისუფლებისა. იაკ. 1, 25; 2, 12.

ქრისტეს ჭეშმარიტებას მიჰყავს ადამიანი ქრისტიანული თავისუფლებისაკენ. იოან. 8, 32.

ცრუმოდღარნი

ჰპირდებიან ქრისტიანულ თავისუფლებას, რომელიც მათ არა აქვთ. 2 პეტ. 2, 19.

ბოროტად იყენებენ თავისუფლებას. იუდ. 1, 4.

ცდილობენ მოსპონ ქრისტიანული თავისუფლება. გალ. 2, 4.

უსჯულოებს არა აქვთ ქრისტიანული თავისუფლება. იოან. 8, 34; რომ.

6, 16-20; ეფეს. 2, 2; 2 ტიმ. 2, 26; 2 პეტ. 2, 19.

მაგალითები ქრისტიანულთა ვის უფლებებისა:

ხარა და აგარი. გალ. 4, 22-31.

თავდაბლობა

რწმენასთან ერთად თავდაბლობა წარმოადგენს ძირითად მოთხოვნას ადამიანისას, რომელსაც ღმრთის გულის მოგება სურს.

თავდაბლობა ღმრთის წინაშე

იგავში მეზვერისა და ფარისევლის შესახებ (ლუკ. 18. 19.) იესო გვიჩვენებს ძირითად განსხვავებას მათ შორის, ვის გაამართლებს ღმერთი და ვის უარყოფს; აგრეთვე თავდაბლობის არსს, რაც წარმოადგენს ღრმა შეგნებას საკუთარი ადამიანური უძლურებისა და უწმინდურებისა ღმრთის სიდიადის წინაშე. ეს. 6, 5; 57, 15; ფს. 129; მიქ. 6, 8.

ღიადი მცნება: „ღმერთი ამპარტავანთა შეჰმუსრავს, ხოლო მდაბალთა მისცის მადლი“. ეს. 13, 11; 1 პეტ. 5-6; იაკ. 4, 10; მათ. 8, 8; ფს. 17, 36; იობ. 22, 29-30; 1 კორ. 15, 10.

თავდაბლობა მოყვასთა მიმართ

იესოს მიერ მოწაფეთა ფეხის დაბანა. იოან. 13, 5-10. მოწაფეებმა უნდა მიჰბადონ მას. ფილიპ. 2, 3; ეფეს. 4, 2; კოლას. 3, 12.

მცნება თავდაბლობის შესახებ. რომ. 12, 3-16; ეფეს. 4, 1-2; ფილიპ. 2, 3; კოლას. 3, 12; იაკ. 4, 10; 1 პეტ. 5, 5-6.

ქრისტე თავდაბლობის მაგალითია. მათ. 11, 29; ლუკ. 22, 27; იოან. 13, 14-15; ფილიპ. 2, 5-8.

თავდაბლობა აუცილებელია ღმრთისმსახურებისათვის. მიქ. 6, 8; საქმე. 20, 19.

თავდაბლობა აუცილებელია ღმრთის სასუფეველში შესასვლელად. მათ. 18, 4;

თავდაბლობა არის მორწმუნის თვისება. ფს. 32, 1-2; 68, 31-32; 130, 1.

მორწმუნენი

შემოსილი უნდა იყვნენ თავდაბლობით. კოლას. 3, 12; 1 პეტ. 5, 5. უნდა იქცეოდნენ თავდაბლად. ეფეს. 4, 1-2.

ალესილნი უნდა იყვნენ თავდაბლობით ღმრთის წინაშე. იაკ. 4, 10; 1 პეტ. 5, 6.

უნდა ჰბაძკენ ქრისტეს თავდაბლობას. მათ. 20, 27-28; მარკ. 10, 44-45; ლუკ. 22, 26-27; იოან. 13, 14-17; ფილიპ. 2, 5-8.

თავს უნდა თვლიდნენ ღმრთის უღირს მონებად თავდაბლობით. ლუკ. 17, 10.

თავს უნდა თვლიდნენ სხვებზე ნაკლებ ღირსეულ მორწმუნეებად. 1 კორ. 15, 9; ეფეს. 3, 8; ფილიპ. 2, 3.

თავიანთ კეთილ საქმეებს თავდაბლობით უნდა მიაწერდნენ ღმერთს. დაბ. 32, 10; 41, 16; ფს. 114, 1; დან. 2, 30; 1 კორ. 15, 10; 2 კორ. 4, 7.

უნდა ერიდებოდნენ ყალბ თავდაბლობას. კოლას. 2, 18-23.

თავდაბალნი

მიიღებენ მადლს ღმრთის წინაშე. იგავ. 3, 34; იაკ. 4, 6; 1 პეტ. 5, 5.

ღმერთი უსმენს მათ. ფს. 9, 13, 38.
 ღმერთი დაიხსნის (გადაარჩენს) მათ. იობ. 22, 29; ფს. 33, 19; 75, 10; 149, 4; სოფ. 2, 3.
 ამაღლდებიან ღმერთისაგან. იაკ. 4, 10; 1 პეტ. 5, 6.
 ღმერთის ყურადღების არეში არიან. ფს. 50, 17; ეს. 66, 2.
 ღმერთი ხელმძღვანელებს მათ. ფს. 50, 17; ეს. 66, 2.
 ღმერთი მოძღვრავს მათ. ფს. 24, 9; იგავ. 11, 2.
 ტკებთან ღმერთთან ერთობით. ეს. 57, 15.
 ამაღლდებიან. იობ. 22, 29; მათ. 23, 12; ლუკ. 9, 48; 14, 11; 18, 14.
 მიიღებენ ზეცათა სასუფელს. მათ. 5, 3; 18, 4; ლუკ. 18, 17;
 „რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი... იგი უფროს იყოს სასუფეველსა“. მათ. 18, 4; ლუკ. 9, 48.
 *
 ქრისტემ მოავლინა საზარება გლახკათათვის საქადაგებლად. ეს. 61, 1; ლუკ. 4, 18.
 თავმდაბლობა უძღვის პატივსა და დიდებას. იგავ. 15, 33; 18, 12; 29, 23.
 თავმდაბლობას მიჰყავს სიმდიდრის, დიდებისა და სიცოცხლისაკენ. იგავ. 22, 4.
 თავმდაბლობა უმეტესია სიმდიდრეზე. იგავ. 16, 19.
 უკანასკნელნი იქნებიან პირველნი. მათ. 19, 30; 20, 16; მარკ. 10, 31; ლუკ. 13, 30.
 ნეტარ არიან თავმდაბალნი. მათ. 5, 3-5.
 მწუხარების მიზანია შვას თავმდაბლობა. ლევიტ. 26, 41; 2 სჯ. 8, 2; 2

ნემტ. 7, 13-14; ფს. 106, 12; იერ. 13, 18; გოდ. 3, 19-20.
 თავმდაბლობის გამო ასცილდება კაცს სასჯელი. 3 მეფ. 21, 29; 2 ნემტ. 7, 14; 12, 6-7.
 თავმდაბლობის ნაკლებობა განისჯება. გამ. 10, 3; 2 ნემტ. 33, 23; 36, 12; იერ. 44, 10; დან. 5, 22.
 „ეკრძალებით, ნუკუე ვინმე შეურაცხ ჰყოთ ერთი მცირეთა ამათგანი.“ მათ. 18, 10.
 ვაი იმას, ვინც შეაცდენს ერთ მცირედთაგანს. მათ. 18, 6; მარკ. 9, 42; ლუკ. 17, 1-2.
 თავმდაბლობისაკენ გვიბძებებს
 არარაობა, სისუსტე და ხრწნილება ადამიანისა. იობ. 25, 6; ფს. 143, 3-4.
 უძღვრება, უღონობა და დამოკიდებული მდგომარეობა ადამიანისა. 1 ნემტ. 29, 14; ეს. 10, 15; იერ. 10, 23; 1 კორ. 4, 7; 2 კორ. 3, 5.
 ცოდვიანი მდგომარეობა ადამიანისა. იობ. 39, 37; ეს. 6, 5; დან. 9, 8; ლუკ. 5, 8; რომ. 7, 18; 1 კორ. 2, 14.
 თავმდაბლობაზე ლაპარაკია იგავებში
 ქორწილში ადგილების დაკავებაზე. ლუკ. 14, 8-11.
 მეზვერეზე. ლუკ. 18, 13-14.
 მცირე ყრმაზე. მათ. 18, 2-5; ლუკ. 9, 48.
 მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი : აბრაამი. დაბ. 18, 27; იაკობი. დაბ. 32, 10; იოსები. დაბ. 41, 16; მოსე. გამ. 3, 11; 4, 10; ისუ, ძე ნავესი. ისუ ნავ. 7, 8; გედეონი. მსაჯ. 6, 15; დავითი. 1 მეფ. 18, 23; 1 ნემტ. 29, 14; ფს. 72, 22; 130, 1;

სოლომონი. 3 მეფ. 3, 7; ელია. 3, მეფ. 19, 4; ოსია. 4 მეფ. 22, 19; 2 ნეშტ. 34, 27. ეზეკია. 2 ნეშტ. 32, 26; წინამძღვარნი ისრაელისა. 2 ნეშტ. 12, 6; მანასე. 2 ნეშტ. 33, 12; იობი. იობ. 39, 37; 42, 3; ესაია. ეს. 6, 5; იერემია. იერ. 1, 6; დანიელი. დან. 2, 30; იოანე ნათლისმცემელი. მათ. 3, 11; მარკ. 1, 7; ლუკ. 3, 16; იოან. 1; ასისტავი. მათ. 8, 8; ლუკ. 7, 6-7; ქანაანელი ღელაკაცი. მათ. 15, 27; მარკ. 7, 28; ელისაბედი. ლუკ. 1, 43; პეტრე. ლუკ. 5, 8; პავლე და ბარნაბა. საქმე. 14, 15; პავლე. საქმე. 20, 19; 1 კორ. 15, 9; ეფეს. 3, 8; 1 ტიმ. 1, 15.

თავმდაბლობა ქრისტიანი

ნაწინასწარმეტყველება. ეს. 42, 2-3; მათ. 12, 19-20.
გამოცხადებულია თვით მისგანვე. მათ. 11, 29; იოან. 8, 50.

ქრისტემ ცხადყო თავისი თავმდაბლობა

კაცობრიული ბუნების შემოსვით. ფილიპ. 2, 7-8; გალ. 4, 4; ებრ. 2, 14-17; 10, 5.

ადამიანურ უძლეურებათა განცდით. მათ. 4, 2; 21, 18; მარკ. 11, 12; ლუკ. 4, 2; იოან. 4, 6-7; 11, 35; ებრ. 5, 7.

ცდუნებათა ატანით. მათ. 4, 1; მარკ. 1, 13; ლუკ. 4, 2; ებრ. 2, 18; 4, 15.

თავისი თავმდაბლური შობით. ლუკ. 2, 4-7.

თავის მშობელთადმი მორჩილებით. ლუკ. 2, 51.

თავისი უბრალო წარმოშობით. ეს. 53, 2; მათ. 13, 55; მარკ. 6, 3. იოან. 6, 42; 9, 29.

„ძეს კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს“. მათ. 8, 20; ლუკ. 9, 58; 2 კორ. 8, 9.

„ძე კაცისაი არა მოვიდა, რაითამცა იმსახურა, არამედ მსახურებად და მიცემად სული თვისი სახსრად მრავალთათვის“. ლუკ. 22, 27; მათ. 20, 28; მარკ. 10, 45; ფილიპ. 2, 7.

როდესაც ფეხები დაბანა თავის მოწაფეებს. იოან. 13, 4-14.

ცოღვილებთან ხშირი ყოფნით. მათ. 9, 10-11; მარკ. 2, 15-16; ლუკ. 5, 29-30; 15, 1-2.

ადამიანური პატივის მიღების უარყოფით. იოან. 5, 41; 6, 15.

რელიგიურ წეს-კანონთა მორჩილებით. მათ. 3, 13-15; მარკ. 1, 9; ლუკ. 3, 21; მათ. 26, 17-19; მარკ. 14, 12-16; ლუკ. 22, 7-13; იოან. 7, 2-10; გალ. 4, 4.

საერო კანონების მორჩილებით. მათ. 17, 24-27.

ღმრთის მორჩილებით. იოან. 5, 30; 6, 38; 8, 29; 14, 31; ფილიპ. 2, 8; ებრ. 10, 7.

თავის სატანჯველად მიცემით. ეს. 53, 7; საქმე. 8, 32; მათ. 26, 39; მარკ. 14, 36; ლუკ. 22, 42; ებრ. 5, 8.

შეურაცხების ატანა. ფს. 21, 6-7; 68, 7-9; 108, 25; ეს. 50, 6; 53, 3; რომ. 15, 3; 1 პეტ. 2, 23.

თავისი სიკვდილით. მათ. 27, 38; მარკ. 15, 27; იოან. 10, 17-18; ფილიპ. 2, 8; გალ. 3, 13; ებრ. 12, 2.

*

ქრისტე სძულდათ მისი თავმდაბლობის გამო. მათ. 13, 54-57; მარკ. 6, 3; იოან. 6, 42; 9, 29.

ქრისტე განადიდა ღმერთმა თავმდაბლობისათვის. იოან. 17, 4-5; ფილიპ. 2, 9.

ქრისტე შეგვაგონებს მივბამოთ მის თავმდაბლობას. მათ. 11, 29; 20, 27-

28; მარკ. 10, 44-45; ლუკ. 22, 26; იოან. 13, 14-17.

თანაღმობა იესო ქრისტიანს

მაშვერალთა და ტვირთმიძიებთადმი. მათ. 11, 28; ლუკ. 4, 18; ეს. 61, 1.

სარწმუნოებით სუსტებისადმი. ეს. 40, 11; 42, 3; მათ. 12, 20.

„რამეთუ რომლითა-იგი ივნო თავადმან და გამოიცადა, ძალ-უც, რომელნი-იგი განიცადებოდიან, მათ-და შეწვევანად“. ებრ. 2, 18; 4, 15.

შემცდარი ცოდვილებისადმი. მარკ. 6, 34.

ცოდვილებისადმი რომელნიც იღუპებიან. მათ. 9, 36; 23, 37; მარკ. 6, 34; ლუკ. 19, 41-42; იოან. 13, 21.

მწუხარეთადმი. ლუკ. 7, 13; იოან. 11, 33-35; 16, 33.

აკადმყოფთა და უძღურთადმი. მათ. 8, 7-16; 14, 14; 15, 30-34; მარკ. 1, 41.

მშიერთადმი მათ. 15, 32; მარკ. 8, 2-3.

*

თანაღმობა იესო ქრისტესადმი საჭიროა მის მიერ გაღებული მსხვერპლის გამო. ებრ. 5, 1-7.

თანაღმობისაკენ მოვეწოდებ

ღმრთის თანაღმობა ჩვენადმი. მათე. 18, 27-33; ეფეს. 4, 32.

ქრისტეს თანაღმობა ჩვენადმი. კოლას. 3, 13.

ჩვენი საკუთარი უძღურების ცნობიერება. ებრ. 5, 2; მათ. 7, 3.

თანაღმობის არქონა იწვევს ღმრთის რისხევას. 2 სჯ. 15, 9; მათ. 18, 33-35.

მაგალითები ქრისტეს თანაღმობისა: მრავალიხალხისადმი უდაბნოში. მათ. 14, 14; 15, 32; მარკ. 8, 1-3; ბრმებისადმი მათ. 20, 34; იერუსალიმისადმი მათ. 23, 37; ლუკ. 19, 41-42; ყთროვანისადმი მარკ. 1, 41; ნაინელი ქერიეი დედაკაცისადმი. ლუკ. 7, 13; მალქოზისადმი. ლუკ. 22, 51; პეტრესადმი. ლუკ. 22, 61; ლაზარეს ღებისადმი. იოან. 11, 33-35.

*

შეგონებანი თანაღმობისათვის. ზაქ. 7, 9; რომ. 12, 15; 1 კორ. 12, 25-26; გალ. 6, 2; ეფეს. 4, 32; კოლას. 3, 13; 1 პეტ. 3, 8.

ქრისტე იყო თანაგრძნობის მაგალითი. 9, 36; 11, 28; 14, 14; მარკ. 8, 2-3; ლუკ. 7, 13; საქმე. 10, 38.

თანაღმობა უნდა გამოეცხადოს

მწუხარეთ. იობ. 19, 21; ეს. 22, 4; იერ. 9, 1; რომ. 12, 15; 2 კორ. 1, 4; 1 თეს. 5, 14.

ღარიბთ. ლევიტ. 25, 35; 2 სჯ. 15, 7-10; ფს. 111, 4; იგავ. 14, 31; 19, 17; 1 იოან. 3, 17-18.

ქერიეთა და ობოლთ. იაკ. 1, 27. ტუსალთა და დევნილთ. ებრ. 13, 3; კოლას. 4, 18.

სუსტებს. რომ. 15, 1; 1 კორ. 9, 22; 2 კორ. 11, 29; გალ. 6, 2; 1 თეს. 5, 14.

სნეულთ. მათ. 25, 36-43. მორწმუნეთ. 1 კორ. 12, 25-26; კოლას. 3, 13; ეფეს. 4, 32; 1 პეტ. 3, 8; იუდ. 1, 22.

მტრებს. ფს. 34, 13; იგავ. 25, 21; რომ. 12, 20.

*

თანაღმობა განუყრელია ღმრთის სიყვარულისაგან. 1 იოან. 3, 17.

მორწმუნეებს აქეთ თანაღმობა, შებრალება. ფს. 36, 21-26; 111, 4; იგავ. 14, 31.

ის, ვისაც აქვს თანაღმობა ღარიბი-სადმი, სესხს აძლევს ღმერთს. იგავ. 19, 17.

თანაღმობისაკენ გვიბიძგებს

თანაღმობა ღმრთისა ჩვენდამი. მათ. 18, 27-33; ეფეს. 4, 32.

თ. კრისტესი ჩვენდამი. კოლას. 3, 13.

შეგნება საკუთარ სისუსტეთა. ებრ. 5, 2; მათ. 7, 3.

კურთხევა მისი, ვინც აცხადებს თანაღმობას. ფს. 36, 26; 111, 9; იგავ. 14, 21; 19, 17.

ჯილდო თანაღმობისათვის უკანასკნელ დღეს. მათ. 15, 34-40.

*

ნაკლებობა თანაღმობისა გამოიწვევს ღმრთის რისხვას. 2 სჯ. 15, 9; მათ. 18, 33-35; 25, 41-43.

თანაღმობა ნაჩვენებია მაცხოვრის იგავში. მოწყალე სამარიტელზე. ლუკ. 10, 30-37.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი: ფარაონის ქალიშვილი. გამ. 2, 6; ვესები. 2 მეფ. 17, 27-29; ელისე. 3 მეფ. 17, 20; ნემია. ნემ. 1, 4; იობის მეგობარი. იობ. 2, 11; იობი. იობ. 30, 25; დავითი. ფს. 34, 14; ლაზარეს მეგობარნი. იოან. 11, 19; პაულე. 1 კორ. 9, 22; 2 კორ. 11, 29; მოქცეული ჰურიანი. ებრ. 10, 34.

თაფლი

ღმერთი აძლევს თაფლს ადამიანებს. ფს. 80, 16. ეზეკ. 16, 19.

თაფლს აკეთებენ ფუტკრები. 1 მეფ. 14, 25-26.

თაფლს პოულობენ

კლდეებში. 2 სჯ. 32, 13. ფს. 80, 16.

ტყეებში. 1 მეფ. 14, 25-26.

მინდვრებში. იერ. 41, 8.

ცხოველთა ჩონჩხში. მსაჯ. 14, 8.

*

თაფლი ფრიად ტკბილი და სასიამოვანოა. იგავ. 16, 24; 24, 13; მსაჯ. 14, 18.

თაფლი უხვად იყო

ეგვიპტეში. რიცხ. 16, 13.

ასურეთში. 4 მეფ. 18, 32.

ქანაანში. გამ. 3, 8. ლევიტ. 20, 24; 2 სჯ. 8, 8.

*

თ. ითვლება ჯანსაღ საკვებად. იგავ. 24, 13.

თაფლის ხმარების დროს ზომიერება არის საჭირო. იგავ. 25, 17. 29.

მაძღარს თ. არად მიაჩნია. იგავ. 27, 7.

თაფლს ჭამდნენ

გამოწურულის. 1 მეფ. 14, 25. 29. ფიჭით. ლუკ. 24, 42.

პურთან ერთად. ქება. 5, 1.

ერბოსთან ერთად. ეს. 7, 15. 22.

კალიასთან ერთად. მათ. 3, 4. მარკ. 1, 6.

*

მიღებული არ იყო თაფლის მსხვერპლად შეწირვა. ლევიტ. 2, 11.

თ. პირველ ნაყოფს სწირავდნენ ღმერთს. 2 ნეშტ. 31, 5.

ხშირად თაფლი იგზავნებოდა ძღვნად. დაბ. 43, 11; 3 მეფ. 14, 3.

თ. გაკქონდათ ქანანის ქვეყნიდან. ვზეკ. 27, 17.

გადატანითი მნიშვნელობით

ღმრთის სიტყვა. ფს. 18, 10; 118, 103.

სიბრძნე. იგავ. 24, 13-14.

წმინდანთა სიტყვები, ნათქვამნი. ქება. 4, 11.

სასიამოვნო სიტყვები. იგავ. 16, 24.

მეძავეი ქალის ბავენი. იგავ. 5, 3.

თაჳანისცემა

ღმრთის თაჳანისცემა არის მასთან მიხზლობა მოწინებით არა იმისათვის, რომ რაიმე გამოეთხოვოთ ჩვენთვის ან სხვებისთვის, არამედ რათა მივაგოთ მას ქება (ხოტბა, შესხმა) და მიეცეთ ჩვენი გული.

ღმრთის თაჳანისცემით საესეა ზეცა. ეს. 6, 1-2; გამოცხ. 4, 8. 11.

იგივე უნდა იყოს მიწაზეც. გამ. 34, 8. ფს. 21, 27-29; 28, 2; 65, 3; 85, 9; 94, 6. გამოცხ. 14, 7; 15, 4. და სხვ.

ძველ აღთქმაში თაჳანისცემის ადგილს უმთავრესად ტაძარი წარმოადგენს. ფს. 137, 2.

უფალმა იესომ გვასწავლა, რომ თაჳანისცემა არ დაუჳკავშიროთ რომელიმე ადგილს (იოან. 4, 21-24.) და უნდა გვახსოვდეს მისი სიტყვები, რომ არ უნდა ვილოცოთ მოსაჩვენებლად, სხვის დასანახავად. (მათ. 6, 6.)

„არა იყვნენ შენდა ღმერთნი სხუანი თვინიერ ჩემსა... არა თაჳანის-სცემათ, არცა ჰმსახურომათ“. გამ. 20, 3-5; მათ. 4, 10.

ეს მცნება მრავალგზის ირღვეოდა ისრაელში. გამ. 32; ოქროს ხბო. რიცხ.

25, 2 და სხვ. 4 მეფ. 17, 16; ეს. 44, 12 და ა. შ.

ამ მცნების დარღვევის გამო ზალხი ისჯებოდა ღმერთისგან. მსაჯ. 2, 12; 3 მეფ. 9, 9; 4 მეფ. 17, 18; იერ. 1, 16; 16, 11-13 და სხვ.

არ შეიძლება ანგელოზების თაჳანისცემა, მით უმეტეს – ადამიანებისა. გამოცხ. 22, 8; საქმე. 10, 25-26; 14, 13-15.

იესოს თაჳანისცემა

ჯერ კიდევ ჩვილის თაჳანის-საცემად მოგვნი აღმოსაველთიდან გაემგზავრნენ ბეთლემს. მათ. 2, 1-2.

იესოს თაჳანისცემის მაგალითები სახარებიდან: პეტრესგან. ლუკ. 5, 8; კეთროვანისაგან. მათ. 8, 2; ნავში მსხდომთაგან. მათ. 14, 33; დაბადებიდან უსინათლოსაგან. იოან. 9, 38; თომასაგან. იოან. 20, 28.

იესოს თაჳანისცემა ქრისტიანთა განმასხვავებელი ნიშანია. 1 კორ. 1, 2; საქმე. 9, 14; 2 ტიმ. 2, 22.

მას თაჳანს სცემენ ზეცის ბინადარიც. ებრ. 1, 6; გამოცხ. 5, 8.

თაჳანისცემა მოგვთა. მათ. 2, 11-12;

თაჳანისცემა მწყემსთა. ლუკ. 2, 15-20.

საუბარი იესო ქრისტესი სამარიტელ დედაკაცთან იმის შესახებ, რომ თაჳანისცემა ღმრთის მიმართ უნდა ხდებოდეს სულით და ჭეშმარიტებით. იოან. 4, 20-24.

თაჳი

თეჳი შექმნილია ღმერთისგან. დაბ. 1, 20-21. გამ. 20, 11.

თ. შექმნილია ღმრთის სადიდებლად. იობ. 12, 8-9; ფს. 68, 34.

თ. ბინადრობენ ზღვებში. რიცხ. 11, 22; ეზეკ. 47, 10.

თ. ბინადრობენ მდინარეებში. გამ. 7, 18; ეზეკ. 29, 5.

თ. (ზღვის ქვეარმაველები) ურიცხვი არიან. ფს. 103, 25.

თევზის ხორცის განსხვავება სხვა ცხოველების ხორცისაგან. I კორ. 15, 39.

თევზებს არ შეუძლიათ უწყლოდ სიცოცხლე. ეს. 50, 2.

თევზები ემორჩილებიან ადამიანს. დაბ. 1, 26-28; ფს. 8, 7-9.

ადამიანს ნებადართული აქვს თევზის ჭამა. დაბ. 9, 2-3.

ეგვიპტელები ჭამდნენ თევზს. რიცხ. 11, 5.

ებრაელები ჭამდნენ თევზს. მათ. 7, 10.

ჭამდნენ შემწვარ თ. ლუკ. 24, 42; იოან. 21, 9.

თევზს ყიდიდნენ იერუსალიმის თევზის ბჭესთან. 2 ნეშტ. 33, 14.

განსხვავება წმინდა და უწმინდურ თევზთა შორის. ლევიტ. 11, 9-12; 2 სჯ. 14, 9-10.

საღმრთო წერილში ნახსენებო თევზები

ლევიათანი, კეშაპი. იობ. 40, 20; ფს. 73, 14.

კეშაპი. მათ. 12, 40.

*

სოლომონი ლაპარაკობდა თევზების შესახებ. 3 მეფ. 4, 33.

აკრძალულია თევზების გამოსახსულების შუქმნა თავყანისსაცმად. გამ. 20, 4; 2 სჯ. 4, 15-18.

თევზის ჭერა სიმონ-პეტრესა და მისი ძმის მიერ. მათ. 4, 18; ლუკ. 5, 2-6.

თევზებს იჭერენ

ბადებით. ლუკ. 5, 4-6; იოან. 21, 6-8.

ანკესებით. მათ. 17, 27.

შუბებით. იობ. 40, 26.

ხშირად იტანჯებოდნენ თევზები ადამიანთა ცოდვების შედეგად. გამ. 7, 22; ეზეკ. 38, 20.

თევზებთან დაკავშირებული სახსწაულები

მცირეოდენი თევზის გამრავლება. მათ. 14, 17-21; 15, 34.

დიდძალი თევზის დაჭერა. ლუკ. 5, 6-9; იოან. 21, 6-11.

თ. პირიდან მიღებული ფული (სატირი) ბაჟის გადასახდელად. მათ. 17, 27.

თ. საჭმელად მომზადება ნაპირზე. იოან. 21, 9.

გადატანითი მნიშვნელობით

ეგვიპტის მთელი მოსახლეობა. ეზეკ. 29, 1-5.

ხილული ეკლესია. მათ. 13, 47-48. ადამიანები, რომელთაც არ იცინა მერმისი. ეკლ. 9, 12.

უკეთურთა მიერ შეცდენილი ადამიანები. ამბ. 1, 14.

თასლი

ყოველგვარი ბალახი, ხე და მცენარე გამოიღებს თესლს თავისი ჯიშისამებრ. დაბ. 1, 11; 12, 29.

ყოველგვარ თ. აქვს თავისი სახე. I კორ. 15, 38.

თესლის დათესვის დროის შესახებ. დაბ. 8, 21.

თ. დათესვა აუცილებელია მიწაში აღმოცენებისათვის. იოან. 12, 24; 1 კორ. 15, 36.

თესვა ითხოვს გულმოდგინებას. ეკლ. 11, 4-7.

ხანდახან თესვა ითხოვს დიდ ძალას. მათ. 13, 4-8.

თესვა ხშირად იწვევს შიშს მოსავალთან დაკავშირებით. ფს. 125, 5-6.

თესვის დრო ყოველწლიურად უზრუნველყოფილია ღმერთის აღთქმის თანახმად. დაბ. 8, 20-21.

ხშირად თესვენ მდინარეთა ნაპირზე. ეკლ. 11, 1.

თესვს ხარები ფეხით ტყეში იწვევენ. ეს. 32, 20.

თესლის აღმოსაყენებლად საჭირო იყო წვიმა. ეს. 55, 10.

გვიბტეში საჭირო იყო ხელოვნური მორწყვა. 2 სჯ. 11, 10.

ქანაში კარგი თესლი იცოდა. დაბ. 26, 12; მათ. 13, 23.

მოსეს ხეულის მიხედვით

აკრძალული იყო ერთ მინდოზე სხვადასხვაგვარი თესლის დათესვა. ლევიტ. 19, 19; 2 სჯ. 22, 9.

რაიმე უწმინდურის დაცვა სველ თესვზე ბილწავს მას. ლევიტ. 11, 36-37.

სველი თესვის ყოველგვარი შეხება უწმინდურ საგნებთან ბილწავს მას. ლევიტ. 11, 38.

თ. მეთედი ნაწილი ეძღვნებოდა ღმერთს. ლევიტ. 27, 30.

12. ბიბლიის ლექსიკონი.

აკრძალული იყო თესვა საოებილო (ორმოცდამეათე) წელს. ლევიტ. 25, 11.

ასევე აკრძალული იყო თესვა საშაბათო წლებშიც. ლევიტ. 25, 4, 20.

განსხვავება თესვსა და მისგან წარმოშობილ მცენარეს შორის. 1 კორ. 15, 37-38.

ისრაელნი ისჯებოდნენ

თესვის წახდენით („განხმა იფქლი“). იოველ. 1, 17.

თ. ცუდი მოსავლიანობით. ეს. 5, 10; ანგ. 1, 6.

მკალისგან (კალისგან) მოსავლის განადგურებით. 2 სჯ. 28, 38; იოველ. 1, 4.

მტრის მიერ მოსავლის განადგურებით. ლევიტ. 26, 16; 2 სჯ. 28-33. 51.

ხორბლის ნაცვლად ეკალნი. იერ. 12, 13; მათ. 13, 7.

გადატანითი მნიშვნელობით

ღმერთის სიტყვა. ლუკ. 8, 11; 1 პეტ. 1, 23.

სულიერი ცხოვრება. 1 იონ. 3, 9. სახარების ქადაგება. მათ. 13, 3. 32; 1 კორ. 9, 11.

ხალხის შეკრება ან გაფანტვა. ზაქ. 10, 9.

ქრისტიანის გულუხეობა. ეკლ. 11, 7; 2 კორ. 9, 6.

„რაიცა-იგი სთესოს კაცმან, იგიცა მოიმკოს“. გალ. 6, 7-8.

ქრისტეს სიკვდილი და მისი შედეგები. იოან. 12, 24.

სხეულის დაკრძალვა. 1 კორ. 15, 36-38.

თავალი

„სანთელი გუამისია არს თუალი“. მათ. 6, 22; ლუკ. 11, 34.

ღმერთმა

შექმნა თ. ფს. 93, 9.
აუხილა თ. ადამიანს. 4 მეფ. 6, 17; ფს. 145, 8.
მოწოდების მიზანია — ღმრთის სასუფეველის კურთხევაში მონაწილეობა. 1 თეს. 2, 12; ეფეს. 4, 4; 1 ტიმ. 6, 12; გამოცხ. 19, 9.

რა მოეთხოვებათ მოწოდებულთ?

შეისმინონ მოწოდება. იოან. 10, 27. მიიღონ ურყევი გადაწყვეტილება და განმტკიცდნენ მოწოდებაში. მათ. 19, 22; 2 პეტ. 1, 10.

ყველაფერი აკეთონ მოწოდების შესაფერისად. 1 პეტ. 1, 15; 1 თეს. 2, 12; 4, 7. ეფეს. 4, 1; 1 კორ. 7, 20.

ღმრთის მოწოდების უგულებელყოფა იწვევს სასუფევიდან განდევნას. ლუკ. 14, 24 („მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ“).

აოწოლა ღმრთის მიერ

მ.დ.მ. მის ქმნილებათა საშუალებით. ფს. 18, 1-2; რომ. 1, 20.

მ.ღ.მ. მისი სულის საშუალებით. ნემ. 9, 30; საქმე. 13, 2.

მ.ღ.მ. იესო ქრისტეს საშუალებით. ეს. 55, 5; მათ. 11, 28; იოან. 7, 37; 12, 32; რომ. 1, 6.

მ.ღ.მ. მისი სახარების საშუალებით. 2 თეს. 2, 14.

მ.ღ.მ. მის მსახურთა საშუალებით. 4 მეთ. 17, 13; იერ. 7, 25; 35, 15; 44, 4; ზაქ. 1, 4; რომ. 1, 5; 2 კორ. 5, 20.

მ.ღ.მ. მისი მადლის საშუალებით. გალ. 1, 15; 2 ტიმ. 1, 9.

მ.ღ.მ. მისი სიყვარულის საშუალებით. ოს. 11, 1-4.

მ.ღ.მ. მისი დიდებისა და სათნოების საშუალებით. 2 პეტ. 1, 3.

მ.ღ.მ. მიმართულია ყველასადმი. იგავ. 8, 4; ეს. 45, 22; მათ. 24, 14; მარკ. 13, 10; 16, 15; რომ. 10, 18; კოლას. 1, 23.

მ.ღ.მ. მიმართულია ცოდვილთადმი. მათ. 9, 13; მარკ. 2, 17; ლუკ. 5, 32; 1 ტიმ. 1, 15.

მ.ღ.მ. უარყოფილი მრავალი ხალხის მიერ. იგავ. 1, 24; ეს. 65, 12; 66, 4; იერ. 7, 13; მათ. 20, 16; 22, 14; რომ. 10, 16; იოან. 12, 38.

მ.ღ.მ. მიღებული მორწმუნეთა მიერ. იოან. 10, 27; 1 კორ. 1, 24.

მ.ღ.მ. არის

შედეგი არჩევისა (ჩინებისა). რომ. 8, 29-30.

ღმრთის გამოარჩევის. რომ. 8, 27-29; 9, 11. 23-24; 2 ტიმ. 1, 9.

მ.ღ.მ. უცვალებელი და გარდუვალა ღმრთის მხრივ. რომ. 11, 29; 1 თეს. 5, 24.

მ.ღ.მ. წმიდაა. 2 ტიმ. 1, 7.

მ.ღ.მ. ზეციურია. ფილიპ. 3, 14; ებრ. 3, 1.

მ.ღ.მ. მოგვიწოდებს

სინანულისკენ. მათ. 9, 13; მარკ. 2, 17; ლუკ. 5, 32.

ღმერთთან შერიგებისკენ. ეს. 27, 5; 2 კორ. 5, 20.

სიწმიდისკენ. რომ. 1, 7; 1 კორ. 1, 2; 1 თეს. 4, 7; 1 პეტ. 1, 15.

ბნელისაგან ნათლად მოქცევისკენ. საქმე. 26, 18; 1 პეტ. 2, 9.

სიკვდილისგან სიცოცხლისკენ. იოან. 5, 24-25.

თავისუფლებისკენ. გალ. 5, 13. მშვიდობისკენ. 1 კორ. 7, 15; კოლას. 3, 15.

იესო ქრისტესთან ერთობისკენ. 1 კორ. 1, 9.

ერთი და იმავე იმედისკენ. ეფეს. 1, 18; 4, 4.

ქრისტეს საუკუნო დიდებისკენ. რომ. 8, 29-30; 2 თეს. 2, 14; 1 პეტ. 5, 10.

საუკუნო სამკვიდრებელისკენ. ეფეს. 1, 20.

ღმრთის სამეფოსა და დიდებისკენ. 1 თეს. 2, 12.

საუკუნო ცხოვრებისკენ. 1 ტიმ. 6, 12.

*

„ზვიდოდით ღირსად ჩინებისა თქვენისა, რომლითა იჩინენით“. ეფეს. 4, 1; 1 კორ. 7, 17; 1 თეს. 2, 12.

ილოცეთ, რათა ღირს გყნენ თქვენ ღმერთმან ჩინებისა. 2 თეს. 1, 11.

ადიდებდით ღმერთსა მოწოდებისთვის. 1 პეტ. 2, 9.

ნეტარია ის, ვინც მიიღო მოწოდება ღმრთის მიერ. გამოცხ. 3, 20; 19, 9.

თუ თქვენ ამჟამად გაიგონებთ მოწოდებას ღმრთის მიერ, ნუ გაიბოროტებთ თქვენს გულს. ფს. 94, 7-8; ებრ. 3, 7-8. 15; 4, 7.

მოწოდება ღმრთის მიერ მიმართულია ისრაელისადმი. ეს. 43, 1; 45, 4; 48, 12-15; საქმე. 2, 39.

მ.ღ.მ. მიმართულია წარმართებისადმი. ეს. 43, 6-7; 55, 5; საქმე. 9, 14-15; 26, 17; რომ. 1, 6; 9, 24-26.

მ.ღ.მ. მიმართულია კერძოდ მის წინასწარმეტყველთა და მოციქულთადადმი. ეს. 51, 2; იერ. 1, 5; მარკ. 3, 13-14; გალ. 1, 15.

„მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ“. მათ. 20, 16; 22, 14.

ღმრთისაგან მოწოდების უარყოფას აღამიანი მოჰყავს

ხსნის განშორებისკენ. ეზექ. 12, 2-3; მათ. 10, 14-15; მარკ. 6, 11; ლუკ. 9, 5; 10, 10-11; საქმე. 13, 46; 18, 6; გამოცხ. 2, 5.

სულიერი სიბრძავისკენ. საქმე. 28, 27; რომ. 1, 21; 11, 7-10.

ცდომილებისკენ. ეს. 66, 4; 2 თეს. 2, 10-11.

გაბოროტებისკენ. იერ. 5, 3.

სასჯელისკენ. ეს. 65, 12; იერ. 6, 16-19; 7, 13-15; 13, 10-14; 26, 4-6; 35, 17; 44, 4-6; ზაქ. 7, 12-14.

ღმრთის მიერ უარყოფისკენ. იგავ. 1, 24-31; იერ. 6, 19-30; 7, 28-29; ოს. 9, 17; ზაქ. 7, 13.

საუკუნო სასჯელისკენ. იოან. 12, 48; ებრ. 2, 2; 12, 25.

*

მ.ღ.მ. წარმოდგენილია იგავებში: „ღვთაებრივი სიბრძნე“, იგავ. 9, 1-6. „საქორწინე სერობა“. მათ. 22, 2. „ღიღი წვეულება“. ლუკ. 14, 16-24.

ღმრთის მიერ მოწოდების მაგალითები: აბრაამი. დაბ. 12, 1; ეს. 51, 2; საქმე. 7, 3; ებრ. 11, 8. მოსე. გამ. 3, 4. აარონი. გამ. 28, 1; ებრ. 5, 4. სამოელი. 1 მფე. 3, 10. იერემია. იერ. 1, 5. იონა. იონ. 1, 1-2. ქრისტეს მოწაფეები. მარკ. 3, 13; ლუკ. 6, 13. საველე. საქმე. 9, 11-15. კორნილიე. საქმე. 10, 3. ბარნაბა და საველე. საქმე. 13, 2. ლუდია. საქმე. 16, 14. პავლე. რომ. 1, 1; 1 კორ. 1, 1; გალ. 1, 1-15.

ღმრთის მიერ მოწოდების უარყოფის მაგალითები: ისრაელნი. ეს. 66, 4; იერ. 7, 25-27; 35, 15; ოს. 11, 1-7; საქმე. 13, 46; 18, 6; რომ. 10, 16-21. იერუსალიმი. მათ. 23, 37; ლუკ. 13, 34; 19, 43-44; იოან. 5, 40.

მოწოდება

მ. ნამცნებია. იგავ. 19, 22; მიქ. 6, 8; ზაქ. 7, 10; კოლას. 3, 12; 1 პეტ. 3, 8.

მ. შერაცხულია ჩვენს ვალად ღმრთის მაგალითით. მათ. 18, 33; ლუკ. 6, 36; ეფეს. 5, 1.

მ. უფრო სასიამოვნოა ღმრთის წინაშე, ვიდრე მსხვერპლის შეწირვა. მათ. 9, 13; 12, 7.

მ. უნდა იყოს აღბეჭდილი გულში. იგავ. 3, 3.

მ. არის ღმრთის სიბრძნის ერთ-ერთი თვისებათაგანი. იაკ. 3, 17.

მორწმუნენი არიან მოწყალენი. ფს. 36, 26; 111, 4.

**მონათლბის ხაქმები უნდა
კეთდებოდეს**

სინარულით. იგავ. 19, 22; რომ. 12, 8.

მორწმუნეთა მიმართ. 3, 12; 1 პეტ. 3, 8.

ღარიბთა მიმართ. ფს. 111, 4; იგავ. 14, 21; დან. 4, 25.

პირუტყვთა მიმართ. 2 სჯ. 25, 4; იგავ. 12, 10.

ის, ვინც მონათლბას შერება

სიკეთეს უკეთებს თავის თავს. იგავ. 11, 17.

პოეებს ცხოვრებას, სიმართლეს და ღიღებას. იგავ. 21, 21.

თვითონაც მიიღებს მონათლბას. ფს. 17, 25; მათ. 5, 7; 6, 14; მარკ. 11, 25.

*

ნეტარია ის, ვინც მონათლუა. იგავ. 14, 21; მათ. 5, 7.

პირმოთნე ადამიანებს არა აქვთ მონათლბა. მათ. 23, 23.

მუქარა მათ, რომელნიც უმოწყალონი არიან. ეს. 47, 6; ოს. 4, 1-3; ამოს. 1, 11.

უმოწყალო სასჯელი მათ, რომელნიც თვითონ უმოწყალონი არიან. მათ. 6, 15; 7, 2; 18, 35; მარკ. 11, 26; იაკ. 2, 13.

მონათლბა წარმოდგენილი იგავში „მონათლუ მეფე და უმოწყალო მონა“. მათ. 18, 23-35.

**მონათლბა, ლხინება,
გაღლი**

მონათლბა არის თავისუფალი, დაუმსახურებელი კეთილგანწყობა,

რომელსაც თავისი მდგომარეობით უფრო მაღლა მდგომი პირი იჩენს მასზე დაბლა მდგომი პირის მიმართ, ან სასჯელის გაუქმება, ან ვალის პატიება და ა.შ. იხ.: იგავი მოვალეების შესახებ. მათ. 18, 23. ღმერთთან დაკავშირებით: ღმრთის მონათლბა არის მისი დიდი სიყვარული, რომლითაც მან შეიყვარა ადამიანები მათი ყოველგვარი დამსახურების გარეშე. ღირსებების გარეშე, და ამასთან მისი მოქმედებანი არაფრით არ არიან შეზღუდულნი და ხშირად შეუცნობელნი არიან. გამ. 33, 19.

ძველ აღთქმაში

ღმერთი განსაკუთრებულ მონათლბას იჩენს არა მარტო ცალკეული ადამიანების (ნოე-დაბ. 6, 8; მოსე-გამ. 33, 12; დავითი - 2 მეფ. 15, 25), არამედ, პირველ ყოვლისა, ისრაელის მთელი ერის მიმართ, ირჩევს რა მას განსაკუთრებული მიზნისთვის და სწყალობს მას მიუხედავად მისი ღალატისა და მძიმე ცოდვებისა. ღმერთი არაერთგზის იმეორებს თავისი წყალობის აღთქმას ამ ერისადმი, და მას აქვს უფლება მიმართოს მას განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ღმერთთან ერთობა ცოდვის შედეგად დარღვეულია. რიცხ. 6, 25-26. - მღვდელთმთავრის კურთხევის (რომელიც საკუთრივ არის არა სურვილი, არამედ აღთქმის გამეორება) ფორმულაში. ამიტომ ასე ხშირად შეასხამენ ქება-ღიღებას ღმრთის წყალობას. ფს. 88, 2; 102, 14.

ახალ აღთქმაში

ღმრთის მოწყალეობა ყველაზე უფრო ამაღლებული სახით გამოვლინდა მისი ძის გადმოვლინებით, აქედან გამომდინარე — იგი ჩვენთვის, ადამიანებისთვის, კვლინდება პიროვნებაში. იოან. 1, 14-17. ტიტ. 2, 11. რომ. 5, 15; 2 კორ. 8, 9.

ამ მოწყალეობის განსაკუთრებულ, შეუდარებელ გამოვლინებას წარმოადგენს ღმრთის ძის თავის შეწირვა ღმერთთან ჩვენი შერიგებისათვის — მისი ღვაწლი ჯვარსა ზედა გოლგოთაზე ღმრთის მიერ განსაზღვრულია სამყაროს შექმნაზე ადრე. რომ. 3, 24. ეფეს. 1, 7; 2, 5-9. ტიტ. 3, 7.

ღმრთის ეს მოწყალეობა კაცობრიობის ისტორიის ამჟამინდელ პერიოდში გამოიხატება ღმერთთან შერიგებული იესოს ეკლესიისა და მისი ცალკეული წევრებისათვის მიმადლებული ნიჭით (ძღვენი, საბოძკარი) — და ეს ნიჭი იმდენად მდიდარია, რომ ის გადაწონის ყოველგვარ ტანჯვას. ეფეს. 4, 7; 1 პეტ. 4, 10. იოან. 1, 16; 1 კორ. 15, 10. ებრ. 13, 9; 2 კორ. 12, 9.

ღმერთი ასაჩუქრებს საღმრთო ნიჭით თავის ცალკეულ შეილებს თავისი ნებასურვილისამებრ. მისი მიმღებნი გულმოდგინედ უნდა ზრუნავენ, რომ იყვნენ ამ მადლში და გაიზარდონ მასში, განაგონ ეს მინიჭებული მადლი, როგორც ერთგულმა სახლის მმართველებმა, და უფროხილდნენ ამ მადლისგან განშორებას. გალ. 1, 15; 5, 4. მათ. 13, 12; 2 პეტ. 3, 18. ებრ. 12, 15. გამოცხ. 2, 5.

მოწყალეობა ღმრთისა

იგი არის სიყვარული, რომელიც ისწრაფის ჩვენს დასახმარებლად, გადმოღის გულიდან და აღსავსეა თანაგრძნობით.

იგი კუთვნილებაა ღმრთის არსისა. 2 სჯ. 4, 31. გამ. 34, 6 (თვით ღმერთი აცხადებს თავის სახელს). რიცხ. 14, 18. ფს. 85, 15; 102, 8 და სხვა. ეს. 49, 15; 2 კორ. 1, 3.

იგი დამყარებულია ღმრთის მიმართ ადამიანის ერთგულებაზე და ადამიანის მიმართ ღმრთის თანაგრძნობაზე. იერ. 31, 20. მსაჯ. 2, 18. იონა. 4, 11. ეფ. 2, 4. რომ. 9, 16; ტიტ. 3, 5. ლუკ. 15, 20.

იგი უცვლელია, მარადიულია. ეს. 54, 10; 2 ნემტ. 5, 13. ოს. 2, 21-23.

იგი გამოვლენილია ქრისტეში. ლუკ. 1, 78. მათ. 9, 36; 15, 32.

რას აკეთებს ღმერთი თავისი მ-ით?

იგი ეხმარება უბედურებაში მყოფთ. ეს. 49, 13. ამბ. 3, 2.

განსიღობა 5000 მშვიერისა. მათ. 14, 19-21. ქანანელი დედაკაცი. მათ. 15, 22-28.

აღარ სჯის მომნანიებელს. იოველ. 2, 13. იონა. 4, 2. მცქ. 7, 18.

გვეხმარება ახალი ცხოვრების დაწყებაში. 1 პეტ. 1, 3. ტიტ. 3, 5.

ვისზე გადმოღის ღმრთის მოწყალეობა?

მომნანიებლებზე. ეს. 55, 7. დან. 9, 18. ფს. 102, 13. ლუკ. 1, 50.

მორწმუნეებზე. ფს. 22, 1-6; მათ. 9, 2. 22. მარკ. 10, 52. ლუკ. 7, 50.

რა უნდა გამოიწვიოს მან?

მადლობა და სიხარული. დაბ. 24, 27; ლუკ. 1, 68.

სინანული. იერ. 3, 13-14; იოველ. 2, 13; რომ. 2, 4.

გულისხმიერი მოპყრობა თხოვნი-სადმი. ფს. 24, 7; 115, 4.

მიბაძვა. ლუკ. 6, 36; მათ. 18, 33.

მოწყალეა ადამიანური

არის ბუნებრივი სურვილი ადა-მიანისა.

იგი ევლინდება:

თანაგრძნობაში. იობ. 30, 25; იერ. 38, 8-10.

მადლობაში. დაბ. 21, 23.

მატერიალურ დახმარებაში. მათ. 25, 35; რომ. 12, 20; ლუკ. 10, 30-37; საქმე. 9, 36 (ტაბითა). რომ. 12, 3.

ჩაგრულთადმი დახმარებაში. ეს. 1, 17; იობ. 29, 13; იაკ. 1, 27.

სულიერ დახმარებაში. 2 კორ. 1, 4; 1 თეს. 4, 18; გალ. 6, 1; იაკ. 5, 19.

ღმერთი მ-ის გამოჩენას მოითხოვს ჩვენგან ცხოველებთან დამოკიდებულებაშიც კი. იგავ. 12, 10; გამ. 23, 5. 12; 2 სჯ. 22, 4. 6; 25, 4.

როგორ უნდა გამოვიჩინოთ მ.?

გულითადად, სიხარულით. 2 კორ. 9, 7.

ფარულად. მათ. 6, 1-4.

მის გამო კურთხეული ეხდებით: ამჟამად. იგავ. 19, 17.

მარადიულად. მათ. 5, 7; 25, 34-40; იაკ. 2, 13.

*

მ. ღ. არის ერთ-ერთი მისი სრულ-ყოფათაგანი. გამ. 22, 27; 34, 6-7; რიცხ.

14, 18; 2 სჯ. 4, 31; ნემ. 9, 17-30; ფს. 61, 12; 85, 15; 88, 14; 102, 8; 110, 4; 144, 8; იერ. 3, 12; 9, 24; იოველ. 2, 13; იონ. 4, 2; მიქ. 7, 18; ლუკ. 6, 36; იაკ. 5, 11.

ღმერთს ეწოდება მამა მოწყალე-ბათა. 2 კორ. 1, 3.

ღმერთი

მრავლის მომთმენია თავისი მოწყალეებით. ეს. 30, 18; 2 პეტ. 3, 9.

უყვარს მოწყალეების საქმეების ქმნა. იერ. 9, 24; მიქ. 7, 18.

უყვარს მოწყალეების საქმეების ქმნა თვითბოროტებზედაც კი. ეზეკ. 18, 23; 33, 11; დან. 9, 9; 2 პეტ. 3, 9.

ღმერთის მოწყალეობას ეწოდება

დიდი. რიცხ. 14, 19; ნემ. 9, 27-31; ფს. 116, 2; ეს. 54, 7.

საუკუნო. 1 ნემტ. 16, 41; ეს. 54, 8; ლუკ. 1, 50.

განგრძობილი უკუნითი უკუნისამდე. 1 ნემტ. 16, 34; 2 ნემტ. 5, 13; 20, 21; ეზრა. 3, 11; ფს. 102, 17; 117, 1-29; 135, 1; 137, 8.

განგრძობილი ათას შთამომავლობაზე. გამ. 20, 6; 34, 7; 2 სჯ. 5, 10; იერ. 32, 18.

უცვალებელი. ეს. 54, 10; 55, 3; მიქ. 7, 20.

ამაღლებული, როგორც ცანი. ფს. 35, 5; 56, 10; 102, 11; 107, 4.

ალმაესებელი ქვეყნისა. ფს. 32, 5.

ახალი ყოველ დილით. გოდ. 3, 23. შეუდარებელი. მიქ. 7, 18.

ალსაესე თანაგრძნობით. ფს. 24, 5-6; ეს. 63, 15; გოდ. 3, 22-32; ოს. 11, 8.

აღსავსე სინაზით. ფს. 102, 13; ეს. 49, 15; 66, 13; იერ. 31, 20.

ღმრთის მოწყალეა ცხადად ჩანს

ძის მოვლინებით. ლუკ. 1, 78-80.
 ადამიანის ხსნით. ლუკ. 1, 77-78; ეფეს. 2, 4-6; ტიტ. 3, 4-5; 1 პეტ. 1, 3-5.
 ცოდვათა პატივებით. რიცხ. 14, 19; ფს. 50, 1; 102, 8-12; იგავ. 16, 5-6; 28, 13; ეს. 55, 7; ლუკ. 1, 77-78; ეფეს. 1, 7.
 მისი სულგრძელებით. ნემ. 9, 15; ეს. 30, 18.

სასჯელთა შემსუბუქებით. ფს. 77, 38; ეს. 54, 8; 60, 10; გოდ. 3, 22; ეზეკ. 20, 17; იოველ. 2, 12-14.

ბოროტთა შებრალებით მართალ-
 თათვის. დაბ. 18, 23-32; 3 მეფ. 11, 11-13; იერ. 5, 1.

თავისი ხალხის გამოხსნით. გამ. 15, 13; ფს. 135, 10-24; ნემ. 9, 18-27.

*

ღმერთი დიდებულია თავისი მოწყალეებით. ეს. 30, 18; რომ. 15, 9.

მოწყალეა ღმრთისა ვრცელდება

ისრაელზე. 2 სჯ. 4, 31; ფს. 97, 3; ეს. 63, 7; იერ. 31, 3; 1, 72.

წარმართებზე. ოს. 2, 23; რომ. 11, 32; 15, 9; 1 პეტ. 2, 10.

იმათზე, ვისაც ეშინია მისი. ფს. 102, 11-17; ლუკ. 1, 50.

იმათზე, ვისაც უყვარს იგი და ემორჩილებიან მას. გამ. 20, 6; 2 სჯ. 5, 10; 7, 9-12; ნემ; 1, 5; ფს. 102, 17-18; დან. 9, 4.

იმათზე, ვისაც მისი იმედი აქვთ. ფს. 31, 10; 32, 18.

იმათზე, ვინც მოუწოდებს მას. ფს. 85, 5.

მოწყალეებზე. 2 მეფ. 22, 26; ფს. 17, 25; მათ. 5, 7.

იმათზე, ვინც ტოკებს და ინანიებს ბოროტებას. იგავ. 28, 13; ეს. 55, 7; ეზეკ. 18, 21-23; 33, 14-16; ოს. 10, 12.

დაჩაგრულებზე. გამ. 22, 27.

იმათზე, ვისზედაც მას უნდა. გამ. 33, 19; რომ. 9, 15-18.

*

ცოდვილები უნდა ევედრობდნენ ღმრთის მოწყალეობას. გამ. 34, 9; 2 მეფ. 24, 10; ფს. 24, 7; 50, 1; დან. 9, 9; ოს. 14, 2; ლუკ. 18, 13.

ღმრთის მოწყალეა უნდა იყოს ჩვენი იმედის საფუძველი. ფს. 32, 18; 129, 7; ებრ. 4, 16.

მორწმუნენი

ევედრებიან ღმრთის მოწყალეობას. ნემ. 13, 21; ფს. 6, 3-4; 24, 7; 32, 22; 50, 1; 84, 7; 118, 41.

ევრდნობიან თავიანთ ლოცვაში ღმრთის მოწყალეობას. ფს. 6, 4; 24, 6-7; 30, 16; 43, 26; 50, 1; 68, 13; 108, 21-26; 118, 124.

იმედი აქვთ ღმრთის მოწყალეობისა. ფს. 12, 5; 51, 9.

გამოითხოვენ სხვებისთვის ღმრთის მოწყალეობას. რიცხ. 14, 19; დან. 2, 18; გალ. 6, 16; 1 ტიმ. 1, 2; 2 ტიმ. 1, 18; ტიტ. 1, 4; 2 იოან. 1, 3; იუდ. 1, 2.

ადიდებენ და აქებენ ღმრთის მოწყალეობას. 1 ნემშტ. 16, 34; 2 ნემშტ. 5, 13; 20, 21; ეზრა. 3, 11; ფს. 65, 19; 100, 1; 105, 1; 106, 1; 116, 2; 117, 1-4. 29; 135, 1; ეს. 63, 7; იერ. 33, 11; რომ. 15, 9.

ღმრთის მოწყალეა უნდა იყოს ჩვენთვის მაგალითი. ლუკ. 6, 36.

მ. ღ. არ ერცელდება ბოროტ ცოდვილებზე. ეს. 9, 17; 27, 11; იერ. 13, 4; 16, 5; ოს. 1, 6.

მ. ღ. არ ერცელდება იმაზე, ვისაც თვითონ არა აქვთ მოწალეობა. მათ. 6, 15; მარკ. 11, 26; იაკ. 2, 13.

მაგალითები ღმრთის მოწყალეებისა: ლოთი. დაბ. 19, 18-19. აბრაამი. დაბ. 24, 27. იოსები. დაბ. 39, 21. ისრაელნი. გამ. 15, 13; ნემ. 9, 28. იობი. იობ. 10, 12; იაკ. 5, 11. დავითი. 3 მეფ. 3, 6; 2 ნემტ. 1, 8; ფს. 17, 50. სოლომონი. 2 მეფ. 7, 14-15; 3 კელე. 1 ტიმ. 1, 13-16.

მრუშება

მ. აკრძალულია. გამ. 20, 14; ლევიტ. 18, 20; იგავ. 6, 29; მათ. 5, 27; 19, 18; ლუკ. 18, 20; რომ. 13, 9; იაკ. 2, 11.

თვალთ გულისტქმა არის მ. მათ. 5, 28; 2 პეტ. 2, 14.

ქორწინებითი კავშირი გაყრილ მეუღლეებთან არის მ. მათ. 5, 32; 19, 9; მარკ. 10, 11-12; ლუკ. 16, 18; რომ. 7, 3.

მ. გამოღის გულისგან. იგავ. 6, 25; მათ. 15, 19; მარკ. 7, 21.

მოსეს კანონით მ. სიკვდილით ისჯებოდა. ლევიტ. 20, 10-14; 2 სჯ. 22, 22-25; იოან. 8, 4-5.

ბოროტნი მრუშობენ. იობ. 24, 15; ფს. 49, 18; იგავ. 30, 20; იერ. 5, 7; 9, 2; 23, 10-14; ეზეკ. 22, 11; ოს. 4, 2; 7, 4; იაკ. 4, 4; 2 პეტ. 2, 14.

ღვთაებრივი სიბრძნე და მცნებანი განარინებენ მრუშობისაგან. იგავ. 2, 16; 6, 23-26; ეკლ. 7, 26.

ის, ვინც მრუშობს, ღუპავს თავის სულს. იგავ. 6, 32.

ღმერთი განსჯის მრუშობას. მალ. 3, 5; ებრ. 13, 4.

მრუშნი ვერ დაიმკვიდრებენ ღმრთის სასუფეველს. 1 კორ. 6, 9; გალ. 5, 19-21; ეფეს. 5, 5; გამოცხ. 21, 8.

სასჯელი მრუშობისთვის. იგავ. 6, 33; იერ. 5, 8-9; 13, 27; 23, 10; 29, 23; ეზეკ. 18, 11-13; ოს. 4, 2-3; ამოს. 2, 5-7.

კერპთმსახურება შედარებულია მრუშობასთან. იერ. 3, 8-9; ეზეკ. 23, 5-35; ოს. 2, 2; 3, 1; 4, 12; გამოცხ. 2, 20-22.

მაგალითები მრუშობისა: დავითი. 2 მეფ. 11, 2-4; მამაკაცნი იერუსალიმისა. იერ. 5, 8; წინასწარმეტყველნი იერუსალიმისა. იერ. 23, 14; აქაბი და სედეკია. იერ. 29, 21-23; ჰეროდე და ჰეროდიადა. მათ. 14, 3; მარკ. 6, 17-19; იუდეველი დედაკაცი. იოან. 8, 3-4; კორინთელნი. 1 კორ. 5, 1.

მსახურება, სამსახური

მსახურება ნიშნავს სხვის მოხმარებას თავისი ძალითა და უნარით.

მსახურების ნიმუშს წარმოადგენს იესოს მთელი მიწიერი ცხოვრება. მათ. 20, 28; ლუკ. 22, 27; იოან. 13 (მოწაფთა ფერხთა ბანა).

ქრისტიანები, უფლის მაგალითით-სამებრ, ნებაყოფლობით უნდა სთაყაზობდნენ დახმარებას მოყვასთ, ახლობელთ. ლუკ. 22, 25; იოან. 13, 14; 15, 12; 1 პეტ. 4, 10; გალ. 5, 13.

სახელწოდება „დაკონი“ მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „დაკონ“-მსახური. დაკენები იერუსალიმის პირველი ეკლესიის წევრებზე

ზრუნავდნენ. (საქმე. 6); ისინი გვიანდელ ეკლესიებშიც იხსენიებიან უხუცესთა (ეპისკოპოსთა) გვერდით (ფილიპ. 1, 1; 1 ტიმ. 3, 8). პირველი დელათ-ღიაკონი იყო ფიბე, კენჭრელთა ეკლესიის მსახური (რომ. 16, 1). მოციქულთა და უხუცესთა (ეპისკოპოსთა) მოღვაწეობა ბერძნულ ტექსტში ხშირად აღინიშნება სიტყვით „ღიაკონეინ“, ე. ი. „მსახურება“. 2 კორ. 5, 18; 4, 1; 6, 3. რომ. 12, 7; 2 ტიმ. 4, 5; 1 ტიმ. 1, 12. კოლ. 4, 17.

ყოვლისშემძლე შემოქმედს ემსახურებიან ზეცის მხედრობის გუნდნი. ფს. 102, 20; დან. 7, 10; გამოცხ. 5, 11.

ჩვენც უნდა ვემსახუროთ მას ქებითა და მადლობით, შევასრულოთ მისი ნება სიხარულითა და მთელი გულით. მათ. 6, 10; ისუ ნავ. 22, 5; ფს. 99, 2. 4.

ღმერთს ახარებს, როდესაც ადამიანი თავმდაბლად, მორჩილად, სრული ნდობით ცდილობს შეასრულოს მისი ნება. საქმე. 17, 25; ფს. 49, 12-14; 50, 18; რომ. 12, 1; 1 პეტ. 2, 5.

ჩვენ უნდა ვემსახუროთ მხოლოდ ღმერთს და არა კერპებს. 2 სჯ. 6, 13; მათ. 4, 10; 6, 24.

ღმრთისმსახურება არ უნდა შესრულდეს ვინმეს შეხედულებისამებრ, არამედ შთაგონებული უნდა იყოს ღმრთის სულით. მათ. 15, 9; იაკ. 1, 26; მიქ. 6, 8; რომ. 7, 6; 14, 17.

მსახურება ღმრთისა

მ. ღ. ნამცნებია. 2 სჯ. 6, 13; 10, 12-20; 13, 4; 1 მეფ. 7, 3; 12, 23; მათ. 4, 10; ლუკ. 4, 8.

ქრისტემ გვიჩვენა თვისი მაგალითით, როგორ უნდა მსახურება ღმრთისა. იოან. 4, 34; 6, 38; 17, 4.

ჩვენ უნდა ვემსახუროთ ღმერთს

ჩვენი ხორციტა და ჩვენი სულით.

1 კორ. 6, 20.

მთელი გულითა და მთელი სულით.

2 სჯ. 10, 12; 11, 13; ისუ ნავ. 22, 5; 1 მეფ. 12, 20-23; 1 ნემტ. 28, 9; საქმე. 11, 23.

მხოლოდ მას. 1 მეფ. 7, 3; მათ. 4, 10; ლუკ. 4, 8.

„ვერ ხელეწიფების ღმრთისა მონებად და მამონაისა“. მათ. 6, 24; ლუკ. 16, 13; 3 მეფ. 18, 21.

გულითა და კეთილის ნებით. 1 ნემტ. 28, 9.

ჭეშმარიტებით. ისუ ნავ. 24, 14; 1 მეფ. 12, 23.

ჩვენი სულით. რომ. 1, 9; ფილიპ. 3, 3.

განახლებული სულით. რომ. 7, 6. ღირსებით და სიმართლით. ლუკ. 1, 75.

წმიდა სინდისით. 2 ტიმ. 1, 3.

კეთილი საქმეებით. კოლას. 1, 10; 1 ტიმ. 2, 10.

ღმრთის ნებაზე ცხოვრებით. 1 პეტ. 4, 2.

ერთგულებით. 1 კორ. 4, 1-2; ებრ. 3, 5.

გულმოდგინებით. რომ. 12, 11.

ყოველივე ვაკეთოთ ღმრთის სასიამოვნოდ. კოლას. 1, 10.

კრძალულებით. 2 სჯ. 6, 13; ისუ ნავ. 24, 14; 1 მეფ. 12, 24; ფს. 2, 11; ებრ. 12, 28.

თავმდაბლად. მიქ. 6, 8; საქმე. 20, 19.

სიხარულით. ფს. 99, 2.

ჩვენი ხორციტით. რომ. 6, 13; 12, 1; 1 კორ. 6, 20.

ჩვენი სიკეთით. გამ. 22, 29; 34, 26; 35, 5, 29; ლევიტ. 19, 24; 2 ნემშ. 29, 31; იგავ. 3, 9.

მეტი წარმატებით. 1 თეს. 4, 1.

შაბათისა და აღმოქმის დაცვით. ეს. 56, 6.

„ეითარცა მონანი ქრისტესნი, ჰყოფდით ნებასა ღმრთისასა გულითადა“. ეფეს. 6, 6.

ღმრთის ღირსი ყოფაქცევით. კოლას. 1, 10; 1 თეს. 2, 12; 2 ტიმ. 2, 24.

ყოველივე ღმრთის სადიდებლად ეკეთით. 1 კორ. 10, 31.

მუდამ. ლუკ. 1, 75.

სიცოცხლითა და სიკვდილით. რომ. 14, 8; ფილიპ. 1, 20; 2, 30.

მორწმუნენი

მოქცეულნი არიან ღმრთის სამსახურად. 1 თეს. 1, 9.

აქეთ განწმენდილი სინდისი ქრისტეს სისხლით, რომ ემსახურონ ღმერთს. ებრ. 9, 14.

ემსახურებიან ღმერთს. საქმე. 27, 23; რომ. 14, 7-8.

ემსახურებიან ღმერთს სულით. რომ. 1, 9; ფილიპ. 3, 3.

ემსახურებიან ღმერთს წმინდა სინდისით. 2 ტიმ. 1, 3.

ემსახურებიან ღმერთს მთელი სიმდაბლით. საქმე. 20, 19.

უარს ამბობენ სხვა ღმერთების მსახურებაზე. დან. 3, 18-28.

მორწმუნენი წოდებულნი არიან

მონებად ანუ ღმრთის მონებად. 1 ნემშ. 6, 49; ეზრა. 5, 11; ნემ. 10, 29; ფს. 118, 125; ეს. 65, 9; იოკელ. 2, 29; საქმე. 2, 18; ტიტ. 1, 1; იაკ. 1, 1; 1 პეტ. 1, 16; გამოცხ. 2, 3.

ეწოდებათ მონები მარადის მყოფი ღმრთისა. რიცხ. 12, 7-8; 2 სჯ. 9, 27; ფს. 104, 6; 115, 16; 133, 1; 142, 12; ეს. 43, 10; 54, 17; 65, 13.

ეწოდებათ მსახურნი, მონანი მაღალი ღმრთისა. საქმე. 16, 17.

ეწოდებათ მსახურნი, იესო ქრისტეს მონანი. რომ. 1, 1; 1 კორ. 7, 22; გალ. 1, 10; ეფეს. 6, 6; კოლას. 4, 12; ფილიპ. 1, 1; იაკ. 1, 1; 2 პეტ. 1, 1; იუდ. 1, 1.

ღმერთი აღგვითქვამს

თავისი სულის მიფენას თავის მონებსა და მხეველებზე. იოკელ. 2, 29; საქმე. 2, 18.

მათთვის ახალი გულის მიცემას. ეზეკ. 11, 19-20; იერ. 32, 39-40.

მორწმუნეების პირთა განწმენდას, რომ ისინი მოეწოდებნენ ღმერთსა და ემსახურებოდნენ მას ერთი სულით. სოფ. 3, 9.

აღსურანი მსახურებისათვის ღმრთისა

ჩვენი გამოსყიდვა. 1 კორ. 6, 19-20.

ქრისტე მაცხოვარი მოკვდა, რათა აღამიანებმა იცხოვრონ არა თავისთვის, არამედ იმისთვის, ვინც მათთვის მოკვდა. 2 კორ. 5, 15.

მოწყალება ღმრთისა. რომ. 12, 1.

მისი ძალაუფლება და მისი სიკეთე, გამოცხადებული თავისი ერისათვის. ისუ ნავ. 24, 16-18; 1 მეფ. 12, 23.

ამოირჩიეთ, ვის გინდათ ემსახუროთ. ისუ ნავ. 24, 15; 3 მეფ. 18, 21.

შეგონება ღმრთისმსახურებისათვის. ისუ ნავ. 22, 5; 24, 14; 1 მეფ. 12, 23. რომ. 6, 13; 12, 1-11; 1 კორ. 6, 20.

ღმერთი

ამართლებს თავის მსახურებს. ეს. 54, 17.

შეიწყალებს თავის მმონებელს. ეს. 65, 8.

ისმენს თავის მსახურთა ხმას. იოან. 9, 31.

იხსნის თავის მსახურებს. იერ. 30, 10; 46, 27; დან. 3, 28.

ინახავს აღთქმას და წყალობას თავის მსახურთა მიმართ. 3 მეფ. 8, 23; 2 ნეშტ. 6, 14.

მიაგებს სამაგიეროს თავის მსახურთა სისხლისათვის. 2 სჯ. 32, 43; 4 მეფ. 9, 7; ფს. 78, 10; გამოცხ. 19, 2.

იხ, ვინც ქრისტეს ემსახურება

ყოველთვის იქნება ქრისტესთან და ღმერთი მას პატივს სცემს. იოან. 12, 26.

მიიღებს უფლისგან სამკვიდრებელს. კოლას. 3, 24; ებრ. 10, 36.

ნეტარია ფხიზელი და ერთგული მონა. მათ. 24, 46; ლუკ. 12, 7-43.

ბედნიერება და საუკუნო დიდება მომზადებული ღმრთისმსახურთათვის. ეს. 65, 13-14; გამოცხ. 22, 3-5.

ბოროტნი

ემსახურებიან ღმერთს მხოლოდ სიტყვით. ეს. 29, 13; მათ. 15, 8; მარკ. 7, 6.

უარს ამბობენ ღმრთის წმინდა მსახურებაზე. გამ. 5, 2; იობ. 21, 15; მალ. 3, 14.

ჭეშმარიტი ღმერთის ნაცვლად ემსახურებიან ცრუ ღმერთებს. მსაჯ. 2, 17; 3, 7; 10, 6; იერ. 16, 11; 22, 9; რომ. 1, 25.

ღმრთის ნაცვლად ემსახურებიან ქმნილებას. რომ. 1, 25.

ემსახურებიან სიბილწეს, უსამართლობასა და ვნებებს. რომ. 6, 16; 16, 18; ეფეს. 2, 3; ფილიპ. 3, 19; კოლას. 3, 5-7; 1 პეტ. 1, 14; 4, 3-4; 2 პეტ. 2, 19.

*

სასჯელი ღმრთისმსახურებაზე უარის თქმისთვის. 2 სჯ. 28, 47-48; ეს. 65, 11-15.

მსახური დაუმორჩილებელი, რომელმაც იცოდა თავისი უფლის ნება და არ ასრულებდა, დაიტანჯება ფრიად. ლუკ. 12, 47.

ნაწინასწარმეტყველებია ის დრო, როდესაც სახლი ისრაელისა მოემსახურება ღმერთს. იერ. 30, 9; ეზეკ. 20, 40.

„ყოველნი ერნი, ტომნი, ენანი მას მსახურებდეს“. დან. 7, 14.

ზეცის მხედრობა ნეტარებს ღმრთის მსახურებით. ფს. 102, 20-21; გამოცხ. 7, 15; 22, 3.

ღმრთისმსახურება წარმოდგენილია იგავებში: 1) ორი შეილი. მათ. 21, 28-31. 2) ერთგული და კეთილგონიერი მონა. მათ. 24, 45-51; ლუკ. 12, 42-48. 3) მონები, რომლებიც მოელოდნენ თვისი უფლის დაბრუნებას. ლუკ. 12, 36-38. 4) მონა, რომელიც ბრუნდებოდა მინდვრიდან. ლუკ. 7, 7-10.

ღმრთისმსახურების მაგალითები: მოსე. რიცხ. 12, 7-8; ისუ ნავ. 1, 1; ეზრ. 3, 5. აბრაამი, ისაკი და იაკობი. 2 სჯ. 9, 27. ისუ, ძე ნავესი. ისუ ნავ. 24, 15. ისრაელნი. ისუ ნავ. 24, 16-18; 24, 31; მსაჯ. 2, 7; 1 მეფ. 7, 4; საქმე. 26, 7. ელია. 3 მეფ. 18, 21-22.

ნემია. ნემ. 13, 14. იობი. იობ. 1, 8; 2, 3. მანასე. 2 ნემტ. 33, 16. ოსია და პურიანი. 2 ნემტ. 34, 33. დავითი. ფს. 85, 16; 115, 16; 118, 125. დანიელი. დან. 6, 16. პეტრე, ანდრია, იაკობი და იოანე. მათ. 4, 21. ქრისტეს მოწაფენი. მათ. 19, 27. ანნა წინასწარმეტყველი. ლუკ. 2, 36-37. პავლე. საქმე. 20, 19; 24, 14; 27, 23; რომ. 1, 9; ტიტ. 1, 1. ტიმოთე. ფილიპ. 2, 19-22. ეპაფროდიტე. ფილიპ. 25-30. იაკობი. იაკ. 1, 1.

მსახურება ღმრთისა და თაყვანისცემა

უნდა სრულდებოდეს მხოლოდ ღმრთის მიმართ. გამ. 20, 3; 34, 14; 2 სჯ. 6, 13; 10, 20; 1 მეფ. 7, 3; 4 მეფ. 17, 36; ეს. 42, 8; მათ. 4, 10; ლუკ. 4, 8; გამოცხ. 4, 11.

უნდა სრულდებოდეს ქრისტეს მიმართ. მათ. 2, 2; 8, 2; 14, 33; ლუკ. 24, 52; საქმე. 7, 59; ებრ. 1, 6.

უნდა სრულდებოდეს ღმრთის მიმართ ქრისტეს სახელით. ეფეს. 2, 18; 3, 12; 1 ტიმ. 2, 5; ებრ. 4, 14-16; 7, 25; 10, 19-22; 13, 15; 1 პეტ. 2, 5.

ღმერთი ეძებს მის მიმართ მსახურებას

სულიერს. იოან. 4, 23-24; ფილიპ. 3, 3; 1 პეტ. 2, 5.

ჭეშმარიტებით. ისუ ნაე. 24, 14; 1 მეფ. 12, 23; იოან. 4, 24; 1 კორ. 5, 8.

რიდით. დაბ. 28, 16-17; გამ. 3, 5; ისუ ნაე. 5, 15; ნემ. 8, 6; ფს. 5, 7; ეკლ. 5, 1-2; ებრ. 12, 28.

წმიდას. ლევიტ. 10, 3; მალ. 1, 12; 1 ტიმ. 2, 8.

ნებაყოფლობითა და სრულს. ლევიტ. 19, 5; 22, 21-29; 2 სჯ. 15, 21; 17, 1; 1 ნემტ. 28, 9.

ჭეშმარიტი და წრფელი გულით. ისუ ნაე. 24, 14; 1 ნემტ. 28, 9; ივანე. 15, 29; საქმე. 2, 46; ებრ. 10, 22.

რომელიც სრულდება წესრიგით. 1 კორ. 11, 17-22; 14, 26-40.

ღმრთისგან განწესებულს. დაბ. 4, 3-5; გამ. 20, 24; ლევიტ. 10, 1-2; 1 მეფ. 13, 8-13; 15, 21-22; 2 ნემტ. 26, 16-18; იოან. 4, 23.

მსახურება ღმრთისადმი და საზოგადოებრივი თაყვანისცემა ვლინდება

ლოცვებში. 3 მეფ. 8, 22-54; 1 ნემტ. 16, 35; 29, 10-19; ნემ. 9, 3-5; ფს. 94, 6; ლუკ. 1, 10; საქმე. 3, 1; ფილიპ. 4, 6; კოლას. 4, 2; 1 ტიმ. 2, 1.

მადლიერების გამოხატვაში მღვდელმსახურების დროს. ფილიპ. 4, 6; კოლას. 4, 2; 1 ტიმ. 2, 1.

საღმრთო წერილის კითხვასა და განმარტებაში. გამ. 24, 3-7; 2 სჯ. 31, 11-13; ისუ ნაე. 8, 30-35; 4 მეფ. 23, 2; 2 ნემტ. 34, 30; ნემ. 8, 8; 9, 3; იერ. 36, 6; ლუკ. 4, 16-17; საქმე. 13, 15-27; 15, 21.

საგალობლებში. 1 ნემტ. 16, 4-7; 2 ნემტ. 7, 6; 29, 25-28; ფს. 34, 18; 99, 4; 106, 32; 146, 7; მათ. 26, 30; ეფეს. 5, 19; კოლას. 3, 16.

გარეგნულ ღმრთისმსახურებაზე და მსხვერპლის შეწირვაზე ღმრთისთვის უფრო სახიამოვნოა

ცნობა ღმრთისა. ოს. 6, 6.

სიყვარული ღმრთისა და მოყვასის მიმართ. მარკ. 12, 33.

მორჩილება ღმრთის ხმისადმი. 1 მეფ. 15, 22.

სიმართლე და სამართლიანობა.

იგავ. 21, 3; მიქ. 6, 6-8.

მოწყალების საქმეები. ოს. 6, 6; მათ. 9, 13; 12, 7.

გული შემუსკრილი და მდაბალი. ფს. 50, 17.

„სახლსა ჩემსა სახლ სალოცველ ეწოდოს“. ეს. 56, 7; მათ. 21, 13; მარკ. 11, 17; ლუკ. 19, 46.

შეგონებანი ღმრთის მიმართ მსახურებისთვის. 1 მეფ. 12, 23-24; 1 ნეშტ. 16, 29; ფს. 28, 2; 94, 1-6; 95, 7-9; 99, 4; გამოცხ. 14, 7.

მსახურება ღმრთისა და მორწმუნეთა თაყვანისცემა სასიამოვნოა ღმრთისთვის. იგავ. 15, 8; ეს. 56, 7; იოან. 4, 23; 1 პეტ. 2, 5.

მხოლოდ გარეგნული მ.ღ.თ. თვაღთშაქცობაა. მათ. 15, 7-9; მარკ. 7, 6-7.

მ.ღ.თ. პირმოთნებისა ამაოა. ფს. 49, 16-17; ეს. 1, 11-13; მათ. 15, 8-9; მარკ. 7, 6-7.

მ.ღ.თ. პირმოთნეთა არის მიუღებელი. ეს. 66, 3-4; იერ. 6, 20; ამოს. 5, 21-23; მალ. 1, 10.

მ.ღ.თ. უსჯულოთა არის სისამაგლე. ფს. 49, 16; იგავ. 15, 8; 21, 27; 28, 9; ეს. 1, 11-15; იერ. 6, 20; 14, 12.

მ.ღ.თ. აღსრულებული ქმნილების (არა ღმერთის) მიმართ ამაოა და ცოდვაა. საქმე. 10, 25-26; 14, 13-15; რომ. 1, 25; კოლას. 2, 18; გამოცხ. 19, 10; 22, 8-9.

მ.ღ.თ. არ უნდა იყოს აღრეული კერპთაყვანისმცლობასთან. 2 სჯ. 12, 30-31; 4 მეფ. 17, 3-41; იერ. 19, 13; სოფ. 1, 5.

მ.ღ.თ. იქნება უკანასკნელ ეამს ყველგან. ფს. 21, 27; 65, 3; 66, 2; 67, 32; 71, 11; 85, 9; 137, 4; ეს. 66, 23; სოფ. 2, 11; რომ. 14, 11; გამოცხ. 15, 4.

მ.ღ.თ. სრულდება ზეცის ძალების მიერ. ნემ. 9, 6; გამოცხ. 4, 10; 5, 12-14; 7, 11; 11, 16; 15, 2-4.

ღმრთისმსახურებისა და თაყვანისცემის მაგალითები: აბელი. დაბ. 4, 4; ეზრ. 11, 4. აბრაამი. დაბ. 12, 7; 22, 5. იაკობი. დაბ. 46, 2; ებრ. 11, 21. ისრაელები. გამ. 4, 31; 1 ნეშტ. 29, 20; 2 ნემ. 7, 3; ნემ. 9, 2. მოსე. გამ. 24, 4-8; 34, 8. ისუ, ძე ნავესი. ისუ ნავ. 8, 30-35. ელკანა და ანა. 1 მეფ. 1, 4-19. სამოელი. 1 მეფ. 16, 4. დავითი. 2 მეფ. 6, 17-18; 12, 20; 1 ნემ. 16, 1-2; 29, 20; ფს. 27, 6. სოლომონი. 3 მეფ. 8, 54-64; 2 ნეშტ. 7, 1. იოსაფატი და მკვიდრნი იერუსალიმისა. 2 ნეშტ. 20, 18. ეზეკია. 2 ნეშტ. 29, 20-31. ეზრა. ნემ. 8, 1-8. იობი. იობ. 1, 5. დანიელი. დან. 6, 10. მოგენი. მათ. 2, 1-11. კეთროვანი. მათ. 8, 2; ლუკ. 5, 12. ქრისტეს მოწაფენი. მათ. 26, 30; 28, 17; მარკ. 14, 26; ლუკ. 24, 52. ქანანელი დედაკაცი. მათ. 15, 22-25. მარიამ მაგდალენელი და სხვ. მათ. 28, 1-9. ჰურიანი. ლუკ. 1, 5-10. მოციქულები. ლუკ. 24, 53. თვალახელი ბრმა. იოან. 9, 14-38. ელინელნი - წარმართნი. იოან. 12, 20. კაცი ინდო, საჭურისი ძლიერი. საქმე. 8, 27. ლუდია. საქმე. 16, 14. პავლე. საქმე. 24, 10-11.

მსახური, მონა

მსახურთა უძველესი მოხსენიება. დაბ. 9, 25-26.

მსახური მამაკაცი. დაბ. 24, 34; 32, 5.

მ. ქალი-მხევალი. დაბ. 16, 6; 32, 5.

მ. ბორკილებში. დაბ. 43, 18. ლევ. 25, 46.

ადამიანები სხვათა მომსახურებისათვის მოწოდებულნი. გამ. 24, 13; 3, მეფ. 19, 21.

დაქირავებულნი, „სასყიდლით დადგინებულნი“. იობ. 7, 2; ლუკ. 15, 17.

მეფეთა ქვეშევრდომებს ეწოდებათ მ-ები. გამ. 9, 20; 11, 8.

ღარიბი ადამიანები. ეკლ. 10, 7.

ღმრთისთვის მიძღვნილი ადამიანები. ფს. 118, 49. ეს. 56, 6. რომ. 1, 1.

მორჩილების გამოსახატავად ადამიანები თავიანთ თავს უწოდებენ მ-ებს. დაბ. 18, 3; 33, 5; 1 მეფ. 20, 7; 3 მეფ. 20, 32.

სამი წლით დაქირავებულები. ლევ. 25, 53. ეს. 16, 14.

დღიური მუშები. მათ. 20, 2.

მ-ები არ უნდა შეევიწროებინათ. 2 სჯ. 21, 14.

მ-ებისათვის არ უნდა დაეკავებინათ ჯამაგირი. ლევ. 19, 13; 2 სჯ. 24, 15.

მ-ები მიცემული საზღაურის ღირსნი იყვნენ. ლუკ. 10, 7.

მ-ნი ელიან შრომის საფასურს. იობ. 7, 2.

ბაზრის მოედანზე ელოდებოდნენ სამუშაოს მიმცემს. მათ. 20, 1-3.

მ-ებს ჩვეულებრივ კარგად აჭმევდნენ. ლუკ. 15, 17.

მ-ებს ხშირად ავიწროებდნენ და ჯამაგირს უკაევდნენ. იაკ. 5, 4.

იწოდებოდნენ მონებად

იოსების ძმები. დაბ. 43, 18; 44, 9.

მონებად დაბადებულნი. დაბ. 14, 14; ფს. 115, 7. იერ. 2, 14.

*

მონებს ყიდულობდნენ. დაბ. 17, 27; 37, 36.

ისრაელის ტერიტორიაზე უცხოელები შეიძლებოდა მონებად ეყიდათ. ლევ. 25, 45.

ვინც ვალს ვერ გადაიხდიდა, მონად აქცევდნენ. 4 მეფ. 4, 1. ნემ. 5, 4-5. მათ. 18, 25.

ქურდებს, რომლებიც თავს ვერ გაიმართლებდნენ, მონებად აქცევდნენ. გამ. 22, 3.

მონები დაქირავებულ მსახურებზე ძვირად ფასობდნენ. 2 სჯ. 15, 18.

ისრაელნი მათ კარგად უნდა მოქცეოდნენ. ლევ. 25, 39-46.

ისრაელ მონას ექვსი წლის შემდეგ მონობისგან ათავისუფლებდნენ. გამ. 21, 2; 2 სჯ. 15, 12.

ვისაც არ სურდა თავისუფლება, ყურს უხვერეტდნენ. გამ. 21, 5-6; 2 სჯ. 15, 16-17.

უცხოელებზე გაყიდული ისრაელი მონები ნათესაებს შეეძლოთ გამოესყიდათ. ლევ. 25, 47-55.

ყველა ისრაელი მონა უნდა გაეთავისუფლებინათ „წელსა მიტვეებისასა“. ლევ. 25, 10. 40. 41. 54.

გათავისუფლებულ მონას არ ჰქონდა უფლება მოეთხოვა მონობაში შერთული ცოლის განთავისუფლება. გამ. 21, 34.

განთავისუფლებულს აძლევდნენ ყოველსავე საჭიროს. 2 სჯ. 15, 13-14.

უცხოელი მონების წინადაცქეთა. დაბ. 17, 27. გამ. 12, 44.

შაბათობით მონებს ასვენებდნენ. გამ. 20, 10.

მონაწილეობდნენ ყველა ეროვნულ დღესასწაულში. 2 სჯ. 12, 18; 16, 11-14.

დიდგარიანებს ჰყავდათ ბერი მონები. დაბ. 14, 14; ეკლ. 2, 7.

სასტიკი მოპყრობის შემთხვევაში მონას ათავისუფლებდნენ. გამ. 21, 26-27.

მონათა პატრონი იღებდა ანაზღაურებას, თუ მის მონას ხეიბრებად აქცევდნენ. გამ. 21, 32-33.

კანონები მონის მოკვლისათვის. გამ. 21, 20-21.

აკრძალული იყო სხვისი მონის შეცოდება. გამ. 20, 17; 2 სჯ. 5, 21.

თავშესაფრის მძებნელი მონა არ უნდა დაებრუნებინათ პატრონისთვის. 2 სჯ. 23, 15.

დადაღვის ჩვეულება. გალ. 6, 17.

მონები ჩვეულებრივ ფეხით დადიოდნენ, ცხენზე იშვიათად სხდებოდნენ. ეკლ. 10, 7.

მონა ზოგჯერ პატრონის ოჯახის წევრზე ქორწინდებოდა. 1 ნეშტ. 2, 34-35.

კანონები მონაზე დაქორწინების შესახებ. გამ. 21, 7-11.

დაწესებული იყო სასჯელი დამონების მიზნით მოტაცებისათვის. გამ. 21, 17; 2 სჯ. 24, 7.

კანონები მონათა შესახებ ხშირად ირღვეოდა. იერ. 34, 8-15.

გადატანითი აზრით

ქრისტე. ფილიპ. 7.

წმინდანები. 1 კორ. 6, 20; 7, 23.

მიწიერები. 2 პეტ. 2, 19. რომ. 6, 16-19.

ქრისტემ მიიღო მ-ის სახე. მათ. 20, 28. ლუკ. 22, 27. იოან. 13, 5. ფილიპ. 2, 7.

მ-ები უნდა მიჰყოლოდნენ ქრისტეს მაგალითს. 1 პეტ. 2, 21.

მასხურთა ვალდებულებანი პატრონის წინაშე

უნდა ილოცონ მათზე. დაბ. 24, 12. პატივი უნდა სცენ. მათ. 1 ტიმ. 6, 1. განსაკუთრებული პატივი უნდა სცენ მორწმუნე პატრონებს. 1 ტიმ. 6, 2.

დაემორჩილონ მათ. 1 პეტ. 2, 18; ფს. 122, 2.

გაუგონონ მათ. ეფ. 6, 6-7. ტიტ. 2, 9.

ყველაფერში ასიამოვნონ მათ. ტიტ. 2, 9.

უნდა უყვარდეთ ისინი. 2 მეფ. 12, 18.

მათ ქონებაზე უნდა იზრუნონ. დაბ. 24, 32-33.

უნდა ემადლიერებოდნენ ღმერთს ბატონის მიმართ გამორჩენილი სიკეთისთვის. დაბ. 24, 27. 48.

უნდა უერთგულონ მათ. ლუკ. 19, 15-18.

უნდა იზრუნონ მათი კეთილდღეობისთვის. 1 მეფ. 25, 14-17; 4 მეფ. 5, 2-3.

კეთილსინდისიერად უნდა დაიცვან მათი ინტერესები. დაბ. 24, 54-56.

ბეჯითად უნდა შეასრულონ მოვალეობანი მათ მიმართ. ნემ. 4, 16-23.

მათ სტუმრებს ყურადღებით უნდა მოეპყრან. დაბ. 43, 23-24.

მოთმინებით უნდა აიტანონ მათგან შევიწროება. დაბ. 16, 6-9; 1 პეტ. 2, 8.

თავი შეიკაონ უხეში პასუხისგან. ტიტ. 2, 9.

შიშით კი არ ემსახურონ, არამედ სინდისით. ეფ. 6, 6. კოლას. 3, 22.

არ მოატყუონ. ტიტ. 2, 10.
 უნდა დასჯერდნენ თავიანთ მდგო-
 მარეობას. 1 კორ. 7, 20-21.
 თანაუგრძნონ თავიანთ ამხანაგებს.
 მათ. 18, 33.
 იმსახურონ ღმრთის შიშით. 1 პეტ.
 2, 19; ეფეს. 6, 5; კოლას. 3, 22.
 მოიქცნენ ქრისტეს მსახურებით.
 ეფეს. 6, 5-6.
 მოიქცნენ მთელი გულით, ისე
 როგორც ღმრთის წინაშე. ეფეს. 6, 7.
 კოლას. 3, 23.
 თითქოს ღმრთის ნებას ასრულებ-
 დნენ. ეფეს. 6, 6.
 ალალი გულით. ეფეს. 6, 5. კოლას.
 3, 22.
 კეთილი ნებით. ეფეს. 6, 7.
 უდანაშაულოდ ტანჯულები ღმრთ-
 ის სათნონი არიან. 1 პეტ. 2, 19-20.

კეთილი მონები

ღმრთის მონები. კოლას. 3, 24.
 ქრისტეში შეყვარებული ძმები.
 ფილიმ. 1, 6.
 უფლის მონობაში მყოფნი თავისუ-
 ფალნი არიან. 1 კორ. 7, 22.
 კეთილი მონები და თავისუფალნი
 ერთი სულით არიან ნათელღებულნი.
 1 კორ. 12, 13. გალ. 3, 28. ეფეს. 6, 8.
 კოლას. 3, 11.
 ღირსნი არიან თავიანთი პატრონის
 ნდობისა. დაბ. 24, 2-4. 10; 39, 4.
 გონიერად ბჭობენ თავიანთი პატ-
 რონის საქმეებზე. დაბ. 41, 40; იგავ.
 17, 2.
 პატრონები გამოარჩევენ და აჯილ-
 დოებენ მათ. დაბ. 39, 4-5.
 გამოითხოვენ ლოცვა-კურთხევას
 ღმრთისგან თავიანთი პატრონების-
 თვის. დაბ. 30, 27-30; 39, 3.
 24. ბიბლიის ლექსიკონი.

უფალი მათთან არის. დაბ. 31, 42;
 39, 21; საქმე. 7, 9-10.
 ღმერთი აჯილდოებს მათ. დაბ.
 39, 3.
 იცავს მათ. დაბ. 31, 7.
 მიუძღვება მათ. დაბ. 24, 7-27.
 აკურთხებს მათ. მათ. 24, 46.
 მათ სიკედილს დასტირიან. დაბ.
 35, 8.
 აჯილდოვდებიან. ეფეს. 6, 8; კოლას.
 3, 24.
 თავიანთი პატრონების გამდიდრე-
 ბას ხელს უწყობენ. დაბ. 30, 29-30.

ბიწიერი მონები

საქმიანობენ მხოლოდ მოსაჩვენებ-
 ლად. ეფეს. 6, 6; კოლას. 3, 22.
 გულის მოგებისთვის ზრუნავენ.
 ეფეს. 6, 6; კოლას. 3, 22.
 ცრუობენ. 2 მეფ. 19, 26.
 ჩხუბობენ. დაბ. 13, 7; 26, 20.
 მოღალატენი არიან. 4 მეფ. 5, 20.
 ცრუნი არიან. 4 მეფ. 5, 22. 25.
 მომხვეჭელნი არიან. ტიტ. 2, 10.
 გაუმაძღარნი არიან. მათ. 24, 49.
 ამხანაგების მიმართ დაუნდობელნი
 არიან. მათ. 18, 30.
 არ სწორდებიან. იგავ. 29, 19.
 უყვართ ყოყოჩობა. იგავ. 30, 21-22.
 ეს. 3, 5.
 ვერ გადაურჩებიან სამაგიეროს
 მიზღვას. მათ. 24, 50-51.

*

კეთილი მონების მაგა-
 ლითები: ელიეზერი. დაბ. 15, 2;
 ბოოსი. რუთ. 2, 4. იონათანის საჭურ-
 ველმჭვრითველი. 1 მეფ. 14, 6-7.
 დავითის მსახურნი. 2 მეფ. 12, 18.
 ტყვე ებრაელი-ქალი. 4 მეფ. 5, 2-4.

ნეემანის მსახურები. 4 მეფ. 5. 13. ასისტავის მსახურნი. მათ. 8, 8-9. კორნილიოსის მონა. საქმე. 10, 7. ონისიმე მოქცევის შემდეგ. ფილიმ. 1, 11.

ბიწიერი მონების მაგალითები: აბრაამისა და ლოთის მსახურები. დაბ. 13, 7. აბიმელიჟის მსახურები. დაბ. 21, 25. აბესალომის მსახურები. 2 მეფ. 13, 28-29; 14, 30 (აბესალომის მსახურები იყვნენ ცული ადამიანები, რადგან ემორჩილებოდნენ ცულ ბატონს, მაგრამ როგორც მსახურები, ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობებს). სივა. 2 მეფ. 16, 1-4. სემეის მსახურები. 3 მეფ. 2, 39. იერობუამი. 3 მეფ. 11, 26. ზამბრი 3 მეფ. 16, 9. გეზი. 4 მეფ. 5, 20. ამოსის მსახურები. 4 მეფ. 21, 23. იობის მსახურები. იობ. 19, 16. მღვდელთმთავრის მსახურები. მარკ. 14, 65. ონისიმე მოქცევამდე. ფილიმ. 1, 11.

მსაჯულნი

ღმერთი

აწესებს მსაჯულებს. იგავ. 8, 16; რომ. 13, 1.

ართმევს უფლებას მსაჯულებს. იობ. 9, 24; 12, 17-19.

მოუწოდებს მსაჯულებს სამართლიანეობისკენ. 2 ნეშტ. 19, 6; ფს. 81, 2.

*

მსაჯულნი არიან ღმრთის მსახურნი. რომ. 13, 4-6; 1 პეტ. 2, 14.

მ. ასამართლებენ ღმრთის მიერ. 2 სჯ. 1, 17; 2 ნეშტ. 19, 6.

მსაჯულთა განწესების მიზანი. 2 სჯ. 16, 18; რომ. 13, 4; 1 პეტ. 2, 14.

მსაჯულნი უნდა ამოირჩიონ დაკვირვებით. გამოს. 18, 21; 2 სჯ. 1, 13; ეზრა. 7, 25.

უნდა მართავდნენ და ასამართლებდნენ ღმრთის შიშით. გამოს. 18, 21; 2 მეფ. 23, 3; 2 ნეშტ. 19, 6-9; ფს. 2, 10-11.

უნდა აიძულებდნენ კანონის შესრულებას. ეზრა. 7, 26.

სამართალს უნდა ადგენდნენ ორი ან სამი მოწმის ხმით. რიცხ. 35, 30; 2 სჯ. 17, 6; 19, 15; მათ. 18, 16; იოან. 8, 17; 2 კორ. 13, 1; ებრ. 10, 28.

მათ უნდა განსაჯონ სიმართლით. ლევიტ. 19, 15; 2 სჯ. 1, 16; 16, 18; 25, 1; 2 ნეშტ. 19, 6-9; იერ. 22, 3; იოან. 7, 24.

მათ სიმართლე უნდა დაადგინონ ღარიბთა და დაჩაგრულთათვის. გამ. 23, 6; იობ. 29, 12-16; ფს. 81, 3-4; ეს. 1, 17; იერ. 22, 3.

სამართლიანნი უნდა იყვნენ. გამ. 18, 21; იგავ. 17, 7.

კეთილისმყოფელნი და გონიერნი უნდა იყვნენ. გამ. 18, 21; 2 სჯ. 1, 15. მსაჯულთ უნდა ეშინოდეთ ღმრთისა. გამ. 18, 21; 2 ნეშტ. 19, 7-9.

მსაჯულთ უნდა სძულდეთ უპატიოსნო სარგებელი. გამ. 18, 21.

მსაჯულნი არ უნდა იყვნენ პირმოთნენი. ლევიტ. 19, 15; 2 სჯ. 1, 17; 16, 19; იგავ. 18, 5; 24, 23.

მსაჯულნი არ უნდა იყვნენ მკერთამენი. გამოს. 23, 8; 2 სჯ. 16, 19; 2 ნეშტ. 19, 7.

პატიოსან მსაჯულებს შეპირებული აქეთ კურთხევა. იგავ. 28, 16.

უპატიოსნო მსაჯულნი სამართალს უსამართლოდ ადგენენ. ფს. 57, 1-2; 81, 2; 93, 20-21; ეს. 10, 1-2.

ღმერთი სჯის უსამართლო მსაჯულებს. იერ. 5, 28-29; ეხ. 3, 13.

წყველა უსამართლო მსაჯულებს. 2 სჯ. 27, 19; იგავ. 24, 23-24; ეხ. 10, 1.

მორწმუნენი

უნდა ემორჩილებოდნენ მსაჯულებს. რომ. 13, 1; 1 პეტ. 2, 13-14.

უნდა ღოცულობდნენ მსაჯულთათვის. 1 ტიმ. 2, 1-2.

მორწმუნეებს არა აქვთ საბაბი, რომ ეშინოდეთ მსაჯულებისა. რომ. 13, 3; 1 პეტ. 2, 14.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი კ ე თ ი ლ ი მ ს ა ჯ უ ლ ე ბ ი ს ა : იოსები. დაბ. 41, 29-45. მსაჯულნი, ამორჩეულნი მოსეს მიერ. გამ. 18, 25-26; 2 სჯ. 1, 15-18. გედეონი. მსაჯ. 8, 22-23. სამოელი. 1 მეფ. 12, 3-5. ეზრა. ეზრ. 7, 25-26. ნემია. ნემ. 5, 14-19. იობი. იობ. 29, 7-17. დანიელი. დან. 6, 2-5.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი უ პ ა ტ ი ო ს ნ ო მ ს ა ჯ უ ლ ე ბ ი ს ა : სამოელის შვილები. 1 მეფ. 8, 1-3. იერუსალიმის მმართველნი. ეხ. 1, 23; მიქ. 3, 11. მღვდელთმთავარნი. მათ. 26, 3-4. 59; მარკ. 14, 1, 55. პილატე. მათ. 27, 17-24; მარკ. 15, 9-15. ფილიპელთა მმართველნი. საქმე. 16, 22-23. გალიონი. საქმე. 18, 17. ანანია. საქმე. 23, 2. ფელიქსი. საქმე. 24, 25-27.

მსხეპი (იხ. მწირი)

მსხვერპალი

მსხვერპლს სწირავენ ღმერთს ძველთაგანვე. დაბ. 4, 3-4; გამ. 22, 20. მსაჯ. 13, 16.

მსხვერპლის ხაზები

დასაწველი მ. ლევიტ. 1, 3-17.

ცოდვის მ. ლევიტ. 4, 3, 35; 6, 25; 10, 15.

მორჩილების მ. ლევიტ. 5, 6-10; 6, 6; 7, 1.

შერიგების მ. ლევიტ. 3, 1-17; 7, 11-13.

მისართმეველი მ. გამ. 29, 27-28. ლევიტ. 7, 13. რიცხ. 15, 19.

მსხვერპლი ხორცის. რიცხ. 15, 4.

მ. ლეინისა. გამ. 29, 40. რიცხ. 15, 5.

მადლობის მ. ლევიტ. 7, 12; 22, 15, 5, 29; ფს. 49, 14.

ნებაყოფლობითი მ. ლევიტ. 23, 38; 2 სჯ. 16, 10; 23, 23.

პირველ ნაყოფთა მ. გამ. 22, 29; 2 სჯ. 18, 4.

ათეულის (მეათედის) მ. ლევიტ. 27, 30. რიცხ. 18, 21; 2 სჯ. 14, 22.

მ. ნაჩუქრობისა. გამ. 35, 21. რიცხ. 7, 2-38.

შესაწირავი, შურის სახისა. რიცხ. 5, 15.

პირადი გამოსასყიდის მსხვერპლი. გამ. 30, 13-15. დიდი სიწმიდე. რიცხ. 18, 9.

მსხვერპლი უნდა ვოფილიფო

უბიწო. ლევიტ. 22, 21.

საუკეთესო. მალ. 1, 14.

ნებაყოფლობით მიტანილი. ლევიტ. 22, 19.

სიმართლისთვის. მალ. 3, 3.

სიყვარულითა და გულმონწყალე-ბით. მათ. 6, 23-24.

სუფთა ჭურჭელში. ეხ. 66, 20.

ღმერთის მიერ ნაჩვენებ ადგილას. 2 სჯ. 12, 5. ფს. 26, 6. ებრ. 9, 8.

სამსხვერპლოს წინ დადებული.
მათ. 5, 23-24.

ხუცესის მიერ შეწირული. ებრ.
5, 1.

დაუყოვნებლივ. გამ. 22, 29-30.

*

მიუღებელია, თუ მადლობით არ
არის მოტანილი. ფს. 49, 8-14.

არ შეეძლო მომტანი სრულყო-
ფილად ექცია. ებრ. 9, 9.

**აკრძალულია მსხვერპლის მიტანა
(შეწირვა)**

მეძავის საფასურისა. 2 სჯ. 23, 18.

ძაღლის ფასისა. 2 სჯ. 23, 18.

რაიმე ბიწიერისა. ლევიტ. 22,
20-25.

რაიმე უწმინდურისა. ლევიტ. 27,
11, 27.

*

ეზეკიამ გამოყო ოთახები შე-
საწირავისთვის. 2 ნეშტ. 31, 11.
ებრაელები უნდობლად სწირავენ
მსხვერპლს. ნემ. 13, 9-10.

ებრაელები ხანდახან ქურდავენ
ღმერთს. მალ. 3, 8.

ებრაელებს ზოგჯერ მსხვერპლად
მოჰქონდათ უარესი იქიდან, რაც
ჰქონდათ. მალ. 1, 8-13.

მსხვერპლი არ მიიღებოდა, თუ
ცოდვიანი იყო. ეს. 1, 13. მალ. 1, 11.

მსხვერპლნი საძაგელნი არიან
ხუცესთა ცოდვების გამო. 1 მეფ. 2, 17.

მსხვერპლს სწირავენენ კერპებს.
ეზეკ. 20, 28.

უცხოელის მიერ შეწირული მსხ-
ვერპლი უტოლდებოდა ისრაელთა
მსხვერპლს. რიცხ. 15, 14-16.

ხუცესის დანაშაული ვერ გამოს-
წორდება მსხვერპლის შეწირვით. 1
მეფ. 3, 14.

გადატანითი მნიშვნელობით

ქრისტეს მიერ მსხვერპლად თავის
შეწირვა. ეფეს. 5, 2.

წარმართთა მოქცევა. რომ. 15, 16.
ებრაელთა მოქცევა. ეს. 66, 20.

მსხვერპლი დასაღვრელი

დასაღვრელი მსხვერპლის სიძვე-
ლე. დაბ. 35, 14.

მსხვერპლი დასათხვეელი პურის
შესაწირავთან ერთად. გამ. 29, 40.
ლევიტ. 23, 13.

შესაწირავის მიტანა შეწყვეტილია
ეაზის უქონლობის გამო. იოველ. 1,
9-13.

კერპთაყვანისმცემელ ისრაელთ მი-
ჰქონდათ მსხვერპლი ზეცის ქალღმერ-
თის და სხვებისათვის. იერ. 7, 18; 44,
17-19.

ისრაელნი განსჯილნი არიან
კერპებისთვის მსხვერპლის მიტანის
გამო. ეს. 57, 5; 6; იერ. 19, 13. ეზეკ.
20, 28.

კერპთაყვანისმცემლები ხშირად
ხმარობდნენ სისხლს მსხვერპლის
შესაწირავად. ფს. 15, 4.

კერპათთვის მიტანილი მსხვერპ-
ლის ამოება. 2 სჯ. 32, 37-38.

პირველსაზე ქრისტეს მსხვერპლი-
სა. ეს. 53, 12.

სულიწმინდის მოფენისა. იოველ.
2, 28.

მსხვერპლი მისართმეველი

ხუცესი ადავლენდა მისართმეველ
მსხვერპლს. გამ. 29, 24. ლევიტ. 8, 27.

ვერძის მარჯვენა მხარი. გამ. 29, 21-22; ლევიტ. 8, 25-26.

სამსხვერპლო ვერძის მკერდი. გამ. 29, 26; ლევიტ. 8, 29.

მკერდი ყველა „ცხოვრების მსხვერპლისა“. ლევიტ. 7, 30; 9, 18-21; რიცხ. 6, 17-20.

„ცხოვრების მსხვერპლის“ მარცხენა მხარი. რიცხ. 6, 17-19.

ქერის სამკალის პირველი ნაყოფი. ლევიტ. 23, 10-11.

ჭურის პირველი ნაყოფი. ლევიტ. 23, 20.

შესაწირავი შურის სახისა. რიცხ. 5, 25.

შესაწირავი ბრალისაგან განწმენდისა. ლევიტ. 14, 12-24.

სამსხვერპლო ვერძის ქონს წვავენ საკურთხეველზე. გამ. 29, 25; ლევიტ. 8, 26-32.

მსხვერპლი მისართმეველი ეკუთვნოდა მღვდელს. გამ. 29, 26-28; ლევიტ. 7, 31-34; 8, 29; 10, 15; 23, 19; რიცხ. 18, 11.

მღვდლის ოჯახი ჭამდა მისართმეველ მსხვერპლს ტაძარში. ლევიტ. 10, 14.

მსხვერპლი მისატანი

მისატანი მსხვერპლის სიწმინდე. ლევიტ. 6, 17.

შედგებოდა

ზორბლის ფქვილისგან. ლევიტ. 2, 1.

უცომო (უფუარი) ჭურისგან. ლევიტ. 2, 4; 2, 11; 6, 17.

ზეთით შექმნილი ფქვილისაგან. ლევიტ. 2, 7.

ცეცხლზე გამოშრალი ღერღილისაგან. ლევიტ. 2, 14.

ქერის ფქვილისგან. რიცხ. 5, 15.

*

მისატან მსხვერპლს არ დებენ სრულიად დასაწველ მსხვერპლთან. გამ. 30, 9.

მ. მ. შესწირავენ საკმეველის საკურთხეველზე. გამ. 40, 29.

მ. მ. შესწირავენ ყოველდღიურად. გამ. 29, 40-42.

მ. მ. ღარიბები შესწირავენ „ცოდვებისათვის მსხვერპლთან“ ერთად. ლევიტ. 5, 11.

მ. მ. მღვდელთმთავარი შესწირავდა ყოველდღიურად: ნახევარს – დილას, მეორე ნახევარს – საღამოს. ლევიტ. 6, 20-22.

მღვდლისთვის მოტანილი მსხვერპლი მთლიანად იწვებოდა. ლევიტ. 6, 23.

ამ მოვალეობას ასრულებდნენ მღვდელთმთავრის თანაშემწეები. რიცხ. 4, 16.

მისატან მსხვერპლს ათავსებდნენ ტაძრის ერთ-ერთ ოთახში. ნემ. 10, 39; 13, 5; ეზუკ. 42, 13.

მისატანი მსხვერპლის ნაწილი მღვდლის საკურთხევაა. ლევიტ. 2, 2; 6, 17-18.

მ. მ. ჭამა შეეძლოთ მხოლოდ აარონის სახლის მამაკაცებს. ლევიტ. 6, 18.

მისატან მსხვერპლს ჭამდნენ „ადგილსა წმიდასა ეზოსა კარვისა საწამებლისასა“. ლევიტ. 6, 16.

ებრაელები ზოგჯერ უარს ამბობდნენ მასზე. ამოს. 5, 22.

განიკითხებოდნენ კერპთათვის მსხვერპლის შეწირვის გამო. ეს. 57, 6.

მსხვერპლის შეწირვა ხდებოდა ღმრთის მსჯავრის გამო. იოველ. 1, 9-13.

მთავრებს მოქპონდათ სანოვაგე საჯარო მსხვერპლისთვის. რიცხ. 7, 13. 19. 25; ეზუკ. 45, 17.

მსხვერპლი მორჩილებისა

მსხვერპლი მორჩილებისა ითვლებოდა მსხვერპლად ცოდვებისათვის. ლევიტ. 5, 6-9.

შეწირებოდა

იმისთვის, თუ ვინმემ იცოდა დანაშაულის შესახებ და არ განაცხადებდა ამას. ლევიტ. 5, 1.

უწმინდურის შეხებით უნებლიე წაბილწვის გამო. ლევიტ. 5, 3.

უბუნური ფიცის გამო. ლევიტ. 5, 4.

წმინდა ჭეშმარიტებათა უცოდინრობის ცოდვის გამო. ლევიტ. 5, 15.

უმეტერებით ჩადენილი ყოველგვარი ცოდვის გამო. ლევიტ. 5, 17.

აღთქმის დარღვევისა და ტყუილის გამო. ლევიტ. 6, 2-5.

*

ძალზე წმინდა იყო. ლევიტ. 14, 13. მორჩილების მსხვერპლად სწირავდნენ დედალ კრავს. ლევიტ. 5, 6.

უბიწო ვერძს. ლევიტ. 5, 15; 6, 5.

ღატაკნი სწირავდნენ ორ დედალ მტრედს. ლევიტ. 5, 7-11.

უკიდურესად ღატაკნი სწირავდნენ ხორბლის ფქვილს. ლევიტ. 5, 12-13.

ამ შეწირვის დროს ხდებოდა შერიგება. ლევიტ. 5, 6, 10, 13, 16, 18; 6, 6; 19, 22.

მსხვერპლის შეწირვას ახლდა აღსარება. ლევიტ. 5, 5.

ჩვეულებრივ მას მოსდევდა პატიება. ლევიტ. 5, 15; 6, 5. მსხვერპლი მორჩილებისა იკვებოდა იქვე, სადაც მსხვერპლი სრულად დასაწველი და მსხვერპლი ცოდვების გამო. ლევიტ. 14, 13; ეზუკ. 40, 39. ზოგჯერ ჯერ კიდევ ცოცხალი მსხვერპლი აღივლინებოდა უფლის წინაშე. ლევიტ. 14, 12.

მორჩილების მსხვერპლის შეწირვის განსაკუთრებული შემთხვევები

კეთრისგან განწმენდა. ლევიტ. 14, 2. 12-14.

ქალის განწმენდა. ლევიტ. 12, 6-8. თესლმდინარებისგან განწმენდა. ლევიტ. 15, 13-14.

აღთქმის დამრღვევთა განწმენდა. რიცხ. 6, 11.

მონა-ქალთან უკანონო კავშირისაგან განწმენდა. ლევიტ. 19, 20-22.

*

მსხვერპლი მორჩილებისა ეკუთვნის მღვდელს. ლევიტ. 14, 14; ეზუკ. 44, 29.

ხატოვნად ქრისტეს შესახებ. ეს. 53, 10; ეზუკ. 46, 20.

მსხვერპლი ყოველდღიური

ყოველდღიური მსხვერპლი დაწვებულია სინას მთაზე. რიცხ. 28, 6.

ყოველდღიურ მსხვერპლად შეიწირებოდა კრავი ყოველად და საწველად დილას და საღამოს. გამ. 29, 38-39; რიცხ. 28, 3-4.

შაბათობით გაორმაგებულია. რიცხ. 28, 9-10.

ყოველდღიური მსხვერპლი უნდა შეიწიროს შერიგების პურთან და დასაღვრელ მსხვერპლთან ერთად. გამ. 29, 40-41. რიცხ. 28, 5-8.

ყ. მ. უნდა დაიწვას ნელა და მთლიანად. ლევიტ. 6, 9-12.

ყ. მ. განსაკუთრებით სასიამოვნოა. რიცხ. 28, 8. ფს. 140, 2.

ყ. მ. უზრუნველყოფდა ღმრთის მათთან ყოფნას. გამ. 29, 43-44.

მსხვერპლშეწირვის დრო — ლოცვის დრო. ეზრ. 9, 5. დან. 9, 20-21. საქმე. 3, 1.

ყოველდღიური მსხვერპლი განახლებულია ტყეობის შემდეგ. ეზრ. 3, 3.

ყოველდღიური მსხვერპლის შეწყვეტა ნაწინასწარმეტყველებია. დან. 9, 26-27; 11, 31.

პირველსახე ქრისტესი. — იოან. 1, 1. 29. 36; 1 პეტ. 1, 19.

გულითადი ლოცვისა და წმინდა ცხოვრებისა. ფს. 140, 2.

მსხვერპლი ცოდვებისათვის

ცოდვებისთვის შესაწირავი მსხვერპლის სავარაუდო წარმოშობა. დაბ. 4, 34.

მსხვერპლი ცოდვებისთვის შეიწირებოდა

უმეტრებით ჩადენილი ცოდვების გამო. ლევიტ. 4, 2, 13, 22, 27.

მღვდლების ხელდასხმის დროს. გამ. 29, 10-14. ლევიტ. 8, 14.

ლევიტელთა ხელდასხმის დროს. რიცხ. 8, 8.

ნაზორეველთა აღთქმის ბოლოს. რიცხ. 6, 14.

შერიგების (დაგების) დღეს. ლევიტ. 16, 3-9.

მსხვერპლი ცოდვებისთვის ითვლებოდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მსხვერპლშეწირვად. ლევიტ. 6, 25. 29.

შედგებოდა

მღვდლისთვის ხბოსგან. ლევიტ. 4, 3; 9, 2-8; 16, 3-6.

მთელი კრებულისთვის ხბოსგან. ლევიტ. 4, 14-15; 16, 11; 2 ნეშტ. 29, 33.

მთავრისთვის ვაცი-თიკანი. ლევიტ. 4, 23.

კერძო პირისთვის ნეზვი-თიკანი. ლევიტ. 4, 28-32.

*

შემწირველთა ცოდვები ცხოველზე გადადიოდა ხელის დადებით. ლევიტ. 4, 4, 15, 24, 29; 2 ნეშტ. 29, 23.

მსხვერპლი ცოდვებისთვის იკვლებოდა იქვე, სადაც ყოველად დასაწველი მსხვერპლი. ლევიტ. 4, 24; 6, 25.

შეწირული მსხვერპლის ხისხლი

მას შეიღვზის ასხურებდნენ უფლის წინაშე კედლებს გარეთ. ლევიტ. 4, 6, 17.

მღვდლისთვის ასხამდნენ საკურთხეულის რქებზე. ლევიტ. 4, 7, 18.

მთავრის ან კერძო პირისათვის მღვდელი ასხამდა საკურთხეულის რქებზე. ლევიტ. 4, 25-30.

ყველა შემთხვევაში ასხამდნენ მთლიანად შესაწველი საკურთხეულის კვარცხლბეკთან. ლევიტ. 4, 7, 18, 25, 30; 9, 9.

ნაწლავთა ქონი, თირკმელნი და სხვ. იწვებოდა მთლიანად შესაწველი მსხვერპლის საკურთხეველზე. ლევიტ. 4, 8-10, 19, 26, 31; 9, 10.

ტყავსა და ძვლებს წვაენდნენ ბანაკის გარეთ. ლევიტ. 4, 11-12, 21; 5, 30; 9, 11.

მღვდლები ხორცს იგემებდნენ ტაძარში. ლევიტ. 6, 26-29.

აარონი განრისხდა, რომ მსხვერპლი არ შეჭამეს წმინდა ადგილას. ლევიტ. 10, 16-17.

ყველაფერი, რაც შეეხებოდა მსხვერპლის ხორცს, ითვლებოდა განწმენდილად. ლევიტ. 6, 27.

მითითებები (წესები) იმ ჭურჭლის შესახებ, რომელშიაც იხარშებოდა ხორცი. ლევიტ. 6, 28.

პირველსახე ქრისტეს მსხვერპლისა. 2 კორ. 5, 21.

მსხვერპლი ცხოვრებისა

მსხვერპლად ცხოვრებისა მოჰყავდათ მამალი ან დედალი ცხოველი ჯოგიდან. ლევიტ. 3, 1-12.

უნდა იყოს თავისუფალი. ლევიტ. 19, 5.

უნდა მიიყვანოს თვით შემწირველმა. ლევიტ. 7, 30-31.

შემწირველმა ხელი უნდა დაადოს მსხვერპლს თავზე. ლევიტ. 3, 2-13.

მსხვერპლი უნდა იყოს უბიწო. ლევიტ. 3, 1-6.

მღვდელი

ამზადებდა მსხვერპლს. ეზეკ. 46, 2. სისხლს ასხურებდა საკურთხეველზე. ლევიტ. 3, 2; 8, 13.

შიგნეულის ქონს წვადა. ლევიტ. 3, 3-4, 9-10.

დებდა ყოველდღიურ მთლიანად შესაწველ მსხვერპლთან ერთად. ლევიტ. 3, 5; 6, 12-13.

მღვდელი მხარსა და მკერდს თავისთვის იტოვებდა. ლევ. 7, 31-34.

*

ჩვეულებრივ სწირავდნენ მთლიანად შესაწველ მსხვერპლთან ერთად. მსაჯ. 21, 4; 3 მეფ. 3, 16.

მას ხშირად თან ახლდა მსხვერპლი ცოდეებისთვის. ლევიტ. 23, 19.

სწირავდნენ

როგორც სამადლობელ მსხვერპლს. ლევიტ. 7, 12-13.

როგორც აღთქმის მსხვერპლს. ლევიტ. 7, 16.

შერიგებისთვის. ეზეკ. 45, 15. ეფეს. 2, 13-14.

შეთანხმების დასამტკიცებლად. გამ. 24, 5.

მღვდლების ხელდასხმის დროს. გამ. 29, 24-30.

როგორც პურის შესაწირავს. ლევიტ. 9, 4.

ყოველგვარი ნადიმის დროს. რიცხ. 10, 10.

საწამებელი კარვის განწმედის დროს. რიცხ. 7, 17-23.

ტაძრის განწმედის დროს. 3 მეფ. 8, 63-64.

მეფეთა კურთხევის დროს. 1 მეფ. 11, 15.

*

ისუ ნავემ შესწირა თავისი გამარჯვებების შემდეგ. ისუ ნავ. 8, 31.

ისრაელმა — დამარცხების შემდეგ. მსაჯ. 20, 26.

დავითმა — კიდობნის დაბრუნების შემდეგ. 2 მეფ. 6, 17.

დავითმა - დამარცხების შემდეგ. 2 მეფ. 24, 25.

სოლომონი სწირავდა სამჯერ წელიწადში. 3 მეფ. 9, 24.

მანასემ შესწირა საკურთხევის აღდგენის დროს. 2 ნემტ. 33, 16-17.

მსხვერპლი ცხოვრებისა იყო სამადლობელი მსხვერპლი, რომელიც იმავე დღეს უნდაშეჰმულიყო. ლევიტ. 7, 15.

აგრეთვე მსხვერპლი აღთქმისა, რომელსაც იმავე დღეს ჭამდნენ. ლევიტ. 7, 16-17; 19, 6-8.

მას ჭამდნენ უფლის წინაშე. 2 სჯ. 12, 17-18.

უწმინდურებს არ უნდა ეგემნათ. ლევიტ. 7, 20-21.

მსხვერპლშეწირვა

მსხვერპლშეწირვის დაწესების ღვთაებრიობა. დაბ. 4, 4-5; ებრ. 11, 4.

მსხვერპლს სწირავენ მხოლოდ და მხოლოდ ღმერთს. გამ. 22, 20. მსაჯ. 13, 16; 4 მეფ. 17, 36.

მსხვერპლშეწირვა არის დადასტურება, რომ ღმერთი არის უზენაესი არსება. 4 მეფ. 5, 17. იონ. 1, 16.

მსხვერპლად შეიწირება წმინდა სისხლის ცხოველები. დაბ. 8. 19.

მსხვერპლად მოაქვთ აგრეთვე უსისხლო, მიწის ნაყოფი.

მსხვერპლშეწირვა ხდება ყოველთვის საკურთხეველზე. გამ. 20, 24.

მ. მოწმობდა ცოდვის შეგნებას. ებრ. 10, 3.

მსხვერპლშეწირვის წარმოშობის სიძველე. დაბ. 4, 3-4.

მსხვერპლს სწირავდნენ პატრიარქები. დაბ. 22, 2. 13; 31, 54; 46, 1. იობ. 1, 5.

მსხვერპლს სწირავდნენ ისრაელის ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ. გამ. 5, 3, 17; 18, 12; 24, 5.

მსხვერპლს სწირავდნენ მოსეს ხჯულის მიხედვით ლევიტ. 1-7 თავები. ებრ. 10, 1-3.

მსხვერპლშეწირვა იყო ყოველდღიური. გამ. 29, 38-39. რიცხ. 28, 3-4.

მ. იყო კვირეული. რიცხ. 28, 9.

მ. იყო ყოველი ათვის თავზე. რიცხ. 28, 10.

მ. ხდებოდა დღესასწაულთა გამო. რიცხ. 10, 10.

მ. იყო მთელი ერისთვის. ლევიტ. 16, 15-30, 1 ნემტ. 29, 21.

მ. ცალკეული პიროვნებებისთვის. ლევიტ. 1, 2; 17, 8.

მ. მოშავალი მაცხოვრის რწმენით. ებრ. 11, 4, 17, 28.

მსხვერპლი უნდა იყოს უბინო და სრულყოფილი. ლევიტ. 22, 19; 2 სჯ. 15, 21; 17, 1. მალ. 1, 8-14.

მსხვერპლშეწირვისთვის არჩევდნენ საუკეთესოს. დაბ. 4, 4; 1 მეფ. 15, 22. ფს. 65, 14. ეს. 1, 11.

მსხვერპლშეწირვის სხვადასხვა სახეები

სრულიად დასაწველი მსხვერპლი. ლევიტ. 1 თავი; 9, 22; 3 მეფ. 18, 38; 2 ნემტ. 31, 3.

მ. შეუგნებელი ცოდვებისათვის. ლევიტ. 4 თავი.

მ. მორჩილებისა განზრახვით ცოდვის გამო. ლევიტ. 6, 1-7; 7, 1-7.

მ. ცხოვრებისათვის. ლევიტ. 3 თავი.

*

მსხვერპლს სწირავდნენ ღმრთის მიერ მითითებულ ადგილას. 2 სჯ. 12, 5; 2 ნემტ. 7, 12.

მსხვერპლს ამარილებდნენ. ლევიტ. 2, 13. მარკ. 9, 49.

მ. ზოგჯერ ნთქაედა ზეციდან გადმოვარდნილი ცეცხლი. ლევიტ. 9, 24; 3 მეფ. 18, 38; 2 ნეშტ. 7, 1.

სისხლიან მ. თან ახლდა სხვა საჭმლისა და სასმელის მოტანა. რიცხ. 15, 3-11. საფუარიანი პური შეიძლება მხოლოდ „მსხვერპლი ცხოვრებისა“-ს („საცხოვრებელი“-ს) დროს. ლევიტ. 7, 13.

მღვდლები

დანიშნულნი იყვნენ მსხვერპლშეწირვისთვის. 1 მეფ. 2, 28. ეზეკ. 44, 11-15. ებრ. 5, 1; 8, 3.

მსხვერპლის ნაწილით სარგებლობდნენ. გამ. 29, 27-28; 2 სჯ. 18, 3. ისუ ნავ. 13, 14; 1 კორ. 9, 13.

*

მსხვერპლი არის ქრისტეს მსხვერპლის პირველსახე. 1 კორ. 5, 7. ეფეს. 5, 2. ებრ. 10, 1, 11-12.

ღმერთი მსხვერპლს მიიღებს, თუ იგი გულწრფელად და რწმენით არის შეწირული. დაბ. 4, 4; 8, 21. ებრ. 11, 4.

მსხვერპლთშეწირვას თან ახლდა განწმენდა. ებრ. 9, 13, 22.

მ. არ შეეძლო ცოდვის დანაშაულისაგან განწმედა. ფს. 39, 6. ებრ. 9, 9; 10, 1-11.

მ. უსარგებლოა, თუ არ სრულდება მორჩილებით. 1 მეფ. 15, 22. იგავ. 21, 3. მარკ. 12, 33.

ღმრთის აღთქმები მსხვერპლშეწირვით არის განმტკიცებული. დაბ. 15, 8-9. გამ. 24, 4-8. ფს. 49, 5. ებრ. 9, 19-20.

ისრაელნი

განიხუბოდენ მსხვერპლშეწირვისადმი უპატივცემულო დამოკიდებულების გამო. 1 მეფ. 2, 29. მალ. 1, 12.

დამნაშავენი იყვნენ, თუ მოჰქონდათ ბიწიანი მსხვერპლი. მალ. 1, 13-14.

განიკითხვოდნენ მსხვერპლშეწირვის გამოტოვების გამო. ეს. 43, 23-24.

მსხვერპლი არ იყო სათნო, თუ ახლდა უკანონობა. ეს. 1, 11-15; 66, 3. ოს. 8, 13.

განიხუბოდნენ საიკრპო მსხვერპლშეწირვის გამო. 2 ნეშტ. 34, 25. ეს. 65, 3, 7. ეზეკ. 20, 28-31.

შესაწირავი ცრულმერთებისთვის სატანის მსახურების ტოლფასოვანია. ლევიტ. 17, 7; 2 სჯ. 32, 17. ფს. 105, 37; 1 კორ. 10, 20.

საზეიმო შემთხვევებში მრავალფეროვანი იყო. 2 ნეშტ. 5, 6; 7, 5.

საზოგადოებრივი მსხვერპლშეწირვა სახელმწიფო ხარჯზე სრულდებოდა. 2 ნეშტ. 31, 3.

გადატანითი მნიშვნელობით

ლოცვა. ფს. 140, 2.

მადლობა. ფს. 26, 6; 106, 22; 115, 17. ებრ. 13, 15.

კეთილმსახურება. რომ. 12, 1. ფილიპ. 2, 17.

კეთილგანწყობილება. ფილიპ. 4, 18. ებრ. 13, 16.

სიმართლე. ფს. 4, 5.

შემუსკრილი სული. ფს. 50, 15, 19.

მოწამეობრიობა. ფილიპ. 2, 7-8; 2 ტიმ. 4, 6.

მსჯავრი იესო ქრისტეს მიმართ

ანა მღვდელმთავართან. იოან. 18, 19-24.

შესაკრებელში (სინედრიონში). მათ. 26, 59-66; მარკ. 14, 55-64; ლუკ. 22, 66-71.

პილატესთან. მათ. 27, 1-2. 11-26; მარკ. 15, 1-15; ლუკ. 23, 1-7. 13-25; იოან. 18, 28-40; 19, 1-16.

ჰეროდესთან. ლუკ. 23, 8-11.

მტარი

ქრისტე ღოცულობდა თავისი მტრებისათვის. ლუკ. 23, 34.

ქრისტიანების მოვალეობანი მტრების მიმართ

არა აენონ მათ სიცოცხლეს. 1 მეფ. 24, 11; 26, 11; ფს. 7, 4.

არ მიაგონ მათ ბოროტი ბოროტის სანაცვლოდ. რომ. 12, 17; 1 პეტ. 3, 9.

არ მოინდომონ მათი სიკვდილი. 3 მეფ. 3, 11; იობ. 31, 29-30.

არ გაიზარონ მათი უბედურებით. იობ. 31, 29; იგაე. 24, 17.

მიაგონ მათ სიყუთ ბოროტისა წილ. გამ. 23, 4-5; მათ. 5, 44; რომ. 12, 14.

უნდა შევლოდნენ მათ. იგაე. 25, 21-22; მათ. 5, 44; ლუკ. 6, 27; რომ. 12, 20.

უნდა უყვარდეთ ისინი. მათ. 5, 44; ლუკ. 6, 27-35.

უნდა აკურთხევენ მათ. მათ. 5, 44; ლუკ. 6, 28; რომ. 12, 14; 1 კორ. 4, 12.

უნდა ღოცულობდნენ მათთვის. ფს. 34, 13; მათ. 5, 44; ლუკ. 6, 28; 23, 34; საქმე. 7, 60; 1 კორ. 4, 13.

უნდა განაიარაღონ ისინი თავიანთი სიწყნარით. 1 მეფ. 24, 18; იგაე. 25, 22; რომ. 12, 21.

უნდა მისდევდნენ ღმრთის მაგალითს მათთან დამოკიდებულებაში. მათ. 5, 45; ლუკ. 6, 3.

ღმერთი

დაიცავს თავის ერს მტრებისგან. 2 სჯ. 20, 4; 33, 29; ფს. 3, 3; 16, 8-9; 60, 3.

გამოიხსნის მტრებისგან. რიცხ. 10, 9; მსაჯ. 2, 18; 1 მეფ. 12, 11; 2 მეფ. 22, 1-18; ეზრა. 8, 31; ნემ. 9, 27; ფს. 17, 17. 48; 43, 8; 59, 11; 105, 10; სოფ. 3, 15; ლუკ. 1, 71-74.

მისცემს გამარჯვებას მტრებზე. გამ. 23, 27; ლევიტ. 26, 7-8; 2 სჯ. 33, 27; ისუ ნავ. 10, 8-25; ფს. 43, 5.

დააცხრობს მორწმუნეთა მტრებს. 2 სჯ. 12, 10; ისუ ნავ. 23, 1; 2 მეფ. 7, 1; 1 ნემტ. 22, 9; იგაე. 16, 7.

სჯის და ლუპავს თავისი ერის მტრებს. გამ. 14, 30; 2 სჯ. 33, 29; 2 მეფ. 7, 9; 1 ნემტ. 17, 8; ფს. 6, 11; 9, 3; 53, 5; 59, 12; 70, 13; ეს. 26, 14; იერ. 50, 15.

სჯის ურჩერს მტრების შესევით. 2 სჯ. 28, 47-48; 3 მეფ. 11, 14-23; ეს. 13, 16.

სჯის ურჩერს მტრებისთვის ხელში ჩაგდებათ. ლევიტ. 26, 17. 25. 37; 2 სჯ. 28, 25; მსაჯ. 2, 14; 3, 8; 1 მეფ. 12, 9; 3 მეფ. 11, 14-23; ნემ. 9, 27; ფს. 105, 41; ეს. 63, 10.

არის მტერი მორწმუნეთა მტრებისა. დაბ. 12, 3.

ილოცეთ, რომ იყოთ გამოხსნილი თქვენი მტრებისგან. 1 მეფ. 12, 10; 2 მეფ. 22, 4; 4 მეფ. 19, 19; 2 ნემტ. 20,

12; ფს. 3, 7; 7, 1; 9, 13; 16, 8-9; 24, 19-20; 30, 15; 58, 1; 63, 1; 68, 18; 142, 9.

აქტივით ღმერთს მტრებისგან თქვენი განთავისუფლებისთვის. ფს. 17, 48-49; 117, 12-14; 123, 6; 135, 24.

ღმერთმა შეგვირიგა ჩვენ ქრისტეს მიერ, თუმცა ჩვენ მისი მტრები ვიყავით. რომ. 5, 10; კოლას. 1, 21-22.

უსჯულონი არიან მტრები

ღმრთისა. იობ. 8, 22; რომ. 1, 20; 5, 10; 8, 7; კოლას. 1, 21.

კეთილი ადამიანებისა. იგავ. 29, 9; ამოს. 5, 10; 2 ტიმ. 3, 3.

ღმერთი სჯის და დალუპავს თავის მტრებს. 2 სჯ. 28, 62; 32, 41; ფს. 36, 20; 91, 9; ეს. 1, 24; 59, 18; 66, 6; იერ. 46, 10; ნაუმ. 1, 2; ებრ. 10, 27.

იესო ქრისტე დაჯდა ღმრთის მარჯვენით, ვიდრემდის მისი მტრები აღმოჩნდებიან „ქვეშე ფერხთა მისთა“. ფს. 109, 1; მათ. 22, 44; მარკ. 12, 36; ლუკ. 20, 42-43; საქმე. 2, 34-35; 1 კორ. 15, 25-26; ებრ. 1, 13; 10, 12-13.

მტილი (იხ. ბალი)

ბტარი

ვარგისია საკვებად. 2 სჯ. 14, 11. მტრედს სწირავდნენ მსხვერპლად. დაბ. 15, 9. ლევიტ. 1, 14.

მ. ყიდდნენ ტაძრის ეზოში. მათ. 21, 12; იოან. 2, 16.

მტრედის დამახასიათებელი თვისებები

უმანკოება. მათ. 10, 16. სასიამოვნო შესახედაობა. ქება. 2, 14.

წყნარი თვალი. ქება. 1, 14.

ტკბილი ხმა. ქება. 2, 14.

ლამაზი ბუმბული. ფს. 67, 13.

სეველიანად მხმობარი მტრედი ნინევის ნგრევის დროს. ნაუმ. 2, 7.

მ. ბინადრობს კლდის სეობებში. ქება. 2, 14; იერ. 48, 28.

მტრედს უყვარს წყლის პირას ჩასვლა. ქება. 5, 12.

ნოემ მტრედი გმოუშვა კიდობნიდან. დაბ. 8, 8-12.

მ. მშვიდობის სიმბოლო. დაბ. 8, 11.

მ. გაზაფხულის მანუწყებელი. ქება. 2, 12.

გადატანითი მნიშვნელობით

სულიწმიდა. მათ. 3, 16; იონ. 1, 32.

მგლოვიარენი. ეს. 38, 14; 59, 11.

ისინი, ვინც მიმართავენ უფალს. ეს. 60, 8.

ისრაელთა დაბრუნება ტყვეობიდან. ოს. 11, 11.

მა გა ლ ი თ ე ბ ი: გამოცხადება სულიწმიდისა მტრედის სახით იესო ქრისტეს ნათლისღების დროს. მათ. 3, 16; მარკ. 1, 10; ლუკ. 3, 22; იოან. 1, 32. „იყვენით უმანკო, ვითარცა ტრედნი“. მათ. 10, 16.

ბტუარი (ბრუ)

„თქვენ მამისა ეშმაკისანი ხართ და გულისთქუმათა მამისა თქვენისათა გნებაეს ყოფად; რამეთუ იგი კაცის-მკელელი იყო დასაბამითგან და ჭეშმარიტებასა არა დაადგრა, რამეთუ ჭეშმარიტება არა არს მის თანა. ოდეს იტყვინ ტყუილსა, თვისისაგან გულისა იტყვინ, რამეთუ მტყუვარ არს და რამეთუ მამაცა მისი მტყუვარი არს“. იოან. 8, 44.

მუსიკა

მუსიკის ძველი წაროშობა. დაბ. 4, 21.

ვოკალური მუსიკა. 2 მეფ. 19, 35. საქმე. 16, 25.

მუსიკის დანიშნულებაა სიხარულის მონიჭება. ეკლ. 2, 8-10.

მუსიკა ფსიქიურ დაავადებათა დროს სამკურნალოდ ითვლებოდა. 1 მეფ. 16, 14-17, 23.

მუსიკის ზემოქმედება ძველ წინასწარმეტყველებზე. 1 მეფ. 10, 5-6; 4 მეფ. 3, 15.

ინსტრუმენტები

წინწილა. 2 მეფ. 6, 5; 1 ნეშტ. 16, 5. ფს. 150, 4.

ნესტვი. ფს. 97, 6. ოს. 5, 8.

ქნარი. დან. 3, 5.

ორღანო. 2 მეფ. 6, 5. ფს. 150, 4; ეს. 5, 12.

სალამური, სასტეინელი. 3 მეფ. 1, 40. ეს. 5, 12. დან. 3, 5.

საფსალმუნე. ფს. 32, 2; 70, 22. დან. 3, 5.

სტერი. 2 მეფ. 6, 5.

ებანი, ბობლანი. გამ. 15, 20; 1 მეფ. 10, 5; 2 მეფ. 6, 5; ფს. 67, 25. ეს. 24, 8.

ინსტრუმენტს ამზადებდნენ ხისგან. 3 მეფ. 10, 12.

სპილენძისგან. 1 კორ. 13, 1.

ვერცხლისგან. რიცხ. 10, 2.

ცხოველების რქებისგან. ისუ ნავ. 6, 5.

ხშირად იყო სიმებიანი. ფს. 150, 4.

ინსტრუმენტები ადრეა გამოგონებული. დაბ. 4, 21.

გამოგონილია დაეითის მიერ. 2 ნეშტ. 7, 6.

ებრაელები განთქმული იყვნენ მუსიკალური ინსტრუმენტების კეთებით. ამოს. 6, 5.

მათ ხშირად აძობდნენ მდიდრული სამკაულებით. ეზეკ. 28, 13.

ინსტრუმენტთა მრავალფეროვნება. ეკლ. 2, 8.

დიდი გამოყენება ჰქონდა ტაძარში. 1 ნეშტ. 16, 8; 23, 5-6; 25, 1; 2 ნეშტ. 29, 25.

მუსიკით მეგობრების გაცილების ჩვეულება. დაბ. 31, 27.

ისრაელნი მიმართავდნენ მუსიკას

წმინდა პროცესების დროს. 1 ნეშტ. 13, 6-8; 15, 27.

ტაძრის საძირკვლის ჩაყრის დროს. ეზრ. 3, 9-10.

ტაძრის კურთხევის დროს. 2 ნეშტ. 5, 12-13.

მეფეთა კურთხევის დროს. 2 ნეშტ. 23, 13.

ქალაქის კედლების აგების დროს. ნემ. 12, 27-28.

გამარჯვებათა ზეიმების დროს. გამ. 15, 20; 1 მეფ. 18, 6-7.

რელიგიური დღესასწაულების დროს. 2 ნეშტ. 30, 21.

კერძო შეკრებების დროს. ეს. 5, 12. ცეკვების დროს. მათ. 11, 17.

სამგლოვიარო რიტუალის დროს. მათ. 9, 23.

კერპთმსახურების დროს. დან. 3, 5. ლაშქრის სელას მუსიკა ახლდა. ისუ ნავ. 6, 8; 1 კორ. 14, 8.

გადატანითი მნიშვნელობით

სიხარული და მხიარულება. ეფეს. 5, 19.

ციური ნეტარება. გამოცხ. 5, 8-9.
უბედურება. ეს. 24, 8-9; გამოცხ.
18, 22.

მუსიკალ-ღება

ელისაბედის. ლუკ. 1, 23-25.
წმიდა ქალწულის. მათ. 1, 18-20;
ლუკ. 1, 30-35.

მუხა

მუხა ბევრი იყო ბასანის ბორცვებზე.
ეს. 2, 13.
მაგარია. ამოს. 2, 9.
მუხა ტოტებგაშლილია. 2 მეფ. 18,
9; ეზეკ. 6, 13.
ჯამთარში მუხას ფოთლები სცვივა.
ეს. 6, 13.
წარმართნი კერპებს აკეთებდნენ
მ. ეს. 44, 14.
მუხა მგზავრთათვის თავშესაფარი
იყო. მსაჯ. 6, 11, 19; 3 მეფ. 13, 14.
მუხის ქვეშ კრძალავდნენ მიცვა-
ლებულებს. დაბ. 35, 8; 1 ნეშტ. 10, 12.
მუხების ქვეშ აგებდნენ ძეგლებს.
ისუ ნავ. 24, 26.
მ. ქვეშ ასრულებდნენ კერპთაყვა-
ნისცემის წესს. ეს. 1, 19-30; 57, 5;
ეზეკ. 6, 13; ოს. 14, 13.
აბესალოში გაქცევის დროს ჩამოე-
კიდა მუხაზე. 2 მეფ. 18, 9-14.
იაკობმა მუხის ქვეშ დამალა თავისი
კერპები. დაბ. 35, 4.

გადატნითი მნიშვნელობით

ეკლესია. ეს. 6, 13.
ძლიერი კაცები. ამოს. 2, 9.
უკეთური მმართველნი. ეს. 2, 13.
ზაქ. 11, 2.
სამსჯავრო ბოროტათვის. ეს.
1, 30.

მზარეულობა

ღმერთი ძლიერებით გვიფარავს. 2
მეფ. 22, 33; 1 ნეშტ. 29, 12; 2 ნეშტ. 25,
8; ფს. 58, 5; 67, 34-35; ეს. 40, 29; იუდ.
1, 24.

ღმერთი თავისი სიკეთით გვიფარ-
ავს. 2 სჯ. 4, 31; ფს. 30, 21; 36, 28; 39,
11; 43, 26; 115, 5-6; 135, 24; 137, 8.

სარწმუნო არს ღმერთი მიცემად
მფარველობისა. 1 თეს. 5, 23-24; 2
თეს. 3, 3.

**მფარველობა ღმრთისა
მორწმუნეებისათვის არის**

ჭეშმარიტი. რომ. 8, 30-31; 2 კორ.
12, 9.

დაუსრულებელი. იობ. 10, 12; ფს.
120, 3-8.

განუწყვეტელი. ფს. 120, 8.
აუცილებელი. ფს. 126, 2.

*

ღმერთი იფარავს მორწმუნეებს,
როგორც თვალის ჩინს. 2 სჯ. 32, 10;
ფს. 16, 8; ზაქ. 2, 8.

ანგელოზი ღმრთისა ფხიზლობს
და იცავს მორწმუნეებს. გამ. 33, 2; ფს.
33, 7; ეს. 63, 9.

**მფარველობა ღმრთისა მიეცემა
მორწმუნეებს, რომ**

დაიფაროს და დაიცვას ისინი. 2
სჯ. 33, 29; ფს. 30, 20; 40, 2; 93, 17;
120, 5; 144, 20; ეს. 46, 3-4.

განამტკიცოს ისინი. ფს. 17, 33-40;
67, 35; 137, 3; ეს. 40, 29-31; 1 ტიმ. 1,
12; 2 ტიმ. 4, 17; 1 პეტ. 5, 10.

შეწვიოს და გაამაგროს ისინი. ფს.
17, 36; 27, 7; 36, 17-24; 62, 8; 107, 12;
144, 14.

გამოიხსნას ისინი. 2 ნეშტ. 20, 17; ფს. 36, 40; 39, 18; 59, 11; 79, 2.

მფარველობა ღმრთისა მორწმუნეებს იცავს

დაცემისგან. ფს. 140, 3-4.

ცოდვისგან. ფს. 36, 24; 65, 9; 93, 17; 120, 3-5; იუდ. 1, 24.

განსაცდელში. 1 კორ. 10, 13; 2 პეტ. 2, 9; გამოცხ. 3, 10.

ყოველთა გზათა მათთა. გამ. 23, 20; ფს. 36, 23; 90, 11; 120, 8; ეს. 26, 12.

სნეულებისგან. გამ. 15, 26; 2 სჯ. 7, 15; ფს. 40, 4;

სიკვდილისგან. ფს. 32, 19; 40, 2; 90, 7; 139, 8; გოდ. 3, 58; ეზეკ. 9, 4-6.

ყოველივე ბოროტისა და საშიშროებისაგან. ფს. 90, 3-7; 120, 7; 2 თეს. 3, 3.

უბედურებებში. იობ. 5, 19-22; ფს. 26, 5; 31, 7; ეს. 26, 20; 43, 2; სოფ. 2, 3; გამოცხ. 9, 4.

მწუხარებაში. 2 მეფ. 22, 19; ფს. 9, 9; 31, 7; 33, 18; 45, 1; 49, 15; 58, 16; 90, 15; 117, 5; იერ. 16, 19.

ღვეწულებში. იერ. 1, 8; 2 კორ. 4, 8-9; 2 ტიმ. 4, 17.

მტრებისგან. 2 სჯ. 20, 4; 33, 27; ისუ ნავ. 23, 10; 2 მეფ. 22, 18; ფს. 63, 1; 96, 10; 117, 10-13; ეს. 41, 10-12; იერ. 15, 20; 20, 11.

ძილის დროს. ფს. 3, 5; 4, 8; იგავ. 3, 24.

სიყრმიდან სიბერემდე. ფს. 21, 9-10; ეს. 46, 3-4.

ყველგან. დაბ. 28, 15; ისუ ნავ. 1, 9; 2 ნეშტ. 16, 9.

თვით სიკვდილამდე. ფს. 22, 4; 47, 14; 2 ტიმ. 1, 12.

სამუდამოდ. 2 სჯ. 33, 27; ფს. 36, 28; 89, 1.

გულნი და გონებანი ჩვენი დაიცუბიან ღმრთის მფარველობის მიერ. ფილიპ. 4, 7.

სულნი დაიცუბიან ღმრთის მფარველობის მიერ. იობ. 10, 12; ფს. 53, 4; 71, 14; 96, 10; 120, 7.

მფარველობა ღმრთისა შეპირებულია და მოცემულია

ღარიბთათვის. ფს. 13, 6; 71, 12-14.

დაჩაგრულთათვის. ფს. 9, 9; 11, 5; 71, 12; ეს. 25, 4.

სუსტთათვის. ეს. 25, 4; რომ. 14, 4; 2 კორ. 12, 9-10.

ქერივთა, ობოლთა და მოგზაურთათვის. ფს. 145, 9.

შემუსერილთათვის, შეწუხებულთათვის. ფს. 39, 18; 69, 5.

მართალთათვის. ფს. 5, 12; 30, 23; 36, 17; იგავ. 2, 8; 18, 10; 1 ტიმ. 4, 10.

ღმრთის მოყვარულთათვის. ფს. 36, 28; 144, 20; იგავ. 2, 9.

ღმრთის მსასოებელთათვის. ფს. 17, 31; 27, 7; 70, 5-6; 144, 9; ნაუმ. 1, 7.

იმათთვის, ვინც შეუერდება ღმერთს. ფს. 16, 7; იგავ. 30, 5.

იმათთვის, ვისაც ეშინია უფლისა. ფს. 32, 18-19; 33, 7; 144, 19; იგავ. 14, 26.

იმათთვის, რომელნიც ეძიებენ უფალს. ფს. 9, 10.

იმათთვის, რომელნიც მოუწოდებენ მას. ეზრა. 8, 22; გოდ. 3, 57.

იმათთვის, რომელნიც უჯერებენ მას. იგავ. 1, 33.

მონანსულ ცოდვილთათვის. იობ. 22, 23-25.

ეკლესიისთვის. ფს. 47, 3; 124, 2; ზაქ. 2, 4-5; 12, 8.

თავისი ერის, ისრაელისთვის. 2 სჯ. 32, 9; 33, 29; ისუ ნავ. 24, 17; ეს. 41, 10; 63, 9; ლუკ. 1, 54.

თავის საყვარელათთვის. 1 მეფ. 2, 8; ფს. 59, 5; 107, 6; იგავ. 2, 8.

ღმერთი აღუთქვამს მორწმუნეებს თავის განუწყვეტელ მფარველობას. დაბ. 28, 15; 2 სჯ. 31, 8; ისუ ნავ. 1, 5-9; ებრ. 13, 5; ფს. 120, 8; ეს. 41, 10-13; 43, 2; იერ. 1, 8; 15, 20.

ისრაელი! მხოლოდ ჩემშია შენი შემწეობა. ოს. 13, 9.

ღმერთი მორწმუნეთათვის არის

ძალა. გამ. 15, 2; 2 მეფ. 22, 33; ფს. 27, 8-9; 45, 1; 58, 16; 67, 35; 117, 14; 139, 8; ეს. 12, 3; 49, 5; იერ. 16, 19; ამბაკ. 3, 19.

საფარი. დაბ. 15, 2; 2 სჯ. 33, 29; 2 მეფ. 22, 3; ფს. 3, 3; 17, 3; 27, 7; 32, 20; 58, 11; 83, 9-11; 143, 2; იგავ. 30, 5; ეს. 25, 5.

შესავედრებელი. 2 მეფ. 22, 3; ფს. 17, 21, 31; 27, 2; 61, 2-6; 70, 3; 93, 22; 141, 2.

სიმტკიცე. 2 მეფ. 22, 2; ნაუმ. 1, 7; იერ. 16, 19.

შემწე და მშველელი. 2 მეფ. 22, 3; ფს. 9, 9; 17, 2; 45, 7-11; 58, 9, 17; 70, 7; 80, 1; 90, 2; 93, 22; 143, 2; იერ. 16, 19.

მორწმუნენი

ექებენ ღმრთის მფარველობას. 2 მეფ. 22, 3; ფს. 56, 1; 120, 1; იერ. 17, 17.

ლოცულობენ ღვთაებრივ მფარველობაზე. ფს. 16, 1, 8-9; 21, 11; 24, 20; 26, 9; 29, 10; 37, 22; 39, 11-13-17; 69, 1-5; 70, 3; 78, 9; 85, 2-16-17; 107, 12; 118, 117-122; 139, 4; ეს. 51, 9.

ცნობენ, რომ მფარველობა წარმოდგება ღმრთისგან. 2 მეფ. 22, 2-33; ფს. 32, 20; 45, 1; 61, 7; 88, 18; 93, 22; 120, 2; 123, 8; იერ. 16, 19.

აქებენ ღმერთს მფარველობისთვის. გამ. 15, 2; ფს. 5, 11; 27, 7; 58, 16-17; 62, 7; 117, 14; ეს. 25, 1-4.

არ ეშინიათ არაფრისა, რადგანაც დაცული არიან მფარველობით. ფს. 3, 6; 26, 1; 45, 1-2; 55, 4; ეს. 12, 2; 50, 7; რომ. 8, 31; ებრ. 13, 6.

*

ღმრთის იმედი განამტკიცებს გულს. ფს. 26, 3; 30, 24; 137, 3.

განსლიერდით უფლის ძალით. 2 სჯ. 31, 6-23; ისუ ნავ. 1, 6-9; 10, 25; 1 ნეშტ. 22, 13; 28, 20; 1 კორ. 16, 13; ეფეს. 6, 10; კოლას. 1, 11; 2 ტიმ. 2, 1.

რჩევა-შეგონება ლოცვისთვის ღვთაებრივი მფარველობის მისაღებად. ფს. 49, 15; ებრ. 4, 16.

ღმერთმა გაკურთხოს და დაგიფაროს შენ. რიცხ. 6, 24; ფს. 19, 1-2.

ღმრთის მფარველობა არ მიეცემა

ურჩებს. ლევიტ. 26, 14-17; 1 მეფ. 13, 13-14; ოს. 4, 6.

ამაყებს. რიცხ. 14, 4-45.

იმათ, ვინც სტოვებს ღმერთს. 2 სჯ. 31, 16-17; ისუ ნავ. 23, 12-16. მსაჯ. 10, 13; 1 ნეშტ. 28, 9; 2 ნეშტ. 12, 5; 15, 2; 24, 20.

ურწმუნოებს. ეს. 7, 9.

ბოროტებს. რიცხ. 14, 9; იობ. 8, 20; ეს. 59, 2; 3, 4.

მზარეველობის მაგალითები: აბრაამი. დაბ. 15, 1. იოსები. დაბ. 49, 22-26. მოსე. გამ. 18, 41-6. ისრაელნი. ისუ ნავ. 24, 17. ისუ, ძე ნავესი. ისუ ნავ. 1, 5-9; 2 სჯ. 31; 23. გედეონი. მსაჯ. 6, 13-19. სამოელი და ისრაელნი. 1 მეფ. 7, 12. დავითი. 1 მეფ. 30, 6; 2 მეფ. 8, 6; 1 ნემტ. 18, 6-13; ელისე, 4 მეფ. 2, 14. იერუსალიმი. 4 მეფ. 19, 34; 20, 6; ეს. 31, 5. იაგბე. 1 ნემტ. 4, 10. ასა. 2 ნემტ. 14, 11-12. იოსფატი. 2 ნემტ. 18, 31, ეზეკია. 2 ნემტ. 32, 22. იერემია. იერ. 1, 8. ბარუქი და იერემია. იერ. 36, 26. ეზეკიელი. ეზეკ. 3, 9. სამი ებრაელი. დან. 3, 28. დანიელი. დან. 6, 22. პეტრე. საქმე. 12, 4-7. პავლე. საქმე. 18, 10; 26, 22; 2 ტიმ. 4, 17.

მღვდელმთავარი

მოწოდებულია ღმრთისგან. გამ. 28, 1-2. ებრ. 5, 4.

ცხებულია ღმრთის სამსახურისთვის. გამ. 40, 13. ლევიტ. 8, 12.

ღმრთის მღვდელმთავარი. საქმე. 23, 4.

ხალხის მთავარი. გამ. 22, 28. საქმე. 23, 5.

მღვდელმთავრის თანამდებობა მკვიდრეობითია. გამ. 29, 29.

მღვდელმთავარი მეორე პირია მეფის შემდეგ. გოდ. 2, 6.

ხშირად განაგებდა სახელმწიფო საქმეებს. 1 მეფ. 4, 18.

მღვდელმთავრის მსახურება

მსხვერპლის შეწირვა. ებრ. 5, 1.

25. ბიბლიის ლექსიკონი.

წმინდა სასანთლეთა ანთება. გამ. 30, 8. რიცხ. 8, 3.

წელიწადში ერთხელ შედიოდა წმინდათა წმინდაში. ლევიტ. 16, 34. ებრ. 9, 7.

უფლის წინაშე მოიხსენიებდა ისრაელის ტომთა სახელებს. გამ. 28, 12, 29.

მ. ნიშნავდა ლევიტელთა ხელდასმას. რიცხ. 8, 11-21.

მ. ნიშნავდა მღვდლებს. 1 მეფ. 2, 36.

მ. განაგებდა საგანძურებში შეგროვილ განძს. 4 მეფ. 12, 10; 22, 4.

მ. თავმჯდომარეობდა სინედრონს. მათ. 26, 3, 57-62. საქმე. 5, 21-28; 23, 1-5.

მ. განაგებდა მოსახლეობის აღწერას. რიცხ. 1, 3.

მ. აკურთხებდა ხალხს. ლევიტ. 9, 22-23.

მღვდელმთავარს ზოგჯერ შეეძლო მოკლენათა წინასწარმეტყველება. იოან. 11, 49-52.

მ. მოადგილე ჰყავდა. 2 მეფ. 15, 24. ლუკ. 3, 2.

მოადგილეს მეორე მღვდელი ეწოდებოდა. 4 მეფ. 25, 18.

მღვდელმთავარი იყო სარწმუნოების კარვის უახლოესი მეთვალყურე. რიცხ. 4, 16.

მ. ემორჩილებოდნენ ლევიტელნი. რიცხ. 3, 32.

მ. ცოლად უნდა ჰყოლოდა ქალი აარონის ნათესაეთაგან. ლევიტ. 21, 13-14.

მ. აკრძალული ჰქონდა ვისიმე დატირება. ლევიტ. 21, 10-12.

უნდა ყოფილიყო გულისხმეირი და კეთილი. ებრ. 5, 2.

მ. სწირავდა მსხვერპლს „თავისა თვისისათვის“. ებრ. 5, 1-3.

მღვდელმთავრის სამოსელი

სამხრე, ჭრელი ქსოვილისგან. გამ. 28, 4, 6-7.

სარტყელი. გამ. 28, 4, 41.

სამკერდე. გამ. 28, 4, 15, 29.

ოქროს ფირფიტა (პეტალი). გამ. 28, 36-38.

მღვდელმთავრის სამოსელი შექმნილია ბრძენთა მიერ. გამ. 18, 3; 36, 1.

კარშამანგი. გამ. 28, 4, 38.

მ. სამოსელი გამოხატავდა მის დიდებასა და პატივს. გამ. 28, 2.

მღვდელმთავარი იცვამდა მას ხელდასხმის დროს. ლევიტ. 8, 7-9.

მ. შვიდ დღეს ეცვა ეს სამოსელი. გამ. 29, 29.

მღვდელმთავრის სამოსელი გადადიოდა მის მემკვიდრეებზე. გამ. 29, 29.

მღვდელმთავარი იმოსებოდა უბრალო სამოსლით, როდესაც შედიოდა საკურთხეველში მსხვერპლით. ლევიტ. 16, 4.

*

მარადიული მღვდლობა აქვთ ალთქმული ფინჯის შთამომავლებს. რიცხ. 25, 11-13.

ელის შთამომავლობა გადაყენებულია მსახურებისაგან. 1 მეფ. 2, 27-36.

ხანდახან მღვდელმთავარს მეფე გადააყენებდა. 3 მეფ. 2, 27.

რომაელებმა დააწესეს მღვდელმთავართა ყოველწლიური ცვლა. იოან. 11, 49-51. საქმე. 4, 6.

ფერხთა სასხმელი, ფეხსაცმელი. გამ. 28, 4.

ქრისტეს პირველსაზე

ღმრთის მიერ მისი მოწოდება. ებრ. 5, 4-5.

მისი ტიტული. ებრ. 3, 1.

მისი დანიშნულება. ეს. 61, 1. იოან. 1, 32-34.

*

მღვდელმთავარი მოწყალებს უნდა ყოფილიყო ღმრთის წინაშე. ლევიტ. 16, 33. ებრ. 2, 17.

მ. მდიდრული სამოსელი. გამ. 28, 2. იოან. 1, 14.

მ. ცთუნებას ექვემდებარება. ებრ. 2, 18.

მ. თანაგრძნობით უნდა იყოს სუსტთა და უბრალოთა მიმართ. ებრ. 4, 15; 5, 1-2.

მ. ქორწინება ქალწულთან. ლევიტ. 21, 13-14; 2 კორ. 11, 2.

მ. მსახურების სიწმიდზე. ლევიტ. 21, 15. ებრ. 7, 26.

მ. თვით ასრულებდა მსახურებას შერიგების დღეს. ებრ. 1, 3.

მ. გულთ ატარებდა ისრაელის სახელებს. გამ. 28, 29.

მხოლოდ მღვდელმთავარს ჰქონდა საკურთხეველში შესვლის უფლება. ებრ. 4, 14; 9, 7.

მ. შუამდგომლობდა ღმრთის წინაშე. რიცხ. 16, 43-48; ებრ. 7, 25.

მ. აკურთხევა. ლევიტ. 9, 22-23. საქმე. 3, 26.

მღვდელმთავრის უთანასწორობა ქრისტესთან

თავისი ცოდვებისთვის შერიგების მსხვერპლის აუცილებლობა. ებრ. 5, 2-3; 7, 26-28; 9, 7.

აარონისგან წარმოშობა. ებრ. 6, 20; 7, 11-17; 8, 4-5.

მღვდელი ფიცის გარეშე. ებრ. 7, 20-22.

მღვდლობა გარდუვალი - იესო ქრისტესი. ებრ. 7, 23-24.

მღვდელმთავარი იმეორებს მსხვერ-
პლშეწირვას. ებრ. 9, 25-28; 10, 11-14.

ყოველ წელს შედის საკურთხეველ-
ში. ებრ. 9, 7, 12, 25.

მღვდელმთავარი

იერუსალიმში იესო ქრისტეს დიდებით შესვლის დროს განარისხდნენ იმის გამო, რომ ზალხი და ყრმები აღიდებდნენ ქრისტეს. იესომ უპასუხა მათ: „ჰე! არასადა აღმოგიკითხავსა, ვითარმედ პირითა ყრმათა ჩჩვილთა მწოვართათა დაემტყიცოს ქებაი?“ მათ. 21, 15-16.

მიხვდნენ, რომ იგავი ბოროტ მევენახეებზე მათზეა ნათქვამი. მათ. 21, 45-46. მარკ. 12, 12. ლუკ. 20, 19.

ბჭობის შედეგად გადაწყვიტეს იესოს მოკლა. იოან. 11, 53.

მოისყიდეს იუდა ისკრიოტელი, რათა მას მიეცა იესო მათთვის. მათ. 26, 14-15; მარკ. 14, 10-11. ლუკ. 22, 3-5.

გადაწყვიტეს, რომ მოეკლათ ლა-
ზარეც, რომელიც მკვდრითი აღად-
გინა ქრისტემ. იოან. 12, 10-11.

იუდა ისკარიოტელის მიერ უკან დაბრუნებული ფული აიღეს მ. და შეისყიდეს მეკეცის მინდორი უცხო ადამიანთა სასაფლაოდ. მათ. 27, 6-8.

მცველები დაუყენეს ქრისტეს საფ-
ლაეს მათ. 27, 62-66.

მოქრთამეს ქრისტეს საფლავის მცველები, რომ მათ ეთქვათ, ვითომც მაცხოვრის გვამი მისმა მოწაფეებმა მოიპარეს. მათ. 28, 11-15.

*

იესო ქრისტეს მღვდელმთავრული ლოცვა. იოან. 17-ე თავი.

მღვდელმთავარი

მ. მოწოდებულნი არიან ღმრთის-
გან. გამ. 28, 1; ებრ. 5, 4.

მ. მოწოდებულნი არიან თავიანთ საქმეზე ღმრთისგან. იერ. 1, 5-18; 6, 27; 15, 20; ეზეკ. 3, 8-9; რომ. 1, 5; 2 კორ. 3, 5-6; კოლას. 1, 25-29; ეფეს. 3, 7-8.

მ. მიიღეს რწმუნება ქრისტესგან. მათ. 28, 19; მარკ. 3, 14; 16, 15; ლუკ. 10, 1; იოან. 21, 15-17; საქმე. 20, 24; 26, 16-18; რომ. 1, 1; 2 კორ. 1, 17; გალ. 1, 1; ეფეს. 4, 11-12; 1 ტიმ. 1, 12; 2 ტიმ. 1, 11.

მ. ავზანის და მფარველობს სული-
წმიდა. ეს. 48, 16; ეზეკ. 3, 24; საქმე. 1, 8; 8, 29; 11, 12; 13, 2-4; 16, 6-7; 20, 28; 21, 4; 2 ტიმ. 1, 14.

მ. მიიღებენ სულიწმიდისგან თვისე-
ბებს, რომელნიც საჭიროა მათი საქ-
მისთვის. რიცხ. 11, 16; მიქ. 3, 8; საქმე. 4, 31; 6, 5; 1 პეტ. 1, 12.

მ. განწმენდილნი მონაწილეობენ ღმრთისმსახურებაში. გამ. 28, 42; 40, 13; ლევიტ. 16, 33; იერ. 1, 5; იოან. 17, 17; 2 ტიმ. 2, 21.

მ. იღებენ უფლებას ღმრთისგან და ქრისტესგან. მათ. 10, 40; ლუკ. 10, 16; იოან. 13, 20; 2 კორ. 2, 17; 5, 20; 10, 8; 13, 10; 1 თეს. 4, 8.

მ. იღებენ ღმრთისგან ძალას და გამბედაობას უშიშრად ლაპარაკისთვის. იერ. 1, 18-19; ეზეკ. 3, 8-9; მიქ. 3, 8; საქმე. 18, 9-10; 23, 11.

მ. ასწავლიან და მოძღვრავენ ღმრთის ძალით. 1 კორ. 3, 6-8; 15, 10; 2 კორ. 2, 14; 10, 8; გალ. 2, 8; კოლას. 1, 28-29.

მ. მიიღებენ უფლისგან საბოძვარს. ეზეკ. 33, 7; 1 კორ. 14, 37; 2 კორ. 2, 17; 5, 20; 1 თეს. 4, 2.

მ. არიან ღმრთის თანამოსაგრენი. 1 კორ. 3, 6-9; 15, 10; 2 კორ. 6, 1.

მღვდელმსახურთ ეწოდებათ

ღმრთის მსახურნი. ეს. 61, 6; რომ. 13, 6; 2 კორ. 6, 4.

ქრისტეს მსახურნი. რომ. 15, 16; 1 კორ. 4, 1; კოლას. 1, 17; 1 ტიმ. 4, 6.

სახარების მსახურნი. ეფეს. 3, 7; კოლას. 1, 23.

მწყემსნი ანუ ხუცესნი. იერ. 3, 15; 23, 4; ეფეს. 4, 11; ტიტ. 1, 5; იაკ. 5, 14.

ეპისკოპოსნი. საქმე. 20, 28; ფილიპ. 1, 1; 1 ტიმ. 3, 1-2; ტიტ. 1, 7.

ქრისტეს მოციქულნი. ანგ. 1, 13; 2 კორ. 5, 20; ეფეს. 6, 20.

მღვდელმსახურებს აგზავნიან, რათა

მოეწოდონ ცოდვილებს სინანულისკენ. 4 მეფ. 17, 13; იერ. 35, 15; 44, 4; ზაქ. 1, 4; ლუკ. 24, 47; საქმე. 17, 30; 20, 21.

იქადაგონ სახარება. მარკ. 16, 15; საქმე. 15, 7; 20, 24; რომ. 1, 1; 1 კორ. 1, 17; 1 თეს. 2, 4; 1 ტიმ. 1, 11.

ასწავლონ ხსნის გზა. ლუკ. 1, 77; საქმე. 13, 26; 16, 17; 1 კორ. 15, 1-2; ეფეს. 1, 13; იუდ. 1, 3.

იმსახურონ მშვიდობისთვის. საქმე. 10, 36.

იქადაგონ ცოდვათა პატიება. ეს. 40, 2; ლუკ. 24, 47; იოან. 20, 23; საქმე. 10, 43; 13, 38; 2 კორ. 5, 19.

დაარწმუნონ ხალხი ქრისტეს სარწმუნოებაში. საქმე. 20, 21; რომ. 1, 5; 10, 8-14; 1 კორ. 3, 5; 2 კორ. 5, 11.

გაფანტონ სიბნელე. მათ. 5, 14-16; საქმე. 26, 18; 2 კორ. 4, 6.

მღვდელმსახური უნდა იყვნენ

საყვარელი და სარწმუნო. ეფეს. 6, 21; კოლას. 1, 7; 4, 7; 1 ტიმ. 1, 12.

წმინდა. ეს. 52, 10; 2 კორ. 6, 6; 1 ტიმ. 4, 12; 5, 2-22.

უბიწო. 1 თეს. 2, 10; ტიტ. 1, 8. 1 ტიმ. 6, 14.

წმინდა, უმანკო. 1 ტიმ. 3, 2.

გულწრფელი თავის ყოფაქცევაში. 2 კორ. 1, 12.

აღსაესე მშური სიყვარულით. 1 კორ. 16, 24; 1 თეს. 2, 8; 1 ტიმ. 4, 12; 6, 11; 2 ტიმ. 2, 22; ტიტ. 1, 8.

აღსაესე თავისი სამწყსოს სიყვარულით. 2 კორ. 2, 4; 12, 15; ფილიპ. 1, 7-8; 4, 1; 1 თეს. 2, 7-11.

აღსაესე თანაგრძნობით. საქმე. 20, 31; რომ. 9, 1-3; 2 კორ. 2, 4; ფილიპ. 3, 18.

სიხარულით უნდა ადასრულებდნენ თავიანთ საქმეს. საქმე. 20, 24-27; 21, 13; 2 კორ. 12, 15; ფილიპ. 2, 17; 1 თეს. 2, 9.

უანგარო. საქმე. 20, 33-34; 1 კორ. 9, 12; 2 კორ. 11, 7-9; 12, 14; 1 თეს. 2, 9.

თავიანთი თავის უარმყოფელნი. 1 კორ. 8, 13; 9, 12-27; 10, 33.

წყნარი ყველას მიმართ. 1 თეს. 2, 7; 1 ტიმ. 6, 12; 2 ტიმ. 2, 24; 3, 10; 4, 2. მომთმენი. 2 კორ. 6, 4; 1 ტიმ. 6, 11; 2 ტიმ. 2, 24; 3, 10.

სტუმართმოყვარე. 1 ტიმ. 3, 2; ტიტ. 1, 8.

მზრუნველი თავიანთი შვილების აღზრდისათვის. 1 ტიმ. 3, 4-12; ტიტ. 1, 6.

სწავლული. 1 ტიმ. 3, 2; 2 ტიმ. 2, 2-24; ტიტ. 1, 9.

მაგალითნი სიყვარულში, სარწმუნოებაში, სიწმინდესა და კეთილ საქმეებში. 1 კორ. 11, 1; ფილიპ. 3, 17; 2 თეს. 3, 9; 1 ტიმ. 4, 12; ტიტ. 2, 7; 1 პეტ. 5, 3.

მოწონებული ყველას სინდისით. 2 კორ. 4, 2; 5, 11; 6, 4.

ქებული ღმრთისგან. 1 თეს. 2, 4; 2 ტიმ. 2, 15; 4, 5.

უნდა ეძებდნენ სიმართლეს, ღმრთისმსახურებას, სარწმუნოებას, სიყვარულს, მოთმინებას, სიმშვიდეს. 1 ტიმ. 6, 11; 2 ტიმ. 2, 22.

*

მღვდელმსახურის ნამდვილი თვისებები. 1 ტიმ. 3, 2-7; 4, 12-16; 6, 11; 2 ტიმ. 2, 22-25; ტიტ. 1, 7-9; 2, 7-8.

მღვდელმსახურის ცოლ-შვილის განსხვავებული თვისებები. 1 ტიმ. 3, 4-11; ტიტ. 1, 6.

მღვდელმსახურნი არ უნდა იყვნენ

ქედმაღალნი 1 კორ. 9, 19-23; 10, 33; 2 კორ. 11, 9; 2 თეს. 3, 8.

ანგარებისმოყვარენი. 1 მფუ. 12, 3; საქმე. 20, 33; 1 ტიმ. 3, 3-8; 1 პეტ. 5, 2. ძუნწნი. 1 თეს. 2, 5; 6, 10; ტიტ. 1, 7.

მოლაღენი (მონხუბარნი). 2 ტიმ. 2, 24; ტიტ. 1, 7.

ღვინის მოყვარულნი. 1 ტიმ. 3, 3; ტიტ. 1, 7.

მღვდელმსახურთა მოვალეობანი კელესიის მიმართ

მორწმუნეთა სულთათვის სიფხიზლე- ეზუკ. 3, 17; 33, 7; ებრ. 13, 17.

კელესიის მოვლა. იერ. 3, 15; 23, 4; ეზუკ. 34, 2; იოან. 21, 15-17; საქმე. 20, 28; 2 კორ. 11, 28.

მორწმუნეთა სარწმუნოების განმტკიცება. ლუკ. 22, 32; საქმე. 14, 22; 15, 32-41; 18, 23; 1 კორ. 16, 13; 1 თეს. 3, 2.

ლოცვა მორწმუნეთათვის. იოველ. 2, 17; რომ. 1, 9-10; ფეს. 1, 16-18; 3, 14-19; ფილიპ. 1, 4-9; კოლას. 1, 3-9; 4, 12; 1 თეს. 1, 2; 3, 12-13; 2 თეს. 2, 16-17; 1 პეტ. 5, 10.

შრომა მორწმუნეთა დამოძღვრისათვის. 2 კორ. 10, 8; 12, 19; 13, 10; ეფეს. 4, 11-12.

გულმოდგინებით შრომა სულის ხსნისათვის. რომ. 11, 14; 1 კორ. 9, 22; 15, 1-2; იაკ. 5, 20.

მორწმუნეთა ნუგეშისცემა. ეს. 35, 3; 40, 1; 1 კორ. 14, 3; 2 კორ. 1, 4-6; ეფეს. 6, 22; 1 თეს. 2, 12.

მოწყალების გაცემა. საქმე. 11, 30; 24, 27; რომ. 15, 25; 1 კორ. 16, 1; 2 კორ. 8, 14; გალ. 2, 10.

მღვდელმსახურნი დადგენილნი არიან ეკლესიაში მტყულებად. ეს. 62, 6; ეზუკ. 33, 7; ებრ. 13, 17.

მ. პასუხს აგებენ ღმრთის წინაშე სულთათვის. ეზუკ. 3, 18-21; საქმე. 18, 6.

**მღვდელმსახურებმა უნდა
შთაგონონ მორწმუნეებს**

რომ დაიცვან თავი ცოდვისგან.
ებუკ. 3, 21; რომ. 8, 13; 13, 13; 1 კორ.
10, 12; გალ. 6, 1; ეფეს. 4, 17; კოლას.
3, 7; 1 თეს. 4, 6; 2 ტიმ. 2, 22; 1 პეტ.
2, 11.

განწმენდა ხორცთა და სულისა
ყოველგვარი შეგინებისგან. 2 კორ. 7,
1; ფილიპ. 2, 15; 1 თეს. 4, 1-4; 1 პეტ.
1, 14-16.

კეთილი საქმეები. 1 ტიმ. 6, 17-18;
ტიტ. 3, 1, 8, 14.

ძმათა სიყვარული. რომ. 12, 10; 1
კორ. 14, 1; ეფეს. 4, 2; ფილიპ. 1, 9;
ებრ. 13, 1; 1 პეტ. 1, 22; 2, 17; 2 პეტ. 1,
7; 2 იოან. 1, 5.

მტკიცედ დგომა სარწმუნოებაზე.
1 კორ. 16, 3.

მტკიცედ დგომა სახარებაზე. საქმე.
13, 43; 1 კორ. 15, 58.

რომ არ იყოს მათ შორის განხეთ-
ქილება და დაუა. 1 კორ. 1, 10; 11, 16;
11, 16; 2 კორ. 12, 20.

**მღვდელმსახურთა მოვალეობანი
ცოდვილთა მიმართ**

მათი მხილება ღმრთის მიმართ
ურჩობისთვის. 2 სჯ. 31, 27; ეს. 30, 8-
10; 58, 1; ეზეკ. 2, 3-7; 3, 11-27; 44, 6;
მიქ. 3, 8-9; საქმე. 7, 51.

დარწმუნება მათი, განშორდნენ
ცოდვას და მოიქცნენ. ეს. 58, 1; იერ. 7,
2-3; 18, 11; 25, 5; 26, 2-5; ეზეკ. 2, 3-5;
3, 21; 33, 7-9; ზაქ. 1, 3; მათ. 3, 2; მარკ.
6, 12; საქმე. 2, 38; 3, 19; 14, 15; 20, 21;
იაკ. 4, 8.

დარწმუნება მათი, რომ შეურიგ-
დნენ ღმერთს. 2 კორ. 5, 20.

მათი მხილება. 1 მეფ. 2, 24; 1 ტიმ.
5, 20; 2 ტიმ. 4, 2; ტიტ. 1, 13; 2, 15.

დაგმობა მოუქცეველ ცოდვილთა.
ტიტ. 3, 10-11; 1 ტიმ. 1, 20.

განშორება მათგან, რომელნიც არ
მიიღებენ ღმრთის სიტყვას. მათ. 10,
14; მაკ. 6, 11; ლუკ. 9, 5; საქმე. 13, 51;
18, 6.

**მღვდელმსახურნი ვალდებულინი
არიან**

იქადაგონ სახარება. საქმე. 8, 25;
14, 7; რომ. 1, 16; 15, 16; 1 კორ. 9, 18;
15, 1; 2 კორ. 10, 14; 11, 7; ეფეს. 6, 19;
1 თეს. 1, 5.

იქადაგონ სახარება სიწმიდითა და
სიწრფოებით. 2 კორ. 2, 17; 2 ტიმ. 2,
15; ტიტ. 1, 9.

აუწყონ ღმრთის სიტყვა. საქმე. 4,
31; 8, 4-25; 13, 5; 17, 13; კოლას. 1, 25;
ებრ. 13, 7.

ასწავლონ სიტყვა ნამდვილად. 2
კორ. 2, 17; 4, 2; 2 ტიმ. 2, 15.

ასწავლონ კეთილი მოძღვრება. 1
ტიმ. 4, 6; ტიტ. 1, 9; 2, 1-7.

იქადაგონ სახარება აშკარად. საქმე.
4, 31; ეფეს. 6, 19; 2 კორ. 3, 12.

არ დაირცხვინონ სახარებისთვის.
რომ. 1, 16; 2 ტიმ. 1, 8.

იქადაგონ სახარება უანგაროდ. 1
კორ. 9, 18; 2 კორ. 11, 7; 1 თეს. 2, 9.

დამოძღვრონ და დაარწმუნონ. 1
ტიმ. 4, 13; 5, 1; 2 ტიმ. 4, 2; ტიტ. 1, 9;
2, 15.

იქადაგონ სიტყვა ყოველ დროს. 2
ტიმ. 4, 2.

ასწავლონ მშვიდად. 2 ტიმ. 2, 25;
4, 2.

ამხილონ წყნარად. 2 თეს. 3, 18; 1
ტიმ. 5, 1; 2 ტიმ. 4, 2.

ამხილონ უფლებითა და მკაცრად. 1 ტიმ. 5, 20; ტიტ. 1, 13; 2, 15.

ჩააქრონ განხეთქილებანი. 1 კორ. 1, 11-12; 3, 3, 11, 17-18.

ჩააქრონ ფუჭი დავიდარაბანი. 2 ტიმ. 2, 14-16; ტიტ. 3, 9.

გამორდნენ ფუჭ და უპატიოსნო დავას. 1 ტიმ. 1, 4; 6, 20; 2 ტიმ. 2, 23.

დაარიგონ მოკამათენი. 2 ტიმ. 2, 25; ტიტ. 1, 9.

დადგნენ სიმტკიცით. 2 ტიმ. 1, 13-14; ტიტ. 1, 9.

მტკიცედ იდგნენ სიტყვაზე. 2 ტიმ. 1, 13; ტიტ. 1, 9.

მტკიცედ იდგნენ კეთილ მოძღვრებაზე. 1 ტიმ. 4, 16; 2 ტიმ. 1, 13; ტიტ. 1, 9.

დაიცვან კეთილი წინდი. 1 ტიმ. 6, 20; 2 ტიმ. 1, 14.

არ ასწავლონ სხვა მოძღვრება. 2 კორ. 11, 4; გალ. 1, 8; 1 ტიმ. 1, 3.

არავეინაცდუნონ. 2 კორ. 6, 3; რომ. 14, 13-21; 1 კორ. 8, 13; 10, 32.

აიტანონ შრომა, კეთილად იღვაწონ. 1 ტიმ. 1, 18; 6, 12; 2 ტიმ. 2, 3; 4, 7.

მოითმინონ მწუსარებანი მორწმუნეთათვის. 2 კორ. 1, 6; კოლას. 1, 24; 2 ტიმ. 2, 10.

მღვდელმსახურნი უნდა ქადაგებდნენ

ქრისტეს. საქმე. 5, 42; 8, 5-35; 9, 20; 11, 20; 17, 3; 1 კორ. 1, 23; 2, 2; 2 კორ. 1, 19; 4, 5; გალ. 1, 16; ეფეს. 3, 8; კოლას. 1, 28; 4, 3.

ღმრთის სიტყვას. 1 კორ. 14, 37; 2 კორ. 2, 17; 1 პეტ. 4, 11.

გაბედულად. ეს. 40, 9; 58, 1; საქმე. 5, 20; 20, 20-27; რომ. 15, 19.

კაღიერებით. მათ. 10, 27-28; საქმე. 4, 19; 5, 29; 18, 9; 2 კორ. 3, 12.

კაცთა მუქარის უშიშრად. იერ. 1, 8-17; ეზეკ. 2, 6; 3, 9; საქმე. 4, 18-20; 5, 25-42; 18, 9.

თუნდაც ყურს არ უგდებდნენ მათ. ეზეკ. 2, 4-5-7; 3, 11; საქმე. 7, 54-57.

ყველგან და ყოველთვის. მათ. 24, 14; მარკ. 16, 15-20; ლუკ. 24, 47; საქმე. 5, 42; 8, 4; რომ. 10, 18; კოლას. 1, 6-23; 2 ტიმ. 4, 2.

უტყუარად. 2 კორ. 2, 17; 4, 2; 2 თეს. 2, 8-5.

არა ადამიანთა სიბრძნის სიტყვით. 1 კორ. 1, 17; 2, 1-4-13.

არ გულისხმობდნენ თავის განდიდებას. 2 კორ. 4, 5; 1 კორ. 1, 12-15; გალ. 1, 10.

არა შურიტ. ფილიპ. 1, 15-16.

სახარების ქადაგება შეადგენს მღვდელმსახურთა აუცილებელ მოვალეობას. 1 კორ. 9, 16.

მორწმუნეებმა უნდა

მიიღონ მღვდელმსახურნი, როგორც ღმრთისგან გამოგზავნილნი. მალ. 2, 7; 1 კორ. 4, 1; გალ. 4, 14.

ყურად იღონ და გაჰყვენ მღვდელმსახურთა დარიგებას. მალ. 2, 7-8; მათ. 23, 3; 1 კორ. 11, 2; 16, 16; 2 კორ. 7, 15; ფილიპ. 2, 12; 1 თეს. 4, 1-2; 2 თეს. 2, 15; 3, 4-14; ებრ. 13, 17; 1 პეტ. 5, 5.

გაჰყვენ მათ მაგალითს. 1 კორ. 4, 16; 11, 1; ფილიპ. 3, 17; 1 თეს. 1, 6; 2 თეს. 3, 7-9.

მიჰბაძონ მათ სარწმუნოებას. ებრ. 13, 7; 6, 12.

პატივს სცემდნენ მათ. 1 კორ. 16, 18; ფილიპ. 2, 29; 1 თეს. 5, 12; 1 ტიმ. 5, 17.

უყვარდეთ ისინი. 2 კორ. 8, 7; 1 თეს. 3, 6; 5, 13.

ლოცულობდნენ მათთვის. რომ. 15, 30; 2 კორ. 1, 11; ეფეს. 6, 18-19; კოლას. 4, 3; 1 თეს. 5, 25; 2 თეს. 3, 1; ებრ. 13, 18.

სამართლიანია, რომ მღვდელმსახურნი იღებდნენ საჩუქარს მორწმუნეთაგან. 2 ნეშტ. 31, 4; 1 კორ. 9, 11-14; გალ. 6, 6; ფილიპ. 4, 14-16; 1 თეს. 5, 12; 1 ტიმ. 5, 17-18; მათ. 10, 10; 2 სჯ. 18, 8; გამ. 30, 16.

უსჯულო მღვდელმსახურნი

ასწავლიან სიცრუეს. ეზეკ. 13, 19; ეფეს. 4, 14; 1 ტიმ. 4, 2; 2 პეტ. 2, 3.

ასწავლიან მხოლოდ სიტყვით. ეს. 29, 13; მათ. 15, 9; მარკ. 7, 7; კოლას. 2, 8-22; ტიტ. 1, 14.

აცდუნებენ მრავალთა. მათ. 24, 11; საქმე. 20, 30; რომ. 16, 18; 2 კორ. 11, 13; ტიტ. 1, 10-11.

არ მწყსიან, არამედ ღუპავენ სამწყსოს. იერ. 23, 2; ეზეკ. 34, 2-4; ზაქ. 11, 17; იოან. 10, 13; საქმე. 20, 29.

არიან ამპრტავანი და აღსავსე მედიდურებით. მათ. 23, 5-7; მარკ. 12, 38-39; ლუკ. 11, 43; 20, 46; 1 ტიტ. 6, 3-5.

არიან ანგარებისმოყვარენი. 1 მეფ. 2, 36; ეს. 56, 11; იერ. 6, 13; 8, 10; მიქ. 3, 5-11; 2 პეტ. 2, 3.

არა აქვთ პატიოსნება. 2 ტიმ. 3, 5; 2 პეტ. 2, 1; იუდ. 1, 4.

არიან გარყენილი და განდგომილი. 1 ტიმ. 6, 5; 2 ტიმ. 3, 8; ტიტ. 1, 16.

თავს აჩვენებენ ქრისტეს მსახურებად. 2 კორ. 11, 13-15.

წარმოდგენილნი არიან უხმო და გაუმაძლარ ძაღლებად, მტაცებელ მგლებად. ეს. 56, 10-12; მათ. 7, 15; საქმე. 20, 29.

გამრავლდებიან უკნასკნელ დღეებში. მათ. 24, 11; მარკ. 13, 22; საქმე. 20, 29; 1 ტიმ. 4, 1-3; 2 პეტ. 2, 1-3.

სასჯელი უსჯულო მღვდელმსახურთა. ეზეკ. 13, 8-9; 33, 6-8; მიქ. 3, 5-7; მათ. 24, 48-51; 2 პეტ. 2, 1-3.

ვაი უსჯულო მღვდელმსახურებს. იერ. 23, 1; ეზეკ. 34, 2-5; ზაქ. 11, 17.

სახელები მღვდელმსახურთა, რომელნიც მოხსენებულნი არიან ახალი აღთქმის წიგნებში

თორმეტი მოციქული. მათ. 10, 2-5; მარკ. 3, 14; ლუკ. 6, 13; საქმე. 1, 26. სამოცდაათი მოწაფე. ლუკ. 10, 1-17.

ანდრონიკე და იენია. რომ. 16, 7. აპოლო. საქმე. 18, 24; 1 კორ. 3, 6.

აკვილა და პრისკილა. საქმე. 18, 26; რომ. 16, 3.

არქიპოსი. კოლას. 4, 17; ფილ. 1, 2.

არისტარქოსი. სქმე. 27, 2; კოლას. 4, 10; ფილ. 1, 23.

არტემი. ტიტ. 3, 12.

ბარნაბა, იოსედ წოდებული. საქმე. 4, 36; 12, 25; 13, 1; 15, 2.

კლემენტოსი. ფილიპ. 4, 3. ეპაფრა. კოლას. 1, 7; 4, 12; ფილიპ. 1, 23.

ეპაფროდიტე. ფილიპ. 2, 25. ერასტი. საქმე. 19, 22; 2 ტიმ. 4, 20.

სტეფანე. საქმე. 6, 5-8.
 გაიოსი. საქმე. 19, 29; 20, 4.
 იაკობი. ლუკ. 6, 15; საქმე. 1, 13;
 გალ. 2, 9; იაკ. 1, 1.
 იოანე, მარკოზად წოდებული.
 საქმე. 12, 25; 15, 37; 2 ტიმ. 4, 11;
 ფილიმ. 1, 24.
 იოანე მახარებელი. მარკ. 3, 17;
 ლუკ. 6, 14; საქმე. 4, 13; გალ. 2, 9;
 გამოცხ. 1, 1.
 იოსებ, რომელსაც ერქვა ბარსაბა.
 საქმე. 1, 23.
 იუდა, რომელსაც ეწოდა ბარსაბა.
 საქმე. 15, 22-32.
 იუდა იაკობისი. ლუკ. 6, 16; საქმე.
 1, 13; იუდ. 1, 1.
 ლუკა. კოლას. 4, 14; 2 ტიმ. 4, 11;
 ფილიმ. 1, 24.
 ლუკიოს კვირინელი. საქმე. 13, 1;
 რომ, 16, 21.
 მატათა. საქმე. 1, 23-26.
 მათე. მათ. 9, 9; 10, 3; საქმე. 1, 13.
 პაულე. საქმე. 20, 24; 26, 16; 28, 31;
 რომ. 1, 5; 11, 13; გალ. 1, 1; ეფეს. 3, 7;
 კოლას. 1, 23; 1 ტიმ. 1, 12; 2, 7.
 პეტრე. იოან. 21, 15-17; საქმე. 9,
 32; 15, 7; გალ. 2, 7; 1 პეტ. 1, 1; 2 პეტ.
 5, 1; 1, 1.
 ფილიპე. საქმე. 6, 5; 8, 5-40; 21, 8.
 პროხორონ, ნიკანორა, ტიმონა,
 პარმენა და ნიკოლაოს. საქმე. 6, 5.
 შილა და სილოანე. საქმე. 15, 22-
 32; 17, 10; 2 კორ. 1, 19; 1 თეს. 1, 1; 2
 თეს. 1, 1.
 სიმეონ, რომელსაც ერქვა ნიგერ.
 საქმე. 13, 1.
 სოსიპატრე. საქმე. 20, 4.
 სოსთენ. 1 კორ. 1, 1.

თომა, რომელსა ერქვა მარჩბივი.
 იოან. 11, 16; 20, 24.
 სტეფანე. 1 კორ. 16, 17.
 ტიმოთე. საქმე. 16, 1; რომ. 16, 21;
 1 კორ. 4, 17; 2 კორ. 1, 19; 1 ტიმ. 4, 6;
 2 ტიმ. 4, 5.
 ტიტე. 2 კორ. 8, 23; გალ. 2, 1; ტიტ.
 1, 5.
 ტროფიმე. საქმე. 20, 4; 2 ტიმ. 4, 20.
 ტვიციკოს. ეფეს. 6, 21; კოლას. 4, 7;
 2 ტიმ. 4, 12.
 ურბანოს. რომ. 16, 9.
 ზინან. ტიტ. 3, 13.

მღვიმე, ქვაბი

მ. არის ხელოვნური. მსაჯ. 6, 2.
 მ. არის თავისუფალ მინდვრებზეც.
 დაბ. 23, 19.
 მ. არის კლდეებში. ეს. 2, 19.
 მღვიმეებს იყენებდნენ საცხოვრე-
 ბელ ბინად. დაბ. 19, 30.
 მ. იყენებდნენ თავშესაფრად. 1 მეფ.
 13, 6; 14, 11; 3 მეფ. 18, 4; ებრ. 11, 38.
 მ. იყენებდნენ დასასვენებლად. 1
 მეფ. 24, 4; 3 მეფ. 19, 9.
 მ. იყენებდნენ დასაკრძალადად. დაბ.
 23, 19; იოან. 11, 38.
 მ. იყენებდნენ ყაჩაღები. იერ. 7, 11;
 მათ. 21, 13.
 მ. იყენებდნენ მხეცები. ნაუმ. 2, 12.
 მღვიმეები ხშირად ვრცელია. 1
 მეფ. 22, 1. 2; 24, 4.
 მ. ვერ იხსნიან ღმრთის რისხვისგან.
 ეს. 2, 19; ეზეკ. 33, 27; გამოცხ. 6, 15.
**ხაღმრთო წერილში მოხსენებული
 მღვიმეები**
 ოდოლაში. 1 მეფ. 22, 1.
 გაღე (ენ-ლადი). 1 მეფ. 24, 1-4.

მრჩობლი. დაბ. 23, 9.

მაკლონია (მაკილი). ისუ ნავ. 10, 16, 17.

მღვიმარება, სიფხიზლე

შეგონება მღვიმარების შესახებ. მათ. 24, 42; 25, 13; მარკ. 13, 35-37; ლუკ. 12, 37; 21, 36; 1 კორ. 16, 13; 1 თეს. 5, 6; 1 პეტ. 5, 8; გამოცხ. 3, 2.

ქრისტი არის მღვიმარება — სიფხიზლის მაგალითი. მარკ. 14, 34-38.

მორწმუნენი უნდა მღვიმარებდნენ

ყოველ დროს. ლუკ. 21, 36.

ყოველ საქმეში. 2 ტიმ. 4, 5.

ცხოვრების გზის წარმართვაში ღმრთის სიტყვებით. ფს. 118, 9; იგავ. 4, 25-27; ეფეს. 5, 15.

სიტყვებით. ფს. 38, 1; იგა. 13, 3; იოან. 1, 19-20.

საღმრთო მსახურებისას. ეკლ. 5, 1-2.

დარიგების მიღებით. მარკ. 4, 24; ლუკ. 8, 18.

ცოდვის გამოცდის წინააღმდეგ. მათ. 26, 41; მარკ. 14, 38; ლუკ. 22, 46; 2 კორ. 10, 12; გალ. 6, 1; ებრ. 12, 15.

ურწმუნოების წინააღმდეგ. ებრ. 3, 12.

კერპთმსახურების წინააღმდეგ. 2 სჯ. 4, 15-16.

ლოცვით. ნემ. 4, 9; მათ. 26, 41; მარკ. 13, 33; 14, 38; ლუკ. 21, 36; 22, 46; ეფეს. 6, 18; კოლას. 4, 2; 1 პეტ. 4, 7.

მადლობით. კოლას. 4, 2.

კეთილგონიერებით. მარკ. 13, 33. სარწმუნოების სიმტკიცით. 1 კორ. 16, 13.

*

ღმერთი მოითხოვს მღვიმარება-სიფხიზლეს განსაკუთრებით მღვდლებსაგან. ეფეკ. 3, 17; 33, 7; ეს. 62, 6; მარკ. 13, 3.

მღვდლებს ეძლევათ შეგონება, იყენენ ფხიზლად თავისი სამწყსოს მიმართ. საქმე. 20, 28-31; 2 ტიმ. 4, 5; 1 პეტ. 5, 2.

ერთგული მღვდლები მარად ფხიზლობენ. ებრ. 23, 17.

არაერთგულ მღვდლებს არა აქვთ სიფხიზლე. ეს. 56, 10.

შეგონება მღვიმარება-სიფხიზლის შესახებ

რათა არ ჩავეარდეთ განსაცდელში. მათ. 26, 41; მარკ. 14, 38; ლუკ. 22, 46.

განუწყვეტელი ხდომა ეშმაკისა. 1 პეტ. 5, 8.

მოახლოვება ყოლველთა აღსასრულისა. 1 პეტ. 4, 7.

*

სიფხიზლე აუცილებელია, რადგან უცნობია ქრისტეს მოსელის დღე. მათ. 24, 42; 25, 13; მარკ. 13, 32-33-35; ლუკ. 12, 40; 21, 36; 1 თეს. 5, 2-6.

საშიშროება სიფხიზლის დაკარგვის გამო. მათ. 24, 48-51; 25, 5-12; გამოცხ. 3, 3.

ბედნიერია ის, ვინც ფხიზლობს. იგავ. 8, 34; მათ. 24, 46; ლუკ. 12, 37; გამოცხ. 16, 15.

მაგალითები მღვიმარება-სიფხიზლისა: ათნი ქალწულნი. მათ. 25, 1-12. მსახური, რომელიც მოელის თავისი ბატონის მოსვლას. მარკ. 13, 34-36; ლუკ. 12, 36-38. ერთგული და ბოროტი მონა.

მათ. 24, 45-51; ლუკ. 12, 42-48. სახლის პატრონი. მათ. 24, 43; ლუკ. 12, 39.

მლილი

მლილი სპობს ქსოვილებს. მათ. 6, 19; იაკ. 5, 2.

კვდება ხელის შეხებით. იობ. 4, 19.

გადატანითი მნიშვნელობით

ღმრთის მსჯავრის აღსრულება. ოს. 5, 11.

ღმრთის სამსჯავრო. ეს. 50, 9; 51, 8.

ისინი, ვისაც უწია ღმრთის მძიმე მსჯავრება. იობ. 13, 28.

სიგიჟე (უგუნურება) იმათი, ვინც ზრუნავს მიწიერ სიკეთეთა გამრავლებასზე. იობ. 27, 18.

მყოფი პირველთაგან (დასაბამიდან)

უფალი იესო ქრისტე, ძე ღმრთისა. იოან. 8, 25.

მკვიდნი

„ნეტარ იყვნენ მკვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა“. მათ. 5, 5.

მკვიდობა, სიმკვიდე

მ. არის სულის მდგომარეობა, რომელიც განპირობებულია სიყვარულით და ამის გამო ქმნის ერთობასა და თანხმობას.

მკვიდობის საპირისპიროა განსხუთქილება, უთანხმოება. მკვიდობა გარეგანი მნიშვნელობითაც არის დიდი სიკეთე, რომლისთვისაც მადლობა უნდა ეთქვას ღმერთს.

მკვიდობა ხალხთა შორის. ლევიტ. 26, 6; ეს. 52, 7; ფს. 28, 11; 147, 3.

მ. ცალკეულ ადამიანთა შორის. ფს. 132, 1; ზაქ. 8, 19; მარკ. 9, 50; რომ. 12, 18.

მ. ღრმა, შინაგანი მნიშვნელობით დამყარებულია ღმრთისგან დაცილებასა და მის წინააღმდეგ ამბოხის შეწყვეტაზე.

ღმერთი თვით არის „ღმერთი მკვიდობისა“. თვით მასშია სრული ჰარმონია; ამის გამო მას მკვიდობის დამყარება სურს მიწაზეც. რომ. 15, 33; 16, 20; ებრ. 13, 20; 1 თეს. 5, 23. ლუკ. 2, 14; ეს. 57, 19; იერ. 29, 11; 33, 6; რიცხ. 6, 24 (აარონის კურთხევა).

მკვიდობა ღმრთის მიერ გამზადებულია ჩვენთვის ქრისტესმიერი შერიგების გზით. ეს. 53, 5; ლუკ. 1, 79; რომ. 8, 31; 14, 17; ეფეს. 2, 14-17; კოლ. 1, 20; იოან. 3, 36.

იესო მკვიდობას აძლევს თავისიანებს. იონ. 14, 27; 16, 33; 20, 19 (ჩვეულებრივი მისალმება აღმოსავლეთში: „მკვიდობა თქვენდა!“ აქ იქცევა ნიჭად, მადლად).

ეს მკვიდობა ემყარება რწმენით მიღებულ ცოდვათა მიტევებას. ლუკ. 7, 50; 8, 48; რომ. 5, 1; ეს. 32, 17.

იგი შენარჩუნებულია სულში ქრისტესთან შინაგანი ერთობით. ფილიპ. 4, 7; გალ. 5, 22; რომ. 8, 6; 14, 17.

ნაყოფი მკვიდობისა, რომელიც დამყარებულია ღმერთთან შერიგებაზე.

შინაგანი გულის სიმკვიდე არ გუბრუნებს არც ცხოვრებისეულ უკულმართობებში, არც სიკვდილის დღეს. მათ. 11, 22; ფს. 72, 26; ლუკ. 2, 29.

მშვიდობისმოყვარეობას სიყვარულით მიჰყავს აღამიანები შვილობისაკენ. მათ. 5, 9; იაკ. 3, 18. ეფეს. 4, 2. 32. რომ. 14, 19. ებრ. 12, 14.

სრულყოფილი მშვიდობა

ჯერ კიდევ შეუძლებელია მიწაზე არა მარტო იმის გამო, რომ უღმრთო აღამიანები ხშირად არღვევენ მას, არამედ იმიტომაც, რომ ღმრთის შვილნი მოწმენი უნდა იყვნენ ჭეშმარიტებისა სამყაროში გაბატონებული ბოროტი საწყისის საწინაღმდეგოდ. მათ. 10, 16, 34 და 36. ფს. 19, 6. ეფეს. 5, 11 საქმე. 4, 19. გალ. 1, 10.

მთავარი მშვიდობისა (ეს. 9, 5) იესო დაასრულებს თავისი მშვიდობის სამეფოს მოწყობას. მაშინ ეს საკვირველი სიკეთე უკვე სრულყოფილებით დამკვიდრდება. ეს. 9, 6; 11, 6-9; 65, 17-25. მიქ. 4, 3. გამოცხ. 11, 15.

მშვიდობა (სიმშვიდე) სულიერი

ღმერთი არის მშვიდობის ღმერთი. რომ. 15, 33; 16, 20; ფილიპ. 4, 9; 1 თეს. 5, 23; ებრ. 13, 20.

ქრისტე არის მშვიდობის უფალი. 2 თეს. 3, 16.

ქრისტე არის მშვიდობის მთავარი. ეს. 9, 6.

ქრისტე არის ჩვენი მშვიდობა. ეფეს. 2, 14.

სულიერი მშვიდობა მოვიდა მისი ჯვრის სისხლით მის მიერ. კოლას. 1, 20; ეფეს. 2, 14-15; რომ. 5, 1; ეს. 53, 5.

ქრისტე წარმართავს ჩვენს სულს მშვიდობის გზით. ლუკ. 1, 79.

ქრისტე გვაძლევს მშვიდობას. მათ. 11, 29; ლუკ. 24, 36; იოან. 14, 27; 20, 19-21; 2 თეს. 3, 16.

სახარება არის მშვიდობის ხარება. ეს. 52, 7; ნაუმ. 1, 15.

სულიერი მშვიდობა მოცემულია აღთქმის მიერ. რიცხ. 25, 12; ეს. 54, 10; ებუკ. 34, 25; 37, 26; მალ. 2, 5.

სიმშვიდის სულიერი განცხადება

ანგელოზების მიერ. ლუკ. 2, 14.

ქრისტეს მიერ. ეფეს. 2, 17.

მკვდელთმსახურთა მიერ. ეს. 52, 7; რომ. 10, 15.

ქრისტეს სახელით. საქმე. 10, 36.

*

მკვდელმსახურთ ეწოდებათ მშვიდობის მახარებლები. ეს. 33, 7.

სულიერი მშვიდობა მომდინარეობს გამართლებისაგან. რომ. 5, 1.

მ. ს. სარწმუნოებით შეიძინება. რომ. 15, 13.

მ. ს. არის სულის ნაყოფი. რომ. 8, 6; 14, 17; გალ. 5, 22.

მ. ს. მონიჭებულია ღმრთისა და ქრისტესაგან. რომ. 1, 7; 1 კორ. 1, 3; ეფეს. 1, 2; 6, 23; გალ. 1, 3; 2 თეს. 1, 2; 2 ტიმ. 1, 2.

სიმშვიდეს ახლავს

სიმართლე. ეს. 32, 17; რომ. 14, 17; იაკ. 3, 18.

სიხარული. რომ. 14, 17; 15, 13.

ღმრთის კანონის სიყვარული. ფს. 118, 165.

სულიერი ზრახვა. რომ. 8, 6-9.

სიმშვიდე შეპირებული აქვს

ეკლესიას. ეს. 54, 13; 60, 17; 66, 12. ისრაელს. იერ. 33, 6; ანგ. 2, 9.

წარმართებს. ზაქ. 9, 10.
 მომსანიებლებს. ეს. 57, 18-19; მათ.
 11, 28-29.
 მორჩილებს. ფს. 118, 165; ეს. 48,
 18; იერ. 6, 16; რომ. 2, 10.
 მორწმუნეებს. ფს. 71, 3-7; ეს.
 55, 12.
 მშვიდებს. ფს. 36, 11.
 ღმრთის მოიმედეთ. ეს. 26, 3.

მორწმუნენი

უნდა ეძიებდნენ მშვიდობას. 2 ტიმ.
 2, 22.
 მათ აქვთ მშვიდობა ღმერთთან.
 რომ. 5, 1.
 მათ აქვთ მშვიდობა ქრისტეს მიერ.
 იოან. 16, 33.
 კურთხეულნი არიან მშვიდობით.
 რომ. 15, 13.
 ტყებთან მშვიდობით. ფს. 4, 8;
 118, 165.
 იცავენ ჭეშმარიტ სიმშვიდეს. ეს.
 26, 3.
 სიმშვიდით დაიცევიან. ფილიპ.
 4, 74; კოლას. 3, 15.
 მშვიდობით კედებიან. დაბ. 15, 15;
 4 მეფ. 22, 20; 2 ნეშტ. 34, 28; ფს. 36,
 37; ეს. 57, 2; ლუკ. 2, 29.
 სიკედილის შემდეგ მშვიდობით
 ტყებთან. ეს. 57, 2; რომ. 2, 10.
 ლოცულობენ მშვიდობაზე ერთმა-
 ნეთში. გალ. 6, 16; ფილიპ. 1, 2; კოლას.
 1, 3; 1 თეს. 1, 1; 2 ტიმ. 1, 2; 1 პეტ. 1,
 2; 5, 14; 2 პეტ. 1, 2.

სიმშვიდე მორწმუნეთა არის

დიდი. ფს. 118, 165.
 მეტად დიდი. ფს. 71, 7; ეს. 54, 13;
 იერ. 33, 6.

ნამდვილი. იობ. 4, 20-29.
 დიდი იმედი განსაცდელში. იოან.
 14, 27; 16, 33.
 „მშვიდობა სულიერი ჰმატს ყოველ-
 თა გონებათა“. ფილიპ. 4, 7.
 მღვდელმსახურნი უნდა ლოცა-
 დნენ მშვიდობის კურთხევით. რიცხ.
 6, 23-26; მათ. 10, 12-13; ლუკ. 10, 5-
 6; რომ. 1, 7; 1 კორ. 1, 3; 2 კორ. 1, 2;
 გალ. 1, 3; ეფეს. 1, 2.

ბოროტს აღმობიანება

არ იციან სიმშვიდის გზა. ეს. 59, 8;
 რომ. 3, 17.
 არ იციან ყოველივე ის, რაც
 შეადგენს მშვიდობას. ლუკ. 19, 42.
 იმედი აქვთ ცრუ მშვიდობისა. 2
 სჯ. 29, 19.
 არა აქვთ მშვიდობა. ეს. 57, 21.
 ცრუმასწავლებლნი ჰპირდებიან
 ცრუმშვიდობას. იერ. 6, 14; 8, 11; 23,
 17; ეზეკ. 13, 10.
 მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი ს უ ლ ი ე რ ი
 ს ი მ შ ვ ი დ ი ს ა : აბრაამი. დაბ. 15,
 15. ოსია. 4 მეფ. 22, 20; 2 ნეშტ. 34. 28.
 დედაკაცი, რომელიც იტანჯებოდა
 სისხლის დენით. მარკ. 5, 34; ლუკ. 8,
 48. სვიმეონი. ლუკ. 2, 27. ცოდვილი
 დედაკაცი. ლუკ. 7, 50.

მშვიდობა ხალხთან

ღმერთი არის ღმერთი მშვიდობისა.
 1 კორ. 14, 33; 2 კორ. 13, 11.
 ღმერთი არის შემოქმედი მშვი-
 დობისა. ლევიტ. 26, 6; რიცხ. 6, 26; 1
 ნეშტ. 22, 9; ფს. 4, 8; ეს. 45, 7; 1 კორ.
 14, 33.

ღმერთი აძლევს მშვიდობას

იმათ, რომელთაც უყვართ მისი
 სჯული. ფს. 34, 27; 118, 165.

მათ, რომლებიც ემორჩილებიან მას.
ლექცია. 26, 3-6.

თავის რჩეულთ. იგავ. 16, 7-8. ეს.
26, 12.

თავის მსახურთ. ფს. 28, 11; 54, 18.

მათ, რომლებიც მოთმინებით იტა-
ნენ სასჯელს. იობ. 5, 17-23.

*

მშვიდობა ხალხთან ღვთაებრივი
სიბრძნისაგან წარმოადგება. იაკ. 3, 17.

მ. ხ. არის სიძარათლის ნაყოფი. ეს.
32, 17; იაკ. 3, 18.

მ. ხ. მიიღწევა ღოცვით

ქვეყნის მშვიდობისთვის. იერ. 29,
7; ფს. 121, 6.

კავშირი მშვიდობისა ქმნის სულთა
ერთობას. 2 კორ. 13, 11; ეფეს. 4, 3.

მშვიდობა ხალხთან საჭიროა სი-
ცოცხლით ტყობისთვის. ფს. 33, 12-
15; 1 პეტ. 3, 10-11.

მორწმუნეები

მორწმუნეებს უნდა უყვარდეთ
მშვიდობა ხალხთან. ზაქ. 8, 19.

უნდა ესწრაფოდნენ ხალხთან
მშვიდობას. იაკ. 3, 18.

უნდა ჰქონდეთ სული მშვიდობისა
ხალხთან. 1 პეტ. 3, 4.

უნდა ცხოვრობდნენ ხალხთან
მშვიდობით. 2 კორ. 13, 11.

უნდა ჰქონდეთ მშვიდობა ხალხთან,
ერთმანეთთან. მარკ. 9, 50; 1 თეს.
5, 13.

უნდა ეძებდნენ ხალხთან მშვი-
დობას. ფს. 33, 15; 1 პეტ. 3, 11; ფს.
119, 6; 2 ტიმ. 2, 22.

უნდა ეძებდნენ ყოველივეს, რაც
ხელს უწყობს ხალხთან მშვიდობას.
რომ. 14, 19.

უნდა ცდილობდნენ მშვიდობას
ყველა ხალხთან. რომ. 12, 18; ებრ.
12, 14.

*

ილოცეთ ეკლესიის მშვიდობის-
თვის. ფს. 121, 6-8; ეფეს. 6, 23.

ილოცეთ ქვეყნის მშვიდობისთვის.
იერ. 29, 7; 1 ტიმ. 2, 2.

შეაგონეთ სხვებს ხალხთან მშვი-
დობა. რომ. 12, 18; 2 თეს. 3, 12.

მშვიდობა ხალხთან შეპირებული
ეკესიისთვის. ფს. 28, 10; 124, 5; 127,
7; ეს. 2, 4; 23, 18; ოს. 2, 18.

ნეტარია ის, ვინც დააფუძნებს
მშვიდობას ხალხთან. იგავ. 12, 20;
მათ. 5, 9.

კურთხევანი, რომლებიც მშვიდო-
ბისგან გამომდინარეობენ. ფს. 132, 1;
2 კორ. 13, 11.

სარგებლობანი მშვიდობისგან.
იგავ. 17, 1.

ისინი, ვინც მშვიდობით ცხოვ-
რობენ, წოდებულნი არიან ღმრთის
შვილებად. მათ. 5, 9.

„რომელმან გვეს ყერიძალსა შენსა,
მიუჰყარ ერთკერძოცა; და რომელი
მიგიღებდეს შენ სამოსელსა შენსა,
კვართსაცა შენსა ნუ აყენებ“. ლუკ.
6, 29.

ბოროტი აღამიანები

სძულთ მშვიდობა. ფს. 119, 6.

თვალთმაქცურად ლაპარაკობენ
მშვიდობაზე. ფს. 27, 3; 54, 21; იერ.
9, 8.

არ ლაპარაკობენ მშვიდობაზე.
ფს. 34, 20.

არ ტყებებიან მშვიდობით. იობ. 15,
20-21; ეს. 48, 22; 57, 21; ეზეკ. 7, 25.

ტყუილად მოელიან მშვიდობას. იერ. 8, 15; 14, 19.

ცრუწინასწარმეტყველები ამაოდ აუწყებენ მშვიდობას. იერ. 14, 13.

მშვიდობა ხალხთან გამეფდება ქრისტეს მოსვლის შემდეგ. ფს. 71, 7; ეს. 2, 4; 32, 18; ზაქ. 9, 10.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი: აბრაამი. დაბ. 13, 8-9. აბიშელეჟი. დაბ. 26, 26-31. დავითი. 1 ნეშტ. 12, 17; სოლომონი. 3 მეფ. 4, 24; 1 ნეშტ. 22, 9. მარდოქე. ესთ. 10, 3.

მშვილდი

მშვილდი არის საბრძოლო იარაღი. დაბ. 48, 22. ეს. 7, 24.

მშვილდს სანადიროდაც იყენებდნენ. დაბ: 27, 3.

იმათ, ვინც მ. ხმარობდა, მშვილდოსნებს უწოდებდნენ. იერ. 4, 29.

მშვილდები ჩვეულებრივ სპილენძისგან (რეალისაგან) კეთდება. 2 მეფ. 22, 35. იობ. 20, 24.

მშვილდი უჭირავთ მარცხენა ხელში. ეზეკ. 39, 3.

მშვილდს ჭიმავედნენ მთელი ძალით. 4 მეფ. 9, 24.

ისრაელთ ისწავლეს მშვილდის ხმარება. 2 მეფ. 1, 22.

მშვილდს ოსტატურად ხმარობდნენ ლიდელები. იერ. 46, 9.

მ. ოსტატურად რხმარობდნენ ელამელები. იერ. 49, 35.

მ. ოსტატურად ხმარობდნენ ფილისტიმელები. 1 მეფ. 31, 3.

მ. ოსტატურად ხმარობდნენ რუბენის, გადის და მანასეს შთამომავლები. 1 ნეშტ. 5, 17.

მ. ოსტატურად ხმარობდნენ ბენიამენის ძენი. 1 ნეშტ. 12, 2.

მშვილდი, როგორც მეგობრობის საბუთი. 1 მეფ. 18, 4.

ოზიამ თავის ერს სხვა იარაღთან ერთად მოუშადა მ. 2 ნეშტ. 26, 14.

დამარცხებულთათვის ჩამორთმეული მშვილდები ნადგურდებოდა. ფს. 36, 15. ეზეკ. 39, 9.

გადატანითი მნიშვნელობით

ძალა-უფლება. იობ. 29, 20.

უკეთურთა ენა. ფს. 10, 2. იერ. 9, 3. პირფერნი. ფს. 77, 57. ოს. 7, 16.

ძალაუფლების დამხობა. 1 მეფ. 2, 4. იერ. 49, 35. ოს. 1, 5; 2, 18.

მშვიარი

„ნეტარ იყვენენ, რომელთა შიოდეს და სწყუროდეს სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განძლენ“. მათ. 5, 6; ლუკ. 6, 21.

მშობლები

ღმერთი აძლევს მშობლებს შვილებს. დაბ. 33, 5; 1 მეფ. 1, 27; 1 ნეშტ. 28, 5; ფს. 112, 9; 126, 3.

მშობელთა მოვალეობა შვილებსადმი

უნდა უყვარდეთ ისინი. ტიტ. 2, 4.

უნდა ასწავლიდნენ მათ საღმრთო სჯულს. გამ. 12, 26-27; 2 სჯ. 6, 9-10; 6, 7. 20-25; 11, 19; ფს. 77, 5-7; ეს. 38, 18; ეფეს. 6, 4.

უნდა ასწავლიდნენ მათ ღმრთის შიშს. დაბ. 18, 19; 2 სჯ. 32, 46-48; 1 ნეშტ. 28, 9; ფს. 33, 13; იაკვ. 4, 1-4.

უნდა მოუთხრობდნენ მათ ღმრთის სასწავლებლივ საქმეებს. გამ. 10, 2; 13, 14-15; 2 სჯ. 6, 21-23; ისუ ნავ. 4, 6-7. 21-22; ფს. 43, 1; 77, 4.

უნდა აუწყებდნენ მათ ღმრთის მსჯავრს. იოველ. 1, 3.

უნდა ასწავლიდნენ მათ დაჯერებას და მორჩილებას. იგავ. 4, 3-4; ეფეს. 6, 4; 1 ტიმ. 3, 4.

უნდა აკურთხევდნენ მათ. დაბ. 48, 15-16; ებრ. 11, 20.

უნდა ებრალეოდეთ ისინი. ფს. 102, 13.

უნდა არიგებდნენ და ანუგეშებდნენ მათ. 1 თეს. 2, 11.

უნდა კარგად წარმართონ მათი გზა. 1 ტიმ. 3, 4-12.

უნდა აძლეოდნენ მათ შენიშვნებს. 1 მეფ. 2, 23-24.

უნდა გამოასწორონ ისინი. 2 სჯ. 8, 5; იგავ. 3, 12; 13, 23-25; 19, 18; 23, 13-14; 29, 17; ებრ. 12, 7-9-10.

არ უნდა განარისხებდნენ შვილებს. ეფეს. 6, 4; კოლას. 3, 21.

უნდა აკმაყოფილებდნენ მათ საჭიროებებს. მათ. 7, 9-11; ლუკ. 11, 11-13; 2 კორ. 12, 14; 1 ტიმ. 5, 8.

არ უნდა მისცენ ნება დაუკავშირდნენ უსჯულოებს. დაბ. 24, 1-4; 28, 1-2.

მშობლები უნდა ღოცულობდნენ თავიანთი შვილებისთვის

მათი სულიერი სიკეთისთვის. დაბ. 17, 19; 1 ნეშტ. 29, 19.

მათი განსაცდელისას. იობ. 1, 5.

მათი აუადმყოფობისას. 2 მეფ. 12, 16; მათ. 9, 18; მარკ. 5, 23; 7, 26; იოან. 4, 47.

კარგი მშობლები

კარგ მაგალითს აძლევენ თავიანთ შვილებს. 4 მეფ. 14, 3; 15, 3; 2 ნეშტ. 34, 2.

იქნებიან კურთხეულნი. 2 სჯ. 11, 21.

გადასცემენ კურთხევას თავის შვილებს. დაბ. 48, 9-11; 2 სჯ. 4, 37; 7, 9; ფს. 111, 2.

უპირატესობაა კარგი მშობლების ყოლა. დაბ. 18, 19; 2 ტიმ. 1, 5.

მშობელთა ცოდვები ზოგჯერ გადადის შვილებზე. გამ. 20, 5; 34, 7; 2 სჯ. 5, 9; რიცხ. 14, 18; ფს. 36, 28; ეს. 65, 7; იერ. 32, 18.

მშობლების დაუდევრობა დაისჯება. 1 მეფ. 3, 13; იგავ. 29, 15.

ბოროტი მშობლები

ზრდიან შვილებს ცოდვებში. იერ. 9, 14; მათ. 14, 8.

აძლევენ ცუდ მაგალითს შვილებს. 4 მეფ. 23, 32-37; ფს. 77, 57; ეზეკ. 20, 18; ამოს. 2, 4.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი კ ა რ გ ი მ შ ო ბ ლ ე ბ ი ს ა : აბრაამი. დაბ. 18, 19. ისაკი. დაბ. 27, 26; იაკობი. დაბ. 42, 36. იოსები. დაბ. 48, 1-13. ლედა მოსესი. გამ. 2, 2-3. მანოე. მსაჯ. 13, 8. ანნა. 1 მეფ. 1, 26. იესე. 1 მეფ. 17, 17. დავითი. 2 მეფ. 12, 16; იოსაფატი. 2 ნეშტ. 21, 2-3. იობი. იობ. 1, 5. ქანანეველი დედაკაცი. მათ. 15, 22; მარკ. 7, 26. იაიროსი. მათ. 9, 18; მარკ. 5, 23. ლუდა და ეენიკი. 2 ტიმ. 1, 5.

მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი ც უ დ ი მ შ ო ბ ლ ე ბ ი ს ა : დედა მიქასი. მსაჯ. 17, 1-3. ელი. 1 მეფ. 3, 12. სალი. 1 მეფ. 20, 33. გოთოლია. 2 ნეშტ. 22, 2. მანასე. 2 ნეშტ. 33, 1-6. ჰეროდია. მათ. 14, 6-8; მარკ. 6, 22-24.

მცენარე, მფჰანილი

მცენარეები შექმნილია ღმრთის მიერ. დაბ. 1, 11-12; 2, 5.

უფალი აღმოცენებს მცენარეებს.
იობ. 38, 27; ფს. 103, 14.

ყოველგვარ მცენარეს აქვს თესლი
თავისი ჯიშისებრ. დაბ. 1, 11-12.

მცენარე საკვებად მიეცა ადა-
მიანებს. დაბ. 1, 28-29; 9, 3.

მცენარე აღმოცენდება

მინდვრებზე. იერ. 12, 4.

მთაში. იგავ. 27, 25.

მორწყვით. იობ. 8, 11.

უღბნოში. იერ. 17, 6.

*

მცენარეს რგავენ ბალებში. 2 სჯ.
11, 10; 3 მეფ. 21, 2.

მცენარეებს აშენებენ საკვებად. იგავ.
15, 17; ებრ. 6, 7.

